# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 19 აპრილი 2000 №72 (1094) | ფასი 50 თეთრი


# ესპანეთი ფინალშია

REUTERS ბარსელონიდან



ორი გოლის გამტანმა რივალდომ (№11) ფრანკ ლებეფი დასცა, „ბარსელონამ“ — „ჩელსი“. 2 და 10 მაისს კატალონიელებს „ლაციოს“ გამამწარებელ „ვალენსიასთან“ ნახევარფინალური მატჩები ელით

UEFA CHAMPIONS LEAGUE

მეოთხედფინალი
II წრე

18 აპრილი

| | |
|---|---|
| ბარსელონა | 5 |
| ჩელსი | 1 |
| ლაციო | 1 |
| ვალენსია | 0 |

იხილეთ მეორე გვერდი

ევროლიგა.
ოთხთა ფინალი.

ნახევარფინალები

| | | |
|---|---|---|
| მაკაბი | 65:51 | ბარსელონა |
| პანათინაიკოსი | 81:71 | ეფესი |

მერაბ რატიშვილი

სალონიკიდან



## მაკაბი ათენელებთან, ბარსელონა მთვარეზე

თამაშის დაწყებამდე საათნახევრით ადრე „მაკაბის“ ამერიკელი ცენტრი ნათანიელ ჰაფმანი მოედანზე გავიდა და სხვადასხვა ადგილიდან ბურთის კალათში სროლა დაიწყო. თითქმის პირთამდე გავსებულ დარბაზში გამაყრუებელი ხმაური იყო, რადგან „მაკაბის“ ორი ათასამდე გულშემატკივარი დიდი ღრიანცელით ეგებებოდა თავისიანის ყველა მოძრაობას.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

REUTERS სალონიკიდან



მაკაბელმა დერიკ შარფმა სწორედ გადამწყვეტ მომენტში ივარგა

საქართველოს ჩემპიონატი

7 ტური

«ა» ზონა

18 აპრილი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 1 |
| ტორპედო | 1 |
| კოლხეთი | 1 |
| ბათუმი | 0 |
| დილა | 0 |
| დინამო | 3 |
| სიონი | 2 |
| იბერია | 2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 7 | 4 | 2 | 1 | 18:7 | 32 |
| დინამო | 7 | 3 | 4 | 0 | 8:0 | 30 |
| ვიტ ჯორჯია | 7 | 4 | 3 | 0 | 6:2 | 27 |
| ბათუმი | 7 | 4 | 1 | 2 | 12:3 | 26 |
| კოლხეთი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:6 | 21 |
| სიონი | 7 | 2 | 1 | 4 | 9:14 | 18 |
| იბერია | 7 | 2 | 1 | 4 | 5:17 | 16 |
| დილა | 7 | 0 | 0 | 7 | 5:19 | 10 |

«ბ» ზონა

18 აპრილი, სამშაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| არსენალი | 0 |
| გორდა | 1 |
| ლოკომოტივი | 0 |
| ხობი | 2 |
| თსუ | 4 |
| თბილისი | 0 |
| სამგურალი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 7 | 5 | 2 | 0 | 6:1 | 25 |
| თსუ | 7 | 5 | 0 | 2 | 10:4 | 23 |
| ლოკომოტივი | 7 | 4 | 2 | 1 | 7:2 | 23 |
| გორდა | 7 | 4 | 1 | 2 | 9:3 | 21 |
| სამგურალი | 7 | 2 | 2 | 3 | 5:5 | 14 |
| არსენალი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:13 | 11 |
| თბილისი | 7 | 1 | 1 | 5 | 5:10 | 11 |
| ხობი | 7 | 1 | 0 | 6 | 7:18 | 8 |

პირველი ეტაპის ქულები განახევრებულია

## ჩვენი ჩემპიონატი ჩვენს ცხოვრებას დაემსგავსა

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველი წრე გასრულდა და ვითარება, ჩვენი ცხოვრებისა არ იყოს, ერთობ ჩაიხლართა და დაიძაბა.

მცხეთაში „ვიტ ჯორჯიასთან“ წაიბორძიკა „ტორპედომ“, რითაც უმალ ისარგებლა „დინამომ“ და ამათ შორის სხვაობა ორი ქულაა.

ისევ წააგო „ბათუმმა“. ამჯერად ზღვისპირულ დერბიში არ გაუმართლათ კარნევალის შეგირდებს. ფოთის „კოლხეთმა“, ალბათ, თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა და თავიც ბევრს შეახსენა.

„ბ“ ზონაში ლიდერი შეიცვალა. „ლოკომოტივს“, რუსთავში „გორდასთან“ რომ წააგო, „მერანმა“ გადაუსწრო და პირველ ჯგუფში დარჩენაც თითქმის გაინაღდა.

„ხობთან“ სტუმრად იმარჯვა თსუ-მ და ჯგუფში ადგილის შენარჩუნება არც სტუდენტებს უნდა გაუჭირდეთ.

შაბათს კი მეორე წრე იწყება და ახლავე შეგვიძლია ვთქვათ: ისეთი ბრძოლა-თამაშები უნდა იყოს, დიდი ხნით ადრე და დიდი ინტერესით რომ ელიან.

იხილეთ მესამე, მეოთხე და მეხუთე გვერდები



გუშინ მცხეთაში: „ვიტ ჯორჯია“ — „ტორპედო“ 1:1.
ტორპედოელ ზურაბ იონანიძეს დამხდურმა ვიტელმა ბურთი ხელიდან ააცალა

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი
II წრე. 18 აპრილი

CHAMPIONS LEAGUE



REUTERS რომიდან

ლაციო — ვალენსია. რომაელი ხუან სებასტიან ვერონისა (უკან) და გაისკა მენდიეტას ამ ორთაბრძოლაში ვალენსიელმა იმარჯვა

**ბარსელონა (ესპანეთი)** 5:1 დ.დ. (3:1) **ჩელსი (ინგლისი)** (1:3)

1:0 რივალდო (24), 2:0 ფიგუ (45), 2:1 ფლო (60), 3:1 დანი (83), 4:1 რივალდო (99პ), 5:1 კლუივერტი (105)

რივალდომ ვერ გაიტანა პენალტი (85)

ბარსელონა: ჰესპი, პუიოლი (აბელარდო 86), რაიციგერი (სერხი 106), ფ. დე ბური, გვარდიოლა, გაბრი, კოკუ, რივალდო, ფიგუ, ზენდენი (დანი 73), კლუივერტი

მწვრთნელი: ლუის ვან გაალი

ჩელსი: დე გუი, ფერერი (ლამბურდი 48), დესაი, ლებეფი, ბაბაიარო, უაიზი, დეშამპი (პეტრესკუ 102), დი მატეო, მორისი, ძოლა (პოიეტი 106), ფლო

მწვრთნელი: ჯანლუკა ვიალი

გაძევება: ბაბიარო (98)

გაფრთხილება: ფიგუ, ფერერი, უაიზი

მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)

98 000 მაყურებელი

**ლაციო (იტალია)** 1:0 **ვალენსია (ესპანეთი)** (2:5)

1:0 ვერონი (52)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, პანკარო (მანჩინი 76), ნესტა, მიხაილოვიჩი, ალმეიდა (სიმეონე 84), ვერონი, ნედვედი (ს. ინძაგი 46), კონსეისაო, ბოკშიჩი, სალასი

მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი

ვალენსია: კანისარესი, ბიორკლუნდი, ანგლომა, ჯუკიჩი, პელეგრინო, ფარინოსი, ხერარდი, მენდიეტა (ალბელდა 60), კილი გონსალესი, ანგულო (ოსკარ გარსია 81), კლაუდიო ლოპესი

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

გაფრთხილება: კილი გონსალესი, პანკარო, კანისარესი.

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

60 000 მაყურებელი



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ჩელსი. ლუიშ ფიგუს ამ გარღვევას სელესტინ ბაბაიარო და „ჩელსი“ ერთად შეეწირნენ

### ინგლისი

I დივიზიონი

ტრანმერი 2:1 პორტვეილი

II დივიზიონი

ბარნლი 0:3 ჯილინგემი

ლუთონი 1:2 ბრისტოლი

ოლდემი 1:2 ჩესტერფილდი

III დივიზიონი

როჩდეილი 1:2 პიტერბრო

### შოტლანდია

გადადებული მატჩი

აბერდინი 0:1 დანდი

### შვედეთი

მე-2 ტური. სუნდსვალი – იორებრო 2:2; ფრიოლუნდა – ტრელებორგი 0:1; აიკ — ჰაკენი 1:1; გიოტებორგი — იორგრიტე 2:0; ჰელსინგბორგი — ჰამარბი 0:0; ნორჩიოპინგი — გაის 3:0

### პოლონეთი

თასის მეოთხედფინალი

ამიცა 3:2 ლეგია

### ავსტრია

თასის მეოთხედფინალი

ზალცბურგი — ადმირა 5:0; პაშინგი — ტიროლი 2:0; აუსტრია — ლეობენი 0:0 (5:3 პენ)

# ვენდოთ სტატისტიკას?

## ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალი. II წრე

CHAMPIONS LEAGUE

**მანჩესტერი** (0:0) **რეალი**

ორი კვირის წინ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ფრედ დასრულებული შეხვედრის შემდეგ (0:0) ჩემპიონთა თასის ამჟამინდელი მფლობელი იმავე ტიტულის შვიდგზის ტრიუმფატორს „ოლდ ტრეფორდზე“ დაუხვდება. ინგლისელთა მწვრთნელ სერ ალექს ფერგიუსონს სჯერა, რომ მისი შეგირდები ღირსეული ჩემპიონებივით ითამაშებენ და ნახევარფინალში მოხვდებიან:

— მატჩი უთუოდ ლამაზი სანახავი გამოვა. მთავარია, „რეალს“ შეტევის საშუალება არ მივცეთ და მაქსიმალურად შევბოჭოთ, ისინი თავიდანვე შეეცდებიან გოლის გატანას, თავდასხმაში დიდი პოტენციალი აქვთ, თუ თამაში წაუვიდათ, ერთობ გაგვიჭირდება. თუმცა გამოგიტყდებით, ყრუ დაცვაში ჩადგომას არც ჩვენ ვაპირებთ. შეტევა სხვაზე ნაკლებ არ გვეხერხება, თანაც ამჟამად საუკეთესო ფორმაში ვართ. საუბარიც ზედმეტია იმაზე, რომ „ოლდ ტრეფორდზე“ დიდი სანახაობა იქნება.

სერ ალექსი მეკარე მარკ ბოსნიჩის ტრავმას შეუწუხებია, „მანჩესტერის“ კარის დარაჯი პრემიერლიგის ბოლო ტურში, „სანდერლენდთან“ მატჩში დაშავდა. მართალია, ვარჯიში განაახლა, მაგრამ მისი ასპარეზობა კვლავაც საეჭვოა. თუ ავსტრალიელი გოლკიპერი თამაშს ვერ შეძლებს, მის მაგიერ რაიმონდ ვან დერ გოუ გამოვა მინდორზე.

— ბოსნიჩმა ივარჯიშა, ჯერჯერობით არაფერი ვიცი, ყველაფერი მატჩის დღეს გადაწყდება — დასძინა ფერგიუსონმა.

მცირე ტრავმები აწუხებთ იაპ სტამს და გუნდის კაპიტან როი კინს, თუმც სასტარტოში ალბათ ორივეს ვიხილავთ. ისევე, როგორც რაიან გიგზსა და დევიდ ბექემს. მათ „სანდერლენდთან“ დაისვენეს და სრულ მზადყოფნაში არიან.

სამეფო კლუბში რობერტო კარლოსის დაბრუნებას ელიან, რომელმაც ერთი კვირა დაისვენა და ახლა კვლავ გამოჩნდება მოედანზე, რათა დევიდ ბექემს გაუმკლავდეს.

— ეს სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იქნება — ამბობს „რეალის“ მარცხენა მცველი — ბოლო ხანს თამაში აშკარად გამოვასწორეთ. დღეს მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავალთ. მრისხანე მეტოქეს არავინ უფრთხის, თუნდაც ეს „მანჩესტერ იუნაიტედი“ იყოს. მას პრემიერლიგის ბოლო ტურში ვუცქირეთ და შევამჩნიეთ, რომ ამ გუნდთან უკან დახევა არ ღირს, პირიქით, თავიდანვე უნდა შეუტიო. ვიღაცამ შეიძლება იფიქროს, რომ ნაკლები შანსი გვაქვს, მაგრამ ჩვენ კარგად მოვემზადეთ და არავის ჩამოვუვარდებით. „მანჩესტერს“ ძლიერი გარემარბები ჰყავს, მაგრამ არც მაკმანამანი და სავიო ჩამორჩებიან. ერთი ცხადია, თუ გიგზსა და ბექემს ფლანგებზე გავაჩერებთ, მაშინ თამაში ნახევრად მოგებულია.

„რეალის“ თავკაცმა ვისენტე დელ ბოსკემ ჯერ კიდევ უნდა გადაწყვიტოს, ათამაშოს თუ არა ნიკოლა ანელკა სასტარტო შემადგენლობაში. ფრანგი პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში შეცვლაზე შევიდა და პენალტის დარტყმის უფლება მოიპოვა, რომელიც რაულმა გოლად აქცია და მადრიდელებს გამარჯვება მოუპოვა.

„რეალის“ პრეზიდენტი ლორენცო სანსი: „ცხადია, ადვილი მატჩი არ იქნება. „მანჩესტერი“ შინ თამაშობს და წარმატებისთვის ყოველ ღონეს იხმარს. მაგრამ ფარ-ხმლის დაყრას არც ჩვენ ვაპირებთ. „რეალი“ ყოველთვის ბოლომდე იბრძოდა და ახლაც ასე იქნება.“

ერთი სტატისტიკური ცნობაც, „რეალს“ „ოლდ ტრეფორდზე“ 1968 წლის შემდეგ არ უთამაშია. მაშინ „მანჩესტერმა“ 1:0 გაიმარჯვა (მადრიდში შეხვედრა 3:3 დასრულდა), ფინალში მოხვდა და თასი აიღო, „უემბლიზე“ „ბენფიკა“ დაამარცხა 4:1.

ვნახოთ, რა იქნება 22 წლის შემდეგ...

**გაფრთხილებულნი**

მანჩესტერი: გიგზი (2), ირვინი (2), ფ. ნევილი (2), კინი, სტამი, სქოულზი, უილსონი, იორკი, სოლსკიაერი

რეალი: იერო (2), მიჩელ სალგადო (2), ჟულიო სეზარი (2), კარანკა (2), ელგერა, ივან კამპო, კარემბუ, რობერტო კარლოსი

**დისკვალიფიცირებულნი**

მანჩესტერი: არავინ

რეალი: არავინ

**სავარაუდო შემადგენლობები**

მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი, სტამი, სილვესტრი, ირვინი, სქოულზი, კინი, ბექემი, გიგზი, კოული, იორკი

რეალი: კასილიასი, მიჩელ სალგადო, კარანკა, ივან კამპო, რობერტო კარლოსი, რედონდო, მაკმანამანი, სავიო, ელგერა, რაული, მორიენტესი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

**ბაიერნი** (1:1) **პორტუ**

„ბაიერნმა“ შაბათს მიუნხენურ დერბიში 1:2 წააგო. საქმე მხოლოდ სამი ქულის დაკარგვაში როდია, ბაიერნელებისთვის „მიუნხენთან“ მარცხი უფრო მეტს ნიშნავს. ასეა თუ ისე, ოტმარ ჰიცფელდის შეგირდებს გულშემატკივართა გულების მოგება მართებთ და ამის შესაძლებლობა დღეს „ოლიმპიაშტადიონზე“ მიეცემათ.

„ბაიერნს“ ნახევარფინალში გასასვლელად ბლომად ოფლის ღვრა მოუწევს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. ერთი რომ „პორტუ“ ხელწამოსაკრავი გუნდი სულაც არ გახლავთ და მეორეც — შტეფან ეფენბერგი და ბიქსენტ ლიზარაზუ დაშავებულები არიან. ეფენბერგმა ბოლო შეხვედრაში ფეხი იტკინა და სამკურნალოდ, სავარაუდოდ, ოთხი კვირა დასჭირდება. „ეფენბერგი რომ არ გვყავს, ეს ჩვენთვის უდიდესი დანაკლისია — თქვა ოტმარ ჰიცფელდმა — თუმც რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, ნახევარფინალში გავალთ“.

ფრანც ბეკენბაუერმა კი დაუმატა: „ეფენბერგის დამტვრევა „მიუნხენთან“ წაგებაზე უარესი ცნობაა“. როდესაც მიუნხენელთა მწვრთნელი და პრეზიდენტი ამას ამბობდნენ, ლიზარაზუ ჯერ კიდევ ფორმაში იყო. წარმოშობით ბასკი მსოფლიოს ჩემპიონი ორშაბათს ვარჯიშისას დაშავდა და ჰიცფელდს ორმაგი თავსატეხი გაუჩნდა. ლიზარაზუს ადგილს ალბათ მიხაელ ტარნატი დაიკავებს, ხოლო ეფენბერგის ფუნქციებს იენს იერემისი და მეჰმეტ შოლი იკისრებენ.

ოტმარ ჰიცფელდის მსგავსად, პრობლემები აქვს მის პორტუელ კოლეგას, ფერნანდო სანტოსს. კვლავაც ტრავმირებულნი არიან ვიტორ ბაია, კარლოს სეკრეტარიუ და რუბენს ჟუნიორი.

და მთავარი კითხვა: რა მოხდება დღეს? ფერნანდო სანტოსი იმედოვნებს, რომ გამარჯვება მას დარჩება და „პორტუ“ „ბაიერნთან“ მეორე გამარჯვებას იზეიმებს. პირველი 1987 წლის 27 მაისს ვენაში იყო, როდესაც პორტუგალიელებმა 2:1 მოიგეს და ჩემპიონთა თასს დაეუფლნენ. მათი მეორე დაპირისპირება 1991 წელს შედგა, კვლავ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, ოღონდ მეოთხედფინალში. პორტუში გუნდებმა 1:1 ითამაშეს, ხოლო მიუნხენში მასპინძლებმა 2:0 მოიგეს.

გავიდა ცხრა წელი. ისევ ჩემპიონთა ლიგა, ისევ მეოთხედფინალი და ისევ 1:1 პორტუში. სტატისტიკას თუ ვენდობით, დღეს 2:0 უნდა იყოს...

**გაფრთხილებულნი**

ბაიერნი: ბაბელი (2), ეფენბერგი (2), ტარნატი (2), ელბერი, კუფური, იანკერი, შტრუნცი, იერემისი, ლიზარაზუ

პორტუ: დეკო სოუზა (2), ჟარდელი (2), პეიშე (2), არჯელი, ნუნო კაპუჩო, დრულოვიჩი, ილარიო, პაულინიუ სანტუში, სეკრეტარიუ, ალოიზიო, ჟორჟე კოშტა

**დისკვალიფიცირებულნი**

ბაიერნი: არავინ

პორტუ: არავინ

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბაიერნი: კანი, ბაბელი, ანდერსონი, კუფური, ტარნატი, სალიჰამიჯიჩი, იერემისი, ფინკი, შოლი, პაულო სერჟიო, ელბერი

პორტუ: ილარიო, ნელსონი, ესკერდინია, დეკო სოუზა, ჟორჟე კოშტა, ალოიზიო, პაულინიუ სანტუში, ჩაინიო, დრულოვიჩი, ნუნო კაპუჩო, ჟარდელი

მსაჯი: ჰიუ დალასი (შოტლანდია)



REUTERS მანჩესტერიდან

„ოლდ ტრეფორდზე“ შეგირდებთან ერთად „რეალის“ მწვრთნელმა ვისენტე დელ ბოსკემაც ივარჯიშა

საქართველოს ჩემპიონატი მეორე ეტაპი

**7 ტური**

# წამნი წამებისანი



ტორპედოელი მალხაზ ასათიანი სევასტი თოდუასა (მარცხნივ) და თენგიზ კობიაშვილს გაექცა

მცხეთა
18 აპრილი
16 საათი
არმაზი
1 500 (ტევადობა 3 000)

**ვიტ ჯორჯია 1:1 ტორპედო**

0:1 იონანიძე (70), 1:1 კოტორაშვილი (90)
**ვიტ ჯორჯია:** ქურაძე, თოდუა, ჭანკოტაძე, საჯაია, თ. კობიაშვილი (ზ. გვაზავა 76), დიღმელაშვილი, ლ. ნოზაძე, ყიფიანი, ი. ხაჭაპურიძე, ვ. გოჩაშვილი (კოტორაშვილი 74), დ. დოლიძე (მორჩილაძე 80)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; ჯ. მუჯირი, რ. გოცირიძე
**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი (ამისულაშვილი 79), შეყრილაძე, მახვილაძე, ჩხეტიანი, ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე, ასათიანი (მალლაკელიძე 90), იონანიძე, დ. ჯანაშია (ნ. ბობოხიძე 78), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* ჭანტურია; თავბერიძე, თურმანიძე, მედოევი
**გაფრთხილება:** დოლიძე (33), კვეტენაძე (35), ჯანაშია (55), ზოიძე (85), ყიფიანი (92)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** კ. ყრუაშვილი

კობა ინასარიძე მცხეთიდან

ქუთაისის „ტორპედოს", რომელიც ჩემპიონობისთვის თბილისის „დინამოს" გაშმაგებით ებრძვის და თითოეულ ქულას მისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, „ვიტ ჯორჯიასთან" სტუმრად თამაში მოგებული ეგონა და სამი ქულაც ჯიბეში ეგულებოდა. თურმე ამაზე ღმერთი იცინოდა...

დარმატული გამოდგა არბიტრის მიერ წამატებული სამი წუთი. მატჩის დრო უკვე ამოწურული იყო. ლოჟაში მოკალათებულმა „ტორპედოს" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა თქვა, რა ამბავია სამი წუთი, რამდენს ამატებს ეს ოჯახაშენებულიო. ქუთაისელთა მწვრთნელმა დავით ყიფიანმაც მაშინვე მესამე შეცვლა გააკეთა, რამდენიმე წამი მოიგო. მალლაკელიძეს მოედნის შუაში დაავალა თამაში. ეგ იყო და „ტორპედომ" მარჯვენა ფლანგზე ბურთი მეტოქეს ჩააბარა. მსაჯიც, ჩანდა, ჩასასტვენად და მატჩის დასამთავრებლად გაემზადა, ტრიბუნიდან ხალხიც წამოშლილიყო, რომ... ამას ჰქვია ბედის ირონია. შეცვლაზე შესულმა კოტორაშვილმა ბურთი საჯარიმოს კუთხიდან დაახლოებით 4-5 მეტრში კარისკენ ზურგშექცეულმა მიიღო, ერთი შეხებით გაისწორა, მახვილაძე ჩამოიშორა და ჭვინტით ისეთი დაჰკრა, მატჩის მერე, ცხელ გულზე რომ იციან ხოლმე. ბურთმა უჩვეულო ტრაექტორია მოხაზა, ზოიძე გაფრინდა, მაგრამ ვერ შესწვდა — ბურთი მისგან შორეულ ცხრიანში გავიდა. დიდი მოულოდნელობა იყო. ტორპედოელები ლამის შოკში ჩავარდნენ, მათი გასაგებია. მიიტანეს ბურთი ცენტრში, გააგორეს და მესხმაც მაშინვე ჩასტვინა. მატჩი ფრედ დამთავრდა. „ტორპედომ" შინ სამის ნაცვლად ქულა წაიღო. ლოგიკურიც სწორედ ეს გახლდათ.

თამაში სანახავად მთლად კარგი ვერ გამოდგა. არადა, ტურში ცენტრალური კი ეთქმოდა. ორივე გუნდი საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე მეტს ზრუნავდა, ვიდრე გოლის გატანაზე. თამაშიც უფრო მოედნის შუაში მიმდინარეობდა. მეკარეებს ბევრი სამუშაო არ ჰქონიათ. „ტორპედო" სამი მცველით, ხუთი ნახევარმცველითა და ორი თავდამსხმელით დაუპირისპირდა მეტოქეს, „ვიტ ჯორჯიამ" 4-4-2 ირჩია. თავდამსხმელები აშკარად პასიურობდნენ, განაპირა ჰავბეკები — პირიქით. გონივრულად, საიმედოდ თამაშობდნენ ცენტრალური მცველებიც. შესვენებამდე გუნდებმა ერთმანეთის კართან თითო-თითო სახიფათო მომენტი შექმნეს. პირველად სტუმრებმა მე-5 წუთზე: ჩხეტიანმა კუთხურიდან ჩააწოდა, მეგრელაძემ თოდუას დაასწრო და თავურით სცადა გატანა, მაგრამ ჭურაძემ იყოჩაღა, ახლოდან დარტყმული ბურთი ნახტომში დაიჭირა. სამ წუთში კი კუთხური „ტორპედოს" კართან დაინიშნა. ჩააწოდეს ვიტელებმა, ქუთაისელებმა ბურთი საჯარიმოდან გამოიტანეს, უმეთვალყურეოდ დარჩენილმა საჯაიამ ბურთს ფეხი ჰაერშივე შეაგება, ზოიძეს უძლიერესად დაურტყა და ოდნავ გვერდით რომ დაემიზნებინა, ვეჭვობ, ანგარიში შესვენებამდე არ გახსნილიყო. მერე „ტორპედოს" ერთი ისე რა მომენტიც ჰქონდა, მეგრელაძე არ ელოდა, ფლანგიდან კვეტენაძე თუ ჩააწოდებდა და ბურთმაც ჩაუქროლა.

მეორე ტაიმშიც თითქმის ისეთივე იყო თამაში, როგორც იქამდე, თუმცა უფრო თვალშისაცემი გახლდათ, რომ „ტორპედომ" კონტრშეტევებზე გააკეთა აქცენტი და თავის შანსს ელოდა. 70-ე წუთამდე არაფერი, კარისკენ ერთხელ დაარტყეს. მაინცდამაინც ვერც ვიტელები ყოჩაღობდნენ. 70-ე წუთზე კი ყიფიანის ტაქტიკამ გაამართლა. „ტორპედომ" თავის ნახევარზე დაატოვებინა მეტოქეს ბურთი და სწრაფად შეუტია. მარცხენა ფლანგზე მეგრელაძემ იბრძოლა, თოდუას არაფერი დაუთმო, ერთიორჯერ ხელიც გაჰკრა, მსაჯმა თამაში გააგრძელებინა, ქუთაისელმა საჯარიმოს ოვალთან ჩხეტიანი შენიშნა, პასი მას გადასცა, მანაც ერთი შეხებით ცენტრის ხაზიდან სისწრაფეაკრეფილ იონანიძეს დაუგორა. ბურთის დასარტყმელად გასწორება მომენტის გაცუდების ტოლფასი იქნებოდა, იონანიძეს ფეხდაფეხ მისდევდა ხაჭაპურიძე, ტორპედოელმა მოიქნია მარჯვენა და ჭურაძისგან დაუცველ კუთხეში უზუსტესად დაარტყა. „ტორპედო" დაწინაურდა. „ვიტ ჯორჯია" ქაოსურად ათამაშდა, მწვრთნელებმა ექვს წუთში ხუთი შეცვლა გააკეთეს. სერგო კოტრიკაძემ, რა თქმა უნდა, თავდასხმა გააძლიერა. მასპინძლები შტურმის მსგავსზეც გადავიდნენ, მაგრამ, რაც მთავარია, კარში ვერ ურტყამდნენ. მცველები ფხიზლობდნენ. ამასობაში 10 წუთიც გაილია. არბიტრმა მეოთხე მსაჯს ანიშნა, სამ წუთს ვამატებ თამაშსო, ფანიაშვილმაც მაშინვე აცნობა ეს მაყურებელს, მერე ასათიანის ნაცვლად მალლაკელიძე და... კოტორაშვილის ულამაზესი გოლი...

წინა ტურში ბათუმში მასპინძლების მოულოდნელად დამმარცხებელმა „ვიტ ჯორჯიამ" ქუთაისელებს ორი ქულა დაატოვებინა და „დინამოსთან" სხვაობა ამდენითვე შეუმცირა. „დინამოს" „ტორპედოსთან" ორად ორი ქულალა აშორებს. „ვიტ ჯორჯია" კი მესამე ადგილზე მოკალათდა.

# კახი ასათიანი: რატომ უნდა წავიდე?

ახლახან სახელმწიფო კანცელარიაში ქართულ ფეხბურთის პრობლემებზე სჯა-ბაასისას გულშემატივართა კლუბ „მუშთაიდის" პრეზიდენტ ვაჟა კიკნაძის ნათქვამით აღშფოთებულმა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კახი ასათიანმა გუშინ დეპარტამენტშივე პრესკონფერენცია გამართა. შეგახსენებთ, რომ კიკნაძემ კანცელარიაში, სახელმწიფო მინისტრის მოადგილის, თედო ისაკაძის კაბინეტში თქვა, კახი ასათიანი სპორტს მოაშორეთ, გაუშვით სადმე ელჩად, იტალიაში, არგენტინაში, ოღონდ სპორტს ჩამოაშორეთო.

— კიკნაძე იმ კომისიაში ველარ იმუშავებს, მას ახლა სასამართლოში სირბილი მოუწევს. მე რომ „ძველი ბიჭი" ვიყო, კიკნაძეს კანცელარიაში ნათქვამისთვის სხვანაირად მოვთხოვდი პასუხს, მაგრამ თანამდებობა არ მაძლევს ამის საშუალებას. ამიტომაც გადავწყვიტე სასამართლოში სარჩელის შეტანა. არ შეიძლება, ისეთი კაცი, როგორიც ვაჟა კიკნაძეა, ქართული ფეხბურთის გადასარჩენად შექმნილი სახელმწიფო კომისიის წევრი იყოს. სხვათა შორის, იქ სხვა არაკომპეტენტური პირებიც მუშაობენ. მე კიკნაძისგან არც მწყენია ის განცხადება, გული მეტკინა, რომ სახელმწიფო მოხელეებმა მისცეს საშუალება, ასეთი რამ ეთქვა, სისულელეები ალაპარაკეს. გეკითხებით ჟურნალისტებს, რატომ უნდა წავიდე? რა გავაკეთე ცუდი? რა დავაშავე? მე რომ წავიდე, ეშველება ამით სპორტს? წლებზე ფეხს ვიდგამთ და ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენი სპორტსმენების ნორმალური ყოფისთვის. თუ იმიტომ უნდა წავიდე, რომ ბიუჯეტიდან სპორტისთვის მიზერული თანხაა გამოყოფილი? იცით, მე ჩემი კონტაქტებით, ჩემი ოფლით ნაშოვნი მილიონები სპორტში მოვიტანე და სპორტსმენებს დავახარჯე.

— შედეგი? — იყო რეპლიკა დარბაზიდან და კახი ასათიანმაც განაგრძო — შედეგი ის არის, რომ ქართული სპორტი შევინარჩუნეთ, ჩვენი სპორტსმენები არც ერთ მნიშვნელოვან შეჯიბრს არ აცდენენ. ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, მიღწევებიც მეტი გვექნებოდა.

კახი ასათიანი თურმე კოტე მახარაძეზეც ნაწყენი ყოფილა — ასეთ ავტორიტეტულ კაცს არ ეკადრება იმგვარი რამეების თქმა, რაც მან უკრაინელ ჟურნალისტს უთხრაო. ასათიანმა ერთ-ერთი უკრაინული გაზეთი ააფრიალა — აი, ბატონო, ნახეთ, რას ამბობს მახარაძე, ვითომ ქართული სპორტი სავსე იყოს აფერისტებით, რომლებიც ანგრევენ მას და მხოლოდ ჯიბის გასქელებაზე ფიქრობენ. გეკითხებით, შეიძლება ასე? ქვეყანა არაა ნორმალური და... სჯობს ყველამ გონება მოვიკრიბოთ...

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ ბევრი ილაპარაკა ზოგადად სპორტში შექმნილ ვითარებაზე და, რა თქმა უნდა, ხაზი უფულობას გაუსვა. ასათიანმა საკმაოდ ისაუბრა ლატარიებზეც — რამდენი ხანია, ამას ვამბობ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამომდის. ლატარიების შემოსავლის 70 პროცენტი სპორტს რომ მოხმარდეს, მაშინ სულ აღარ დაგვჭირდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საქმეებში სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე კარგად არის ჩახედული და პრესკონფერენციაზეც მეტი დრო სწორედ ფეხბურთის ფედერაციას დაუთმო. ჩამოგვითვალა ყველაფერი, რაც შარშანწინდელი ოქტომბრიდან დღემდე გაუკეთებიათ. თქვა, რომ ფედერაციამ „ლოტოსთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი, ვალები ბოლომდე გაისტუმრა, 400 ათასი ლარის ინვენტარი გადასცა საფეხბურთო სკოლებსა და გუნდებს, ჩამოაყალიბა ბავშვთა ლიგა, 500 ათასი დოლარი უპროცენტო კრედიტი აიღო. შეიძინა მიკროავტობუსი და სხვა... ფეხბურთის ფედერაციის მუშაობის პრინციპი სიწმინდე, სიმართლე, სიცხადე არისო, ესეც განაცხადა.

სულ ბოლოს კი ჩვენი, სპორტული ჟურნალისტების კრიტიკის დროც დადგა. ისე, კახი ასათიანს ცოტა უხერხულად გამოუვიდა...

— მე სულ ფეხებზე მკიდია, რას დაწერთ... მაპატიეთ, უხეშად ვთქვი, თუმცა ზოგ გაზეთში კაცი ისეთ პასკვილებს წაიკითხავს, მეორედ მისი გადაშლა არ მოგინდება — კახი ასათიანის სიტყვებია.

და ერთიც. დეპარტამენტის თავმჯდომარის თითოეულ პაუზასა და დარბაზში დროებით სიჩუმეს ასათიანის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი იყენებდა, თავადაც სურდა რაღაცის თქმა — ასე წერა არ შეიძლება — აი, არსი მისი დიდაქტიკისა.

— სპორტის დეპარტამენტზე სუფთა ყოველმხრივ მოწესრიგებული, წმინდა ორგანიზაცია საქართველოში ალბათ არ არის. ექვსი თვე კონტროლის პალატა „გვეჯდა" და ერთი დარღვევა ვერ აღმოგვიჩინა — გვითხრა მნათობიშვილმა.

კომენტარი თავად გააკეთეთ...

კობა ინასარიძე

# მშვიდობით გაიყარნენ

თბილისი
18 აპრილი
16 საათი
ისანი
100 (ტევადობა 3 000)

**თბილისი 0:0 სამგურალი**

**თბილისი:** ბათიაშვილი, ზამთარაძე, მაჭავარიანი, ჩივაძე, ზვ. ლაბაძე, ი. შენგელია (კოხრეიძე 71), ბარნოვი, ნორაკიძე (ტყებუჩავა 69), ამაშუკელი, გ. ღუდუშაური (თ. მაისურაძე 82), გადელია.
*სათადარიგონი:* მამალაძე, ყუფარაძე, ვ. ძაგნიძე, კ. მელქაძე
**სამგურალი:** სტურუა, ფრანგიშვილი, ჭელიძე, ვოსკანოვი, ბერაძე, სუხიაშვილი, გ. ძაგნიძე (დარსაძე 58), ჭყონია (ვადაჭკორია 14), ღონღაძე, ხუნდაძე, კვერნაძე (ქუთათელაძე 46)
*სათადარიგონი:* ბოდოკია, ნებიერიძე, გ. გოგოლაძე, ფუტკარაძე
**გაფრთხილება:** ჭელიძე (50), ნორაკიძე (52)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

ზაზა ბენიძე

ფერი ფერსო, ასეთ მეტოქეებზეა ნათქვამი, გუშინ თანაბარი ძალის გუნდები წარსდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ამბიციებიც ერთნაირი ჰქონდათ — უმაღლეს ლიგაში დასარჩენად ორივეს გამარჯვება და ქულები სჭირდებოდა. თამაშში ტექნიკური წუნი უხვად შეინიშნებოდა, სცოდავდა როგორც ერთი, ისე მეორე გუნდი, თუმც შეხვედრა მაინც დაძაბული და საინტერესო სანახავი გამოდგა.

ორივე ტაიმის განმავლობაში ბურთი ძირითადად მოედნის შუაგულში ტრიალებდა. აქ უპირატესობას ვერც ერთმა გუნდმა მიაღწია. პირველი შეტევა მაინც წყალტუბოელებმა განახორციელეს, კარის აღების რეალური შანსიც თავდაპირველად მათ შეექმნათ. გელა ძაგნიძე მარჯვენა ფლანგზე გაიჭრა და კუთხურის ნიშნულიდან ბურთი თბილისელთა საჯარიმოში ჩაჰკიდა. მას ღონღაძე მისწვდა თავით, მაგრამ ბათიაშვილმა სწორად შეარჩია პოზიცია და ადვილად მოიგო ორთაბრძოლა. ეს მეოთხე წუთზე მოხდა, ხოლო მერვეზე სტუმრებმა უკვე ასპროცენტიანი შანსი გაუშვეს ხელიდან. ჭყონია მარჯვნიდან შევიდა საჯარიმოში და მახვილი კუთხიდან ძლიერად დაარტყა. ბათიაშვილმა ნახტომი დააგვიანა, მაგრამ ბურთი ძელმა აისხლიტა და ისევ მოედანზე დაბრუნდა. აქ ხუნდაძემ დაამატა, მაგრამ არაზუსტად.

ყველაზე გამორჩეული მაინც გიორგი სუხიაშვილი იყო. „სამგურალის" კაპიტანი დაუღალავად ირჯებოდა. თითქმის არ ყოფილა სათამაშო ეპიზოდი, მას არ მიეღო მონაწილეობა.

სტუმართა მე-7 ნომერი საჯარიმოს მისადგომებთან წააქციეს. დარტყმის შესრულება ხუნდაძემ ითავა და მშვენივრადაც გამოუვიდა. ბათიაშვილმა თავგანწირული ნახტომით კუთხურზე მოიგერია ბურთი.

მეორე ტაიმი... ერთ-ერთ ეპიზოდში სტუმრებს ღონღაძე დაუშავდათ, რომელიც მართალია ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა მოედანზე, მაგრამ მხოლოდ ნომინალურად, რადგან ნატკენი ფეხი სწრაფად მოძრაობის საშუალებას არ აძლევდა. ალბათ ამის შედეგი იყო, რომ „თბილისი" უფრო გააქტიურდა და შტურმი მოუწყო „სამგურალს". ჯერ 86-ე წუთზე მასპინძელთა კუთხურს კინაღამ გოლი მოჰყვა, შემდეგ კი შეცვლაზე შემოსულმა ტყებუჩავამ შეაზანზარა სტურუას კარის ხარიხა, თუმც წყალტუბოელთათვის ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

# რეკორდს მარილი დააკლდა

გორი
18 აპრილი
16 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 0:3 დინამო**

0:1 შენგელია (27), 0:2 ნემსაძე (32), 0:3 შენგელია (89)
**დილა:** სოლოლაშვილი, აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, ელყანიშვილი, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, მარეხაშვილი (ციცქიშვილი 60), ფეზუაშვილი, ოლგესაშვილი (ებანოიძე 55), ხორგუაშვილი (საყვარელიძე 16), სულთანიშვილი
*სათადარიგონი:* მდივანი; კოჭლაშვილი, გაგნიძე, კარელიძე
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, ა. სახვაძე, ნემსაძე, რუხაძე (შაშიაშვილი 73), სიჭინავა, არველაძე (ხუციშვილი 61), გ. შენგელია, გუჩუა, ზირაქიშვილი (ანჩაბაძე 46)
*სათადარიგონი:* ჩხეიძე; ქემოკლიძე, შელია, მონასელიძე
**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ა. მეშკოვი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

ვანო ოქროპირიძე გორიდან

„დინამოს“ ასეთი ძლიერი თამაში (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) შეიძლება ბევრ რამეს დაბრალდეს. სკეპტიკოსები კი იტყვიან, „დილაში“ თაობათა ცვლაა, მწვრთნელები ახალგაზრდებს ძირითად შემადგენლობას აჩვევენ და დიდი ამბავი, თუ „დინამომ“ გამოუცდელი ფეხბურთელები დაჩაგრაო, მაგრამ არც მთლად ასეა საქმე.

გუშინ მასპინძლებს მოსაგებად სტიმული არ აკლდათ. ჯერ ერთი, „დილას“ მეორე ეტაპზე ქულაც არ ჰქონდა, მანამდე ჩატარებული ექვსი მატჩიდან ექვსივე წაეგო და მეორეც, გუშინ გორელთა ვეტერანი ფეხბურთელი ჯიმშერ მარეხაშვილი ეროვნულ ჩემპიონატში საიუბილეო, მესამასე (რეკორდია!) მატჩს ატარებდა. ფეხბურთელსაც და მის თანაგუნდელებსაც ამ ღირსშესანიშნავი ფაქტის სათანადოდ აღნიშვნა სურდათ, მაგრამ არ გამოუვიდათ.

წიტაიშვილის გარეშე მოთამაშე „დინამო“ პირველ ნახევარში დიდ უპირატესობას კი ფლობდა, მაგრამ სულ სამჯერ დაარტყა, ერთხელ ბურთი ძელს მოხვდა, ორჯერაც გოლი გავიდა. ამას გარდა თბილისელებს სამჯერ კიდევ ჰქონდათ გატანის ჩინებული შანსი, თუმცა დარტყმა ვერ მოახერხეს.

პირველი სახიფათო მომენტი მეცხრე წუთზე შეიქმნა. ზირაქიშვილმა საჯარიმოს ხაზთან კარგად დაამუშავა ბურთი, გამიზნულადაც დაარტყა, ყველას გოლი ეგონა, მაგრამ ბურთი ძელმა მოიგერია. მალე რუხაძის კარგი პასით არველაძე რჩებოდა მეკარესთან პირისპირ, რეზომ შეუჩერებლივ დარტყმა სცადა, მაგრამ ბურთს ფეხი ააცილა. მე-14 წუთზე კი „დინამო“ თავად გადარჩა. თბილისელი მცველის საჯარიმოდან მოგერიებულ ბურთს რეკორდსმენმა მარეხაშვილმა მარჯვენა შეაგება, ბურთიც კარისკენ დიდი სისწრაფით გაფრინდა, მაგრამ მიზანს სანტიმეტრებით ასცდა. ეს გოლი რომ გასულიყო, მაშინ კი მართლა ღირსეული აღნიშვნა გამოუვიდოდა მარეხას. მალე ისედაც ინერტულად მოთამაშე გორელებს წამყვანი თავდამსხმელი გამოაკლდათ. ზურაბ ხორგუაშვილმა ტრავმა მიიღო და საყვარელიძით შეცვალეს. 27-ე წუთზე „დინამომ“ ბურთი დაკარგა, თუმცა არველაძემ მოედნის ცენტრთან კვლავ დაიბრუნა და სახვაძე გარღვევაზე გაიყვანა. მის საჯარიმოში ჩაწოდებულს ზირაქიშვილი და შენგელია აუხტნენ, ბურთს ეს უკანასკნელი შესწვდა და ძლიერი თავურით ახლოდან ანგარიში გახსნა. „დინამოს“ უმალ სხვაობის გაორება შეეძლო, როცა ზემოხსენებული დუეტი ერთი მცველის წინააღმდეგ დარჩა, თუმცა შენგელიამ პასი არ გააკეთა და შეტევაც ჩაშალა. 32-ე წუთზე ნემსაძემ ითამაშა ბრწყინვალედ, მეტოქის საჯარიმოს წინ ბოლომდე იბრძოლა, მცველებს ბურთი წაართვა და ძლიერი დარტყმით სოლოლაშვილს ცხრიანში ლამაზად გაუტანა — 2:0. მატჩის ბედიც ფაქტობრივად აქ გადაწყდა.

ისე, გიორგი ნემსაძე ცალკე საუბრის თემაა. გუშინ საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანმა მართლაც ჩინებულად ითამაშა. ნემსაძე გუნდის ლიდერი გახლდათ, რაც „დინამოს“ აქამდე აშკარად აკლდა. იგი კარგი იყო დაცვაში, ნახევარდაცვაში და თავდასხმაშიც.

მეორე ნახევარში თბილისელთა რიგებში გიორგი ანჩაბაძე გამოჩნდა, თუმცა დიდი ხნის უვარჯიშებელ-უთამაშებელი აშკარად არ იყო ფორმაში. გიორგი იმ დროს ჩაერთო თამაშში, როცა სტუმრებს თავიანთი საქმე უკვე მოთავებული ჰქონდათ და თავს მაინცდამაინც აღარ იკლავდნენ. მიუხედავად ამისა, დინამოელებს ხუთამდე ასპროცენტიანი მომენტი ჰქონდათ, რომელთაგან ერთი გამოიყენეს. 89-ე წუთზე სახვაძემ მარცხენა ფლანგზე ჩვეულად გაინავარდა და საჯარიმოში გიორგი შენგელიას თავზე დაასვა ბურთი, მანაც დუბლი შეასრულა.

„დილას“ კი მეორე ნახევარში ერთი რეალური საგოლე მომენტიც არ შეუქმნია. მხოლოდ 56-ე წუთზე ითხოვდნენ პენალტს, მაშინაც უსაფუძვლოდ — რეზო ხაჭაპურიძის დარტყმული ბურთი ნემსაძეს მოხვდა, მასპინძელთა აზრით, ხელზე, თუმცა ტრიბუნიდან როგორც ჩანდა, დინამოელი მუცლით გადაელობა ბურთს. ეტყობა, მართლაც ასე იყო, თორემ იქვე მყოფი სანაია საგინებლად არ გაიხდიდა თავს, თანაც დარტყმა ისეთი ძლიერი აღმოჩნდა, გიორგიმ წამოდგომა მხოლოდ ექიმთა ჩარევის შემდეგლა შეძლო. „დილამ“ რომ მეტი მომენტი ვერ შექმნა, სტუმართა დაცვის კარგი თამაშის დამსახურებაა.

ცნობისათვის, „დინამოს“ მეორე ეტაპზე ჩატარებულ შვიდ მატჩში გოლი არ გაუშვია. გრიშიკაშვილი და ჩხეიძე 630 წუთია, კარს მშრალად ინახავენ.



დინამოელ არჩილ სახვაძეს (მარჯვნივ) გორელი რევაზ ხაჭაპურიძე დაუხვდა

# გოლი გორდას სიხარული

რუსთავი
18 აპრილი
16 საათი
ფოლადი
2 000 (ტევადობა 10 700)

**გორდა 1:0 ლოკომოტივი**

1:0 მიშველიძე (30)
**გორდა:** ბედიაშვილი, ბერიძე (სილაგაძე 73), ბურნაძე, ბექაური, გაბელაია, მიშველიძე, მელაძე, გ. კილასონია, კიტეიშვილი (ბაჩილავა 46), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე (მ. სახვაძე 82)
*სათადარიგონი:* გონგაძე; ა. ბუკია, მჭედლიძე, პატარიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ხიზანიშვილი, ლ. მიქაძე, ჭიჭვეიშვილი (გილაური 74), გ. ჩიხრაძე, გ. ჩხაიძე, გოგიჩაიშვილი, კვარაცხელია (გამცემლიძე 79), ჯულელი, ხუროძე (დ. გოდერძიშვილი 46), რუსია
*სათადარიგონი:* ნიკურაძე; კაციაშვილი, აბრამიძე, სალუქვაძე
**გაფრთხილება:** ბურნაძე (67), ბაჩილავა (85), კილასონია (87), ჯულელი (90)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ზ. ანიაშვილი (გორი), მ. ურუშაძე (თბილისი); ა. ორდენიძე (ონი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან

თამაშამდე რუსთაველთა შანსები უფრო მას შემდეგ შემცირდა, როდესაც გაირკვა, რომ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ვარლამ კილასონია ვერ ითამაშებდა. უფროს კილასონიას აგერ უკვე მეოთხე დღეა, ბარძაყის კუნთი ჰქონია დაჭიმული, „ხობთან“ თამაშისას დავშავდი, მეგონა, გამივლიდა, თსუ-სთანაც ასე ვითამაშე, მაგრამ, სამწუხაროდ, ტრავმა უფრო გამიმიზეზდა, არადა, „ლოკომოტივთან“ ძალიან მინდოდა, მეთამაშაო — დანანებით თქვა ვარლამმა.

სამაგიეროდ, რკინიგზელთა რიგებში გამოჩნდნენ ზურაბ ხიზანიშვილი და კახა გოგიჩაიშვილი. მოგეხსენებათ, ხიზანიშვილი „დინამოს“ საკუთრებაა და თუ ითამაშებდა, მხოლოდ „თბილისში“, ისიც განათხოვრებით.

„ლოკომოტივმა“ მას შემდეგ მიიღო ზურას თამაშზე ნებართვა, როდესაც მატჩის დღეს ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ თავად მოაწერა ბრძანებულებას ხელი ხიზანიშვილის „დინამოდან“ „ლოკომოტივში“ განათხოვრების შესახებ. არადა, მანამდე გენმდივანმა ვალერი ჩოლარიამ ძოძუაშვილი უარით გაისტუმრა. რაც შეეხება გოგიჩაიშვილს, კახა უკვე ორი კვირაა, რაც გუნდში მობრუნდა. ამ ხნის მანძილზე ვარჯიშობდა და მწვრთნელმაც ძირითადში გაამწესა, თუმცა მას ჩვეულ ფორმამდე ბევრი უკლია.

ახლა თავად თამაშზეც, თუმცა მასზე არაფერია სათქმელი, ჩვეულებრივი, ჩემპიონატის დამახასიათებელი დონის შეხვედრა გახლდათ. რუსთაველმა მიშველიძემაც ერთადერთი გამარჯვების გოლი მაშინ გაიტანა, როდესაც ამას არავინ ელოდა. 30-ე წუთზე როცა „ლოკომოტივი“ საგრძნობ უპირატესობას ფლობდა, მელაძემ ბურთი რუსთაველთა მეთხუთმეტე ნომერს მიაწოდა, მანაც, საჯარიმოში შესულმა, მეურვე ჩამოიცილა და ლომაიას შორეულ, მარჯვენა კუთხეში გაუტანა — 1:0. რკინიგზელთა მეკარემ 2000 წელს პირველი გოლი გაუშვა. მანამდე „ლოკომოტივს“ ერთი გაუტანეს, როცა კარში სათადარიგო გიორგი ნიკურაძე იდგა.

გაშვებულმა ბურთმა სტუმრები კიდევ უფრო გაალიზიანა, თუმც ტაიმი უკვე მიილია. შესვენებაზე ძოძუაშვილმა ინერტულად მოთამაშე ხუროძე გოდერძიშვილით შეცვალა, დათოც ფაქტობრივად ეულად მყოფ ივანე ჯულელს შეუწყვილდა, მაგრამ „გორდას“ დაცვა, სანდრო ბურნაძის მეთაურობით, მწყობრად იგერიებდა შეტევებს. ბოლოსკენ ძოძუაშვილმა მინდორზე გამცემლიძეც შეუშვა და ზეწოლაც უფრო გააძლიერა, მაგრამ ახლა უკვე ბედიაშვილი აღუდგა რკინიგზელებს კედლად.



რუსთაველთა მეკარე გრიგოლ ბედიაშვილმა არც მამუკა რუსიას გაატანინა, არც მის რკინიგზელ თანაგუნდელებს

# იმერული წკიპურტი

ბოლნისი
18 აპრილი
16 საათი
თემურ სტეფანია
300 (ტევადობა 3 000)

**სიონი 2:2 იბერია**

1:0 ისიანი (12 პ), 2:0 კ. გოგოლაძე (35), 2:1 კ. ჯანაშია (42), 2:2 ივეჩიანი (52)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ვ. მაისურაძე, სვანიძე, დიმიტრიშვილი (მ. სამხარაძე 28), მ. გოგოლაძე (ა. ბოკერია 68), ნ. მინდიაშვილი, მოსეშვილი, ისიანი, კ. გოგოლაძე, ბ. შენგელია
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი, ფ. არჩვაძე
**იბერია:** ვარდანიძე, ბიწაძე, კ. ბობოხიძე (ხმალაძე 80), გეგეშიძე, მიქელთაძე, კ. ჯანაშია, მ. ჯინჭარაძე (სანიკიძე 83), ს. გიგიაძე, ხურციძე, ივეჩიანი (გედენიძე 89), მუმლაძე
*სათადარიგონი:* ა. ჩომახიძე; ოდიკაძე
**გაფრთხილება:** გეგეშიძე (77), ხურციძე (79)
**მსაჯები:** მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ა. კრიჭაშვილი (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

ამ იმერლებს ვერაფერი მოვუხერხეთო, ხელები გაშალა ნამატჩევს ერთ-ერთმა ბოლნისელმა ქომაგმა და მართალიც იყო. წინა საშინაო შეხვედრაში „ტორპედოსთან“ მარცხნაჭამმა „სიონმა“ მეორე იმერული წკიპურტიც იგემა. მართალია, ამჯერად არ დამარცხებულა, მაგრამ ზონის აუტსაიდერ „იბერიას“ ბევრიც ვერაფერი დააკლო. არადა, დასაწყისი ცუდს არაფერს უქადდა ქვემოქართლელებს. შეხვედრის მეთორმეტე წუთზე პირველად დაჯარიმდნენ სტუმრები და საბედისწეროდაც. მიქელთაძე მოსეშვილს საჯარიმოში ეუხეშა და მალალურაძემაც თერთმეტმეტრიანი უყოყმანოდ დანიშნა. პენალტი უნაკლოდ შეასრულა ისიანმა და თავისიანები დააწინაურა. შალვა ისიანი თანაგუნდელ ბესიკ შენგელიასთან ერთად ერთ-ერთი საუკეთესო იყო მოედანზე და მისი ფლანგური გარღვევები ბევრ შემთხვევაში ხიფათს უქმნიდა სტუმრებს. გოლის შემდეგ „სიონმა“ საგრძნობი უპირატესობა მოიპოვა, თუმც იბერიელები დაცვაში ჩაკეტვას არ აპირებდნენ და შიგადაშიგ სახიფათო კონტრშეტევებსაც არ იზარებდნენ. ამათგან დასამახსოვრებელი ოციოდე მეტრიდან კახა ჯანაშიას შორეული გასროლილი იყო. იგი მუმლაძის მარცხენა ფრთიდან ჩაწოდებულს დაუხვდა და შეუჩერებლივ გადაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარისკენ, მაგრამ ვოლკოვმა იხსნა თავისიანები. 35-ე წუთი იწურებოდა და „სიონმა“ ერთხელაც გაახარა სტადიონზე მისული მცირერიცხოვანი მაყურებელი. შეცვლაზე შესულმა მირზა სამხარაძემ ბურთი მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში ჩაჰკიდა, იქ კი მანამდე არაერთი მომენტის გამცუდებელმა კახა გოგოლაძემ სამიზნე გაისწორა და თავით ვარდანიძის კარის მარცხენა კუთხეში შეაგორა ბურთი. შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ მასპინძლები იოლ გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მაგრამ... უდავოდ გამოსარჩევია სოსო ფრუიძის ახალგაზრდული გუნდის თავგანწირული, მონდომებული და გააზრებული თამაში. ბოლნისში თამაში თითოეული გუნდისთვის რომ ერთობ რთულია, ცნობილია, მაგრამ არ შეუშინდნენ იბერიელები გვარიანად დაწინაურებულ და კვლავაც შეტევაში მყოფ მეტოქეს და უკვე პირველ ნახევარში შეძლეს სხვაობის მინიმუმამდე შემცირება. კახა ჯანაშიამ უზადოდ შეასრულა საჯარიმო დარტყმა, 18 მეტრიდან ცოცხალ კედელსაც შემოატარა ბურთი და ვოლკოვიც დაამწუხრა.

მეორე ნახევარიც „სიონის“ შეტევებით დაიწყო. გოგოლაძემ და შენგელიამ თითო-თითო მომენტი გააცუდეს, ამას კი სტუმართა სწრაფი, გააზრებული კონტრშეტევა მოჰყვა. ხურციძე-მუმლაძის ორსვლიანი კომბინაცია საჯარიმოს ხაზიდან ეფექტური დარტყმით ივეჩიანმა დააგვირგვინა და გაიხარეს სამტრედიელებმა. დარჩენილი დრო მასპინძლებისა იყო. მათ არაერთი ხელსაყრელი მომენტი შექმნეს მოწინააღმდეგის კართან, მაგრამ იბერიელთა მეკარე ამ შეხვედრაშიც საიმედო იყო. ჩომახიძის მეწყვილე ვარდანიძემ მეორე ნახევარში მშრალად შეინახა კარი. „სიონს“ ვერც მატჩის ბოლოს შემოსწრებულმა ბოლნისელ ფანთა თავკაცმა ალამ უშველა. ის კი არა, შეხვედრის მიწურულს მარცხსაც გადაურჩნენ ქვემოქართლელები — სწრაფი კონტრშეტევის შედეგად მუმლაძემ ხურციძე შეატოვა ვოლკოვს, მაგრამ ახალგაზრდა სამტრედიელმა ხუთიოდე მეტრიდან უღიმღამოდ ხელსაყრელი მომენტი გააცუდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სტუდენტური გაკვეთილი

სენაკი
18 აპრილი
16 საათი
ეგრისი
300 (ტევადობა 3 000)

**ხობი 2:4 თსუ**

0:1 დეკანოსიძე (35), 0:2 ერაძე (70 პ), 0:3 წუწუნავა (72), 0:4 ადამია (76), 1:4 ჩიტაია (87), 2:4 ზურაბ აიანადი (89)
**ხობი:** ნიქაბერიძე, ჯამბურია, ჯიქია (აბაკელია 60), ოდიშარია, ზურაბ აიანადი, ხურცილავა (ტყებუჩავა 62), ვართაგავა, ვ. ჩიტაია, ბუკია, ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* ალანია; ბულუხია, გიორგაძე, რ. თოლორდავა
**თსუ:** მერლანი, ინწკირველი, ებრალიძე, სვანაძე, ადამია (ნოზაძე 77), ხართიშვილი, წუწუნავა (ქადაგიძე 75), დეკანოსიძე, მესხი, მაზიაშვილი, ერაძე (არჩვაძე 46)
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ბარქაია, ლობჟანიძე
**გაფრთხილება:** ვართაგავა (16)
**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი; ვ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. ბაჩუკაშვილი

**თენგიზ ძოჩუა სენაკიდან**

გავარდნას გადარჩენილი თსუ აწ უკვე განწირულ „ხობს" სტუმრობდა. ხობელები მასპინძლებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ მათი საშინაო არენის დისკვალიფიკაციის გამო მატჩი სენაკში გაიმართა.

ამ მატჩამდე 6 შეხვედრაში სტუდენტებს 6 გოლი ჰქონდათ გატანილი. აქედან გამომდინარე, ამ მატჩში უხვგოლიანობას არავინ ელოდა, თამაშიც უინტერესოდ დაიწყო — ბურთი მოედნის ცენტრში ტრიალებდა და მეტოქენი სიტუაციის გამწვავებას ერიდებოდნენ.

პირველი შეტევა მე-20 წუთზე განხორციელდა. ხობელთა საჯარიმოში მარცხენა ფრთიდან შეიჭრა ადამია და ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთმა ძელს ჩაუქროლა. ხობელები თითქოს აქტიურობდნენ. მაგრამ, მათ მიერ წამოწყებული ყველა კომბინაცია სტუდენტთა საჯარიმოს წინა ხაზთან მთავრდებოდა.

35-ე წუთზე დეკანოსიძე აღმოჩნდა ხობელთა საჯარიმოში. ის მარტოდმარტო იმყოფებოდა, მცველები არსად ჩანდნენ. ხობელები თამაშგარე მდგომარეობას ელოდნენ, მაგრამ დეკანოსიძემ ისარგებლა შექმნილი სიტუაციით და აუღელვებლად დალაშქრა მასპინძელთა კარი — 0:1.

მეორე ტაიმიც პირველის მსგავსად დაიწყო. ისევ შუა მოედანზე უთავბოლო ბურთაობა, არაზუსტი გადაცემები, ორმხრივი შეცდომები... და ამ დროს თსუ-მ აიწყვიტა. სტუმრებმა ექვსი წუთის განმავლობაში 3 გოლი გაიტანეს. ჯერ ერაძემ გამოიყენა თერთმეტმეტრიანი, რომელიც ადამიას აქტიურობას მოჰყვა. მისი შეჩერება ჯამბურიამ მხოლოდ წესების დარღვევით მოახერხა. ორ წუთში წუწუნავამ გაზარდა ანგარიში. კვლავ მცველთა უხეში შეცდომა და კვლავ საჯარიმოში მარტოდმარტო დარჩენილი ფეხბურთელი — 0:3. 76-ე წუთზე ხობელთა განადგურება ადამიამ დაასრულა. მატჩი ფაქტობრივად აქ დასრულდა. ხობელები წაგებას შეეგუვნენ. სტუმრებიც მოეშვნენ.

მატჩის მიწურულს მასპინძლებმა ორი გოლის გატანა მოახერხეს — ჯერ ჩიტაიამ, ხოლო 89-ე წუთზე ზურაბ აიანადმა. ორივემ თავზე გადაუგდო ბურთი წინ გამოსულ სტუმართა მეკარეს.

ხობელთათვის ეს მატჩი ბევრს არაფერს ნიშნავდა. არც მოგება და არც წაგება სატურნირო მდგომარეობას არ ცვლიდა, მაგრამ გუნდში რომ ყველაფერი რიგზე არაა, ფაქტია. ვეტერანი ფეხბურთელების — ალანიას, გიორგაძის და ბულუხიას არყოფნა სხვადასხვაგვარად შეფასდა. ისინი სტადიონზე იყვნენ, მაგრამ... ფრიდონ გოცირიძემ კი ამ თემაზე საუბარს თავი აარიდა და ეს ფაქტი ასე ახსნა: „მაინც გავარდნილები ვართ, ჯობდა ახალგაზრდები გვეთამაშებინა, მომავლისთვის გამოგვადგებიან. ისე კი გუნდში არავითარი უკმაყოფილება არ არის."

# მერანი ახტა

თბილისი
18 აპრილი
16 საათი
სინათლე
1 000 (ტევადობა 3 000)

**მერანი 1:0 არსენალი**

1:0 როსტიაშვილი (3)
**მერანი:** ნაჭყეპია, ჭინჭარაული, ლურსმანაშვილი, კარიაული, დევიძე, გ. ილურიძე, დავითაშვილი (კოშკაძე 72), ა. ხორხელი (ლ. თოლორდავა 78), კაკაბაძე (ჯიშკარიანი 83), როსტიაშვილი, გუჯაბიძე
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; კობესაშვილი, ივანიშვილი, ბოლქვაძე
**არსენალი:** კუპატაძე, ე. ალადაშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, ხარებავა, სულაძე (ქოიავა 76), შუკაკიძე, კაპანაძე (ხმალაძე 76), კაკაშვილი, წივწივაძე, გ. ტუღუში
*სათადარიგონი:* ქაცარავა; ჩალაძე, წონკოლაური, კვირკველია
**გაფრთხილება:** გ. ილურიძე (60), კაკაშვილი (60)
**მსაჯები:** ი. კახიანი; ზ. ჯვარიძე, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); თ. ლაცაბიძე (სურამი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

**მამუკა კვანტალიანი**

სიმწვანე შეჰპარვია „სინათლეს". ოდნავ მოკეთებულა მინდორიც, მაგრამ სათამაშოდ ჯერაც გამოუსადეგარია. „მერანი" კი მაინც იგებს, ზედიზედ უსწორდება მეტოქეებს.

გუშინ სერგო გაბელაიას გუნდი „მერანს" კი არა, ესპანურ „ბარსელონას" ჰგავდა. ავჭალელები თამაშობდნენ ლაღად. უტევდნენ ბევრს, ირჯებოდნენ არა მხოლოდ შედეგისთვის, არამედ გულშემატკივრებისთვისაც.

ვერ გეტყვით, როდის ჰქონდათ ამდენი საგოლე მომენტი გაბელაიას ბიჭებს, თუმც შესაძლებლობებს ერთიმეორის მიყოლებით ატანდნენ ქარს. ამისთვის თავმოყვარე გუნდი თავისუფლად დასჯიდა მათ, მაგრამ ძალიან სუსტი და საცოდავია „არსენალი".

მე ვერაფერს ვუსაყვედურებ ჯონი ჯანელიძესა და მის შეგირდებს. უპატრონო და ყოველგვარ სიკეთეს მოკლებული გუნდი კიდევ კარგად ჯახირობს. ჰო, ჯახირობს და მეტიც არაფერი გამოდის ამ საქმიდან.

„მერანს" გამარჯვობის თქმა ახალი მომთავრებული ჰქონდა, როცა მეტოქეს ბადიდან გამოატანინა ბურთი. „არსენალის" მცველები ერთმანეთის ყურებას მოუნდნენ, როსტიაშვილმა ბურთი მშვიდად მიიღო, გაისწორა და კუპატაძეს შანსი არ დაუტოვა.

ამით გათამამებულმა „მერანმა" ისევ შეუტია, მაგრამ როგორც თავში მოგახსენეთ, მეტსაც ვერაფერს გამორჩა.

ორ მომენტში „არსენალს" დაარხეინებული ავჭალელების დასჯაც შეეძლო, მაგრამ ჯერ წივწივაძეს აჯობა ნაჭყეპიამ, მერე კი ხმალაძემ ზუსტად ვერ დაარტყა ხელსაყრელი პოზიციიდან.

ბევრი სხვაც არაფერი მომხდარა საინტერესო. მხოლოდ ერთხელ იყო ქომაგი ერთსულოვანი, როცა ხორხელის ლამაზი მაკრატელა იხილა. ტაში გამოსტყუა მერანელმა გულშემატკივარს, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ აპლოდისმენტების ნაწილი სტუმართა მეკარე კუპატაძესაც ეკუთვნოდა. ზვიადმა ხორხელის დარტყმის შემდეგ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

„მერანმა" ავლაბრელთა დამარცხებით „ბ" ზონის ლიდერობა იგდო ხელთ, ხოლო „არსენალი" კვლავაც უიმედო აუტსაიდერია, რისგანაც თავის დასაღწევი გზა ფაქტობრივად არ არსებობს.



კოლხი გოჩა ტრაპაიძე (ბურთით) ბათუმელ ივანე მახარაძეს თავის ტკივილად ექცა

# ზღვისპირელებს ძილისპირული არ უყვართ

ფოთი
18 აპრილი
16 საათი
ფაზისი
2 000 (ტევადობა 6 300)

**კოლხეთი 1:0 ბათუმი**

1:0 ხუჭუა (30)
**კოლხეთი:** ქვაჩახია, კედელაშვილი, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, ღლანიძე, კიკლიაშვილი (მ. ქობულაძე 72), შალამბერიძე, ხუჭუა (გ. ჩიტაია 68), ტრაპაიძე, ე. გვასალია (შავგულიძე 87)
*სათადარიგონი:* მ. გვასალია; პაპავა, ქუნთელია, დ. კვირკველია
**ბათუმი:** ტოგონიძე, ი. მახარაძე, მ. მახარაძე, სიდამონიძე, მინდაძე (ღლონტი 46), ხუჯაძე, გელა ქორიძე (აფხაზავა 46), კობიძე (მაჭუტაძე 71), ა. მუჯირი, ტუღუში, ხომერიკი
*სათადარიგონი:* ჩლაიძე; რომანაძე, სიხარულიძე, თედორაძე
**გაფრთხილება:** ტრაპაიძე (17), ი. მახარაძე (81)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ი. შალამბერიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიში

**ვახტანგ ბზიკაძე ფოთიდან**

პირველი ტაიმის პირველი ნახევარი საათი იწურებოდა, კოლხი დავით ხუჭუა კიკლიაშვილის პასს საჯარიმოში დროულად რომ შეჰყვა, მდევარი მინდაძე და დამხვდური სიდამონიძე ჩამოიტოვა, გაუჩერებლად დაარტყა ბურთი და მეორე ეტაპზე სულ ორი გოლის გამშვებ ნიკა ტოგონიძეს მარჯვენა ცხრიანიდან აბლაბუდები ჩამოუხსნა.

ურიგოდ არც მანამდე თამაშობდნენ ფოთელები, მაგრამ ამ გოლთა-გოლით ხასიათი აშკარად გამოუკეთდათ და ეს განწყობილება ბოლო წუთებამდე გაჰყვათ.

მანამდე კი ხასიათი მარტო კოლხებს როდი ჰქონდათ წამხდარი. წინა ტურში „ბათუმი" მოულოდნელად შინ დამარცხდა „ვიტ ჯორჯიასთან". არანაკლებ გასაკვირად დაურჩა ბევრს სამტრედიაში „იბერიასთან" „კოლხეთის" მარცხიც.

ვისაც „ბათუმისა" და „კოლხეთის" ევროთასთა საგზურის მოპოვების სურვილის თაობაზე მოეხსენება, მიხვდებოდა, ამ გუნდებმა წინა ტურში როგორი დანაკლისი განიცადეს. ❋

თუნდაც ამიტომ, გუშინდელი სამიქულა არაჩვეულებრივად ფასობდა.

საერთოდაც, ზღვისპირელთა დუელს უშელავათოდ ძნელად თუ ჩაუვლია. რომელიმე დუელიანტის შედრკომაც ძნელი გასახსენებელია. ამათი ბრძოლა ყოველთვის ბრძოლაა და ისეც ყოფილა, მიზნისთვის ორივეს აუცილებია, მაგრამ ბრძოლა წინასწარ არავის უუარია.

იშვიათი სანახაობა გამოდგა გუშინდელი მატჩი. ასე მომენტუხვი, ბოლომდე დაძაბული შეხვედრა საქართველოს ჩემპიონატს კარგახანია, არ ღირსებია.

რომელი ერთი გავიხსენო. გამოსარჩევი ეპიზოდი მართლაც ბევრი იყო.

მე-12 წუთი. „კოლხეთმა" ივანე მახარაძის შეცდომით რომ ისარგებლა, ხუჭუას დარტყმულისგან ტოგონიძემ იხსნა სტუმრები.

მე-16 წთ. ქვაჩახიამ ცუდ მინდორზე უხერხულად მოიგერია ბურთი, რომელიც ტუღუშს მიუვიდა, მისი დარტყმისას კი შეცდომა ისევ მეკარემ გამოასწორა.

მე-19 წთ. კიკლიაშვილმა ფრთაზე ხუჭუას, ამან ოდნავ უკან გვასალიას დაუგორა და ელდარმა შორეულ კუთხეს ააცილა.

24-ე წთ. ხუჭუა მინდაძეს დაუსხლტა, მაგრამ შორეულ კუთხეში დარტყმული აუცდა.

30-ე წთ. ხუჭუა ერთხელაც გაექცა მინდაძეს, გვერდი აუქცია შემხვედრ სიდამონიძეს და ტოგონიძეს ახლო, მარჯვენა ცხრიანში აუღებელი ნახევრადაბრაგანი ჩაუკიდა.

32-ე წთ. კედელაშვილის ჩაწოდებულ ბურთს კვლავ ხუჭუამ შეაგება ფეხი, მაგრამ დარტყმა უძალო გამოუვიდა, ტოგონიძემ იოლად აიღო.

34-ე წთ. ბათუმელთა ჯერიც დადგა. მუჯირის პასისას ხომერიკის დარტყმული ქვაჩახიამ მოიგერია.

36-ე წთ. ფლანგიდან ზაველ ღლანიძის საჯარიმო დარტყმისას „ბათუმმა" ხელოვნური თამაშგარე დაიხმარა — სტუმრებს დავითნიძე და ტრაპაიძე მაინც გაეპარათ, მაგრამ ბურთს ვერცერთი მისწვდა.

მე-40 წთ. მალხაზ მახარაძემ მოგერიებული ტრაპაიძეს ჩააბარა, ფოთელის დარტყმა ისევ მახარაძემ მოიგერია.

46-ე წთ. შესვენებისას „ბათუმის" იტალიელმა თავკაცმა ჯანი კარნევალიმ მინდაძე და გელა ქორიძე ღლონტით და აფხაზავათი შეცვალა.

48-ე წთ. ტრაპაიძემ ივანე მახარაძეს ტოგონიძისთვის ბურთის დაბრუნება არ აცალა, მაგრამ ნიკამ დარტყმის კუთხე შემცირა და ტრაპაიძესაც დარტყმული აუცდა.

53-ე წთ. მარჯვენა ფრთაზე გაჭრილმა ელდარ გვასალიამ ცენტრში გასწვრივ ჩააწოდა ტრაპაიძეს, მან მარცხენაზე კარგად ვერ მოირგო ბურთი, ჯერ მცველის, მერე მეკარის მოტყუება სცადა, მაგრამ საკუთარ დაგებულ მახეში თავადვე გაება.

59-ე წთ. გვასალიამ შალამბერიძეს დაუგორა, მან მაღალ კუთხეს ააცილა.

64-ე წთ. შალამბერიძემ ახლა კუთხურსშეგებებული დარტყმა ააცილა.

66-ე წთ. საჯარიმოში ბურთიან ღლონტს ტორჩინავა ტრუსში ხელით იჭერდა, მაგრამ რაკი ბათუმელს წაქცევა არც უფიქრია, მსაჯმა კი ალბათ ვერ დაინახა, „ბათუმმა" ანგარიშის პენალტით გათანაბრების შანსი გაუშვა ხელიდან.

67-ე წთ. ამირან მუჯირმა დაღლილი ხუჭუას ფრთაზე გაინავარდა, ქვაჩახიას ხუჭუასნაირი, ოღონდ საპირისპირო კუთხეში დაურტყა, მაგრამ ფოთელთა მეკარემ ის შეძლო, რაზეც აუღებელის აღებას ამბობენ.

73-ე წთ. ღლანიძემ ვარდნაში ბურთი მეტოქეს წაართვა და ქობულაძეს მიაწოდა, მოედანზე ახალშესული კოლხი ტოგონიძესთან პირისპირ აღმოჩნდა, მაგრამ მოქნილობაში მოისუსტა, მეკარეს უპირისპირა, მან კი მოიგერია.

74-ე წთ. ტოგონიძემ ამჯერად ღლანიძეს შორეული დარტყმა მოიგერია.

78-ე წთ. ქვაჩახიამ ხუჯაძის დარტყმული აიღო.

მე-80 წთ. ტრაპაიძემ მალხაზ მახარაძეს წაართვა ბურთი, მაგრამ მახვილი კუთხიდან დარტყმული ტოგონიძეს მოხვდა.

84-ე წთ. ახლა გვასალიამ წაართვა სიდამონიძეს, ტოგონიძეს თავზეც გადაუგდო, მაგრამ კარსაც გადააცილა.

86-ე წთ. გიორგი ჩიტაიამ შორეული კუთხეში დარტყმული ააცილა.

88-ე წთ. ზაველ ღლანიძემ შავგულიძის დაგდებული ბურთი შორიდან ხარიხას გაარტყა.

არ გეგონოთ, სულ ეს იყოს. უბრალოდ, ეს იმ მწვავე ეპიზოდებზე მოგახსენეთ, რომელთა უთქმელობაც არ იქნებოდა.

„კოლხეთმა" გუშინ პირწმინდად დაჩაგრა „ბათუმი" კარგად მოთამაშე ტრაპაიძის, ხუჭუას, კიკლიაშვილის, ელდარ გვასალიას თუ სხვათა და საოცრად სუსტად გარჯილი მინდაძის, ივანე მახარაძის, სიდამონიძის, მუჯირის და სხვების ხარჯზე.

ერთსაც დავამატებ, ბათუმელთა წარუმატებლობა განსაკუთრებით ნახევარდაცვის უნიათობის ბრალია — შეცვლაზე 25 წუთს მოთამაშე მაჭუტაძემდე ერთხელაც არ მისულა ბურთი.

# ვიალიმ ალექსიძეც იახლა

## შოთას და დემეს პირველი დუბლი. შეყილაძის პირველი გაძევება



ბოლო ვარჯიში ბარსელონამდე: ვიალი ფლოსა და ალექსიძეს არიგებს

გასულ უქმეებზე ყველაზე შთამბეჭდავი ფაქტი, ალბათ, მაინც ლონდონის „ჩელსის" ქართველი დებიუტანტის რატი ალექსიძის კარიერაში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ექსდინამოელს ჩემპიონთა ლიგაში ლურჯი მაისურით მონაწილეობის უფლება არა აქვს, ჯანლუკა ვიალიმ იგი ლიგის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩზე ბარსელონაში მაინც იახლა. „ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ალექსიძემ გამოცდილება შეიძინოს" — ასე ახსნა თავისი გადაწყვეტილება ვიალიმ. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა რატი ძირითად გუნდს ოფიციალურ შეხვედრაზე გაჰყვა. მართალია, ჯერ ტურისტად, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ კარგი დასაწყისია. ალექსიძე თამაშის წინ „ჩელსის" იმ ფეხბურთელებთან ერთად მოემზადა, რომლებიც „კამპ ნოუზე" გავიდნენ.

ფორმას იბრუნებს შოთა არველაძე. ქართველს ზედიზედ მეორე მატჩში გააქვს, ამჯერად — გადამწყვეტი დუბლი. „აიაქსი" თავიდან აგებდა „ალკმაართან", როცა შოთამ ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი ამსტერდამელები წინ გაიყვანა. ამის მერე აზ-67-ის კარი კიდევ ორჯერ დაილაშქრა, „აიაქსმა" კი მესამე საფეხურზე აინაცვლა. შოთას სეზონში 5 გოლი დაუგროვდა. მოიგო ტყუპისცალ არჩილის „ბრედამაც" ჰაარლემში — 1:0. ერთადერთი ბურთი შეხვედრის მიწურულს არჩილის პასით სამხრეთაფრიკელმა სალმონმა გაიტანა. „ბრედა" თითქმის პირველდივიზიონელია.

უკრაინაში პირველი დუბლი შეასრულა გიორგი დემეტრაძემ, თანაც ერთი პენალტიც მოინადირა, რომელიც რებროვმა შეაგდო და ლიგაში მე-100 გოლი გაიტანა. კახი კალაძემ „მარიუპოლთან" საგოლე პასი მიითვალა. ჩემპიონატის მატჩში „კრივბასის" ძირითადში პირველად გამოჩნდა კაიდარაშვილი. ტერნოპოლის „ნივა" კი ივანოფრანკოვსკში დამარცხდა. პრესტიჟის გოლი ავთო კაპანაძემ გაიტანა, სეზონში მე-8, სულ ლიგაში კი — 54-ე! „ნივა" კვლავ გასავარდნებს შეუერთდა.

გასულ კვირას გერმანიასა და საბერძნეთში ქართველების გუნდებმა ორორი მატჩი გამართეს. „ფრაიბურგი" ჯერ მიუნხენის „ბაიერნს" შეასკდა. „კიკერმა" კობიაშვილსა და იაშვილს 2-იანები დაუწერა, მათზე უკეთესი კი მხოლოდ ოლივერ კანი (1,5) იყო. ამ მატჩში ლევანმა ბუნდესლიგაში მეოთხე გოლი გაიტანა, თან მეხუთე ყვითელი მიიღო და „შტუტგარტთან" დაისვენა. ეს შეხვედრა „ფრაიმ" ბოლო წუთებზე გაშვებული გოლით წააგო. იაშკამ ამჯერად ვერ ივარგა, „კიკერისგან" 5-იანი მიიღო. საბერძნეთში ლევან ქებაძის „ირაკლისი" ჯერ პირეოსში „ოლიმპიაკოსს" ესტუმრა და 0:1 დამარცხდა, შემდეგ კი დრამატული შეხვედრა მოუგო „იონიკოსს". გაუმართლა გოდერძი ნატროშვილის „პანაჰაიკს" — ჯერ „ტრიკალას" სძლია, მერე ათენის აეკ-ს დაუზავდა. ნატროშვილმა ორივე მატჩში ითამაშა.

მეორე წრეში პირველად გაიტანა გოჩა ჯამარაულმა. ქართველმა „ბადენს" გაუთანაბრა, მაგრამ „ციურიხმა" მაინც წააგო და ახლა ლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე უნდა იფიქროს. სეზონში პირველად გააძევეს გელა შეყილაძე. ეს „ლომელთან" მატჩის 82-ე წუთზე მოხდა. „ლიერსი" ისევ დამარცხდა. პოლონეთში მამია ჯიქიამ ერთი წუთი ითამაშა. „რუხმა" მეორე ადგილი დაიბრუნა, თუმცა ლიდერს 5 ქულით ჩამორჩება. ისრაელში ჰაიფას „მაკაბიმ" დროებითი მწვრთნელის რონი ლევის ხელმძღვანელობით ჰაიფური დერბი მოიგო — 4:0. დარასელიას ქფარ-სავას კი გავარდნა უკვე სერიოზულად დაემუქრა. ლატვიაში იმარჯვა „სკონტომ" და ლიდერი გახდა, ვალერი გაგუას „პოლიციასი" კი შინ „დაუგავას" დაუზავდა. ერთი კვირის განმავლობაში ორი მატჩი გამართეს მოლდოვაში „შერიფმა" და „ზიმბრუმ". ტირასპოლელებმა ჯერ „ტილიგული" 2:0 დაიბრიყვეს, შემდეგ კი შინ „ოლიმპიასთან" წააგეს — 0:1. „ზიმბრუმ" „ენერგეტიკი" დაჯაბნა, 2:0, „კონსტრუქტორულთან" შეხვედრა კი ფრედ 0:0 დაასრულა. ახლა „შერიფი" ქულითღა უსწრებს „ზიმბრუს".

რუსეთში უკვე ალაპარაკდნენ ვლადიმერ გუცაევის გადაყენებაზე. „ალანიამ" შინ სამარცხვინოდ წააგო „ანჟისთან". გუცაევი პრესკონფერენციაზე არ გამოცხადდა. ჟურნალისტებს ვლადიმერ პანოვი წარუდგა. ეს საკმაოდ ცუდი ნიშანია, მსგავსი რამ ხომ საქართველოს ნაკრებშიც ხდებოდა. როგორ დასრულდა ყოველივე, ყველას კარგად გვახსოვს. „ანჟისთან" მეორე გოლი გაიტანა აშვეთიამ. „როსტსელმაშის" 16 კაცში კი პირველად გამოჩნდა დათო ხმელიძე.

პრემიერლიგაში ქართველებს არ უთამაშიათ. ქინქლაძეს და ქეცბაიას ტრავმები მიუღიათ.

**სიმონ მენაბდე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ნიუკასლი | შ | ლესტერი 0:2 | 0 | ტრავმა | 16 | 1 | 11 |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ვესტ ჰემი 1:2 | 0 | ტრავმა | 13 | 1 | 16 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | შეფილდი 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 5 |
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 90 | გაფრთხილება | 18 | 1 | 13 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 0 | დისკვალიფიკაცია | 29 | 4 | 13 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:1 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 13 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | ალკმაარი 4:1 | 90 | 2 გოლი | 11 | 5 | 3 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| არჩილ არველაძე | ბრედა | ს | ჰაარლემი 1:0 | 90 | საგოლე პასი | 23 | 15 | 1 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლომელი 0:1 | 82 | გააძევეს | 16 | 0 | 7 |
| მეორე დივიზიონი | | | | | | | | |
| ლაშა ჯაკობია | ვეზეტი | შ | კორტრაიკი 1:2 | 90 | | 15 | 12 | 17 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | შ | ბადენი 1:2 | 90 | გოლი | 26 | 6 | 12 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | შ | ბადენი 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 1 | 12 |
| **საბერძნეთი** | | | | | | | | |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოდერძი ნატროშვილი | პანაჰაიკი | შ | აეკ 1:1 | 90 | | 14 | 1 | 14 |
| ლევან ქებაძე | ირაკლისი | შ | იონიკოსი 3:2 | 90 | | 5 | 1 | 5 |
| **ლატვია** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | ვალმეირა 3:0 | 90 | | 1 | 0 | 1 |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | ვალმეირა 3:0 | 90 | | 1 | 0 | 1 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | ვალმეირა 3:0 | 31 | შეცვლაზე ითამაშა, გოლი | 1 | 0 | 1 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | ვალმეირა 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 1 |
| ვალერი გაგუა | პოლიციასი | შ | დაუგავა 0:0 | 57 | შეცვალეს, გაფრთხილება | 0 | 0 | 6 |
| **რუსეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | შ | ფაკელი 1:0 | 0 | ტრავმა | 2 | 1 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ალანია | შ | ანჟი 2:3 | 90 | გოლი | 4 | 2 | 15 |
| ლევან სილაგაძე | ალანია | შ | ანჟი 2:3 | 90 | | 4 | 0 | 15 |
| მამუკა წერეთელი | ალანია | შ | ანჟი 2:3 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 2 | 0 | 15 |
| მიხეილ ფოცხვერია | ალანია | შ | ანჟი 2:3 | 2 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 15 |
| დავით გვარამაძე | კრილია | შ | სპარტაკი 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 8 |
| ზურაბ ფოფხაძე | კრილია | შ | სპარტაკი 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 8 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | შ | ნ.ნოვგოროდი 0:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 12 |
| ბადრი სპანდერაშვილი | ჩერნომორეცი | ს | ცსკა 3:0 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 3 |
| ალეკო გოგობერიშვილი | ანჟი | ს | ალანია 3:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 7 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| მიხეილ ჯიშკარიანი | სოკოლი | | | | გადაიდო | 1 | 0 | 6 |
| ზვიად ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | მეტალურგი 1:2 | 90 | | 2 | 0 | 16 |
| გიზო ჯელაძე | ლ.პეტერბურგი | ს | მეტალურგი 1:2 | 90 | გაფრთხილება | 2 | 0 | 16 |
| ბახვა ამბიძე | ვოლგარი | | | | გადაიდო | 1 | 0 | 12 |
| გოჩა გოგრიჭიანი | ჟემჩუჟინა | | | | გადაიდო | 1 | 0 | 13 |
| **უკრაინა** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კახა კალაძე | დინამო | შ | მარიუპოლი 6:1 | 90 | საგოლე პასი | 17 | 1 | 1 |
| გიორგი დემეტრაძე | დინამო | შ | მარიუპოლი 6:1 | 90 | 2 გოლი | 5 | 4 | 1 |
| ალექსანდრე კაიდარაშვილი | კრივბასი | შ | ჩორნომორეცი 2:0 | 62 | შეცვალეს | 5 | 5 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ცსკა | ს | შახტარი 0:3 | 0 | ტრავმა | ? | 0 | 11 |
| ავთანდილ კაპანაძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 90 | გოლი | ? | 8 | 14 |
| ტარიელ კაპანაძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 90 | | ? | 2 | 14 |
| კახა დგებუაძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 1 | 14 |
| ავთანდილ გვიანიძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 90 | | ? | 0 | 14 |
| ავთანდილ სიხარულიძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 45 | შეცვალეს | ? | 3 | 14 |
| შოთა ჩომახიძე | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 73 | შეცვალეს | 3 | 0 | 14 |
| კოტე მეტრეველი | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 14 |
| დიმიტრი არსოშვილი | ნივა | ს | პრიკარპატიე 1:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 14 |
| **პოლონეთი** | | | | | | | | |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | შ | ლეხი 2:0 | 1 | შეცვლაზე ითამაშა | 5 | 0 | 2 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დარასელია | ჰ.ქფარ სავა | შ | ბნეი იეჰუდა 1:1 | 90 | | 30 | 6 | 13 |
| გიორგი გახოკიძე | მ.ჰაიფა | ს | ჰ. ჰაიფა 4:0 | 90 | | 25 | 2 | 3 |
| **ბულგარეთი** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| კობა ნინუა | ბელასიცა | | | | ტური არ გამართულა | 0 | 0 | 10 |
| **მოლდოვა** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| ლევან გვაზავა | ზიმბრუ | შ | კონსტრუქტ. 0:0 | 80 | შეცვალეს | 5 | 0 | 2 |
| დავით მუჯირი | შერიფი | შ | ოლიმპია 0:1 | 90 | | ? | 7 | 1 |
| გიორგი რევაზიშვილი | შერიფი | შ | ოლიმპია 0:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | ? | 0 | 1 |
| ვაჟა თარხნიშვილი | შერიფი | შ | ოლიმპია 0:1 | 90 | | ? | 0 | 1 |
| თამაზ პერტია | შერიფი | შ | ოლიმპია 0:1 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | ? | 0 | 1 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# კერპების მსხვრევა მეოცნებე ელკიაერი

### პირველი „პლატინისშემდგომი“

1986-88 წლების ევროპის ჩემპიონატი ორი მნიშვნელოვანი მოვლენით გამოირჩა. პირველი ის, რომ არსებობა შეწყვიტეს საფრანგეთისა და დანიის „დიდმა გუნდებმა“. მეორე — ევროპას ახალი კერპი, ათი წლის განმავლობაში ჩრდილში მყოფი ჰოლანდიის ნაკრები მოევლინა. ერთი სიტყვით, გარდასულ დღეთა კერპები დაიმსხვრა.

ფრანგები მესამე შესარჩევ ჯგუფში მოხვდნენ, საბჭოთა კავშირის, ისლანდიის, აღმოსავლეთ გერმანიისა და ნორვეგიის გუნდებთან ერთად. საკვალიფიკაციო ტურნირი 86-ის ოქტომბერში დაიწყო და მექსიკის ახალდამთავრებული მსოფლიოს ჩემპიონატის გავლენით, ჯგუფის ფავორიტებად, ცხადია, ისინი ითვლებოდნენ. მათ ჯერ კიდევ ჰყავდათ პლატინი და ტიგანა. თუმც ჟირესს, ბოსისა და როშტოს სანაკრებო კარიერა დაემთავრებინათ. 11 ოქტომბერს პარიზის „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე ფრანგებმა 0:2 წააგეს საბჭოელებთან და ამით, ფაქტობრივად, დამთავრდა კიდეც იმ გუნდის არსებობა, რომელიც 1976 წლიდან შენდებოდა და 1984-ში, ევროპის წინა ჩემპიონატზე, თავის მწვერვალს მიაღწია.

საბჭოელებთან მარცხმა ნაკრებზე პლატინისა და ტიგანასაც აყრევინა გული ერთი ხანობა კაპიტნის სამკლაური პლატინიმ ტიგანას გადააბარა, მაგრამ მალე ტანხმელ მულატსაც მოსწყინდა და წავიდა. „რომც მოგვეგო, დიდი ვერაფერი ნუგეში იქნებოდა. უკვე კარგა ხანია, ვიცი, საფრანგეთი ევროპის ჩემპიონატზე ვერ მოხვდება. სინამდვილე ერთია — ჩვენ კონტინენტის საუკეთესო ნაკრების ტიტული დავკარგეთ“ — წერდა ნორვეგიასთან სამარცხვინო წაგების შემდეგ (0:2) გულდამწვარი პლატინი. მატჩი 1987-ის 16 ივნისს ოსლოში გაიმართა და ეს გახლდათ ფრანგთა პირველი „პლატინისშემდგომი“ თამაში. იქაურმა პრესამ ოსლოში მარცხი კატასტროფად მონათლა და გუნდის მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავება მოითხოვა. საინტერესოა, მაგრამ ფაქტია, რომ ყველაზე დიდი პრობლემა ფრანგებს თავდასხმაში ჰქონდათ. არადა, უკვე თამაშობდნენ მაშინ „მარსელის“ ფორვარდი ჟან-პიერ პაპენი და „ოსერის“ ერიკ კანტონა. თუ პაპენს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი უკან მოეტოვებინა, კანტონა ჯერ პირველ ნაბიჯებს დგამდა. „ჩვენ ნიჭიერ ახალგაზრდებს უნდა გამოვაჩენინოთ თავი, თუნდაც ფარჟონს, პაპენს ან კანტონას“ — ფრანგთა მწვრთნელის ანრი მიშელის ეს სიტყვები ბევრს ნიშნავდა, მალე „სამფეროვანთა“ მაისურა ახალმა ხალხმა მოირგო. „პლატინის ეპოქა“ კი, ალბათ, ფრანგთა ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე დიდებული, ისტორიას ჩაბარდა.

### „დანიური დინამიტის“ აღსასრული

ახლა ევრო 88-ის ფინალურ ეტაპსაც მივხედოთ, რომელმაც კიდევ ერთი ჩინებული გუნდის დაბერება-დაუძლურების ამბავი ცხადყო.

ტურნირზე დანია მეექვსე შესარჩევი ჯგუფიდან მოხვდა, სადაც მათ ჩეხოსლოვაკებს, უელსსა და ფინეთს აჯობეს. როცა ფინალური ეტაპის წილისყრამ დანია ესპანეთთან, დასავლეთ გერმანიასა და იტალიასთან მოახვედრა, მწვრთნელი ზეპ პიონტეკი კმაყოფილი დარჩა: „კარგია, რომ ესპანელები ჩვენი მეტოქეები არიან. ახლა შანსი გვეძლევა, ორი წლის წინანდელი მარცხისთვის რევანში ავიღოთ. მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ხომ 5:1 მოგვიგეს. მოუთმენლად ველით ამ თამაშს და გვჯერა, რომ ნახევარფინალში გასვლას შევძლებთ“ — ასეთი იყო დანიელთა გერმანელი დამრიგებლის კომენტარი.

„ნებისმიერი ფეხბურთელი კარიერის ღირსეულად დამთავრებაზე ფიქრობს. უკვე ოცდაათს გადავცილდი და ევრო 88 ჩემთვის, ალბათ, ბოლო სერიოზული ტურნირი იქნება. ამიტომ, მინდა, ჩემპიონები გავხდეთ. 1984-ში, საფრანგეთში, ნახევარფინალში გავედით, ახლა კი, მგონი, მეტის გაკეთება ძალგვიძს“ — ეს დანიელთა ლიდერის პრებენ ელკიაერ-ლარსენის სიტყვებია. ოცნება ოცნებად, მაგრამ ამ გუნდის დღეები უკვე დათვლილი იყო. მთავარი მიზეზი კი ფეხბურთელების ასაკი გახლდათ. თავად განსაჯეთ, ფრანკ არნესენი 31-ის გამხდარიყო, სორენ ბუსკი — 34-ის, ივან ნილსენი — 32-ის, მორტენ ოლსენი — 38-ის...

ერთ დროს ჩინებულმა გუნდმა პირველივე მატჩში დაყარა ფარ-ხმალი. თანაც ვისთან, მოსისხლე მტერ ესპანეთთან (2:3). 11 ივნისს ჰანოვერის „ნიდერზაკსენშტადიონზე“ 55 ათასი მაყურებელი შეიკრიბა. 66-ე წუთისთვის ესპანელები 3:1-ს იგებდნენ და ერთი სანუგეშო ბურთის გატანა ფლემინგ პოულსენმა მხოლოდ 82-ზე შეძლო. თანაც პირველ ნახევარში ესპანელებმა პენალტი გააცუდეს.

„მეტოქემ შესანიშნავად ითამაშა, მაგრამ, ვფიქრობ, მატჩის ფრედ დამთავრებაც შეიძლებოდა და ეს უფრო სამართლიანი შედეგი იქნებოდა. სხვა მხრივ, ვერ დავმალავ, ჩემი გუნდი ისეთ თამაშს ველარ აჩვენებს, როგორსაც 1984 წლის ევროპისა და 1986-ის მსოფლიოს ჩემპიონატებზე მივეჩვიეთ. ბევრმა წამყვანმა მოთამაშემ სრულფასოვანი მომზადება ვერ გაიარა, ზოგიც ტრავმებმა გააწამა, თუმცა ნახევარფინალში გასვლის შანსი ჯერ არ დაგვიკარგავს“ — ეს პიონტეკის მატჩისშემდგომი კომენტარი გახლავთ.

სამი დღის შემდეგ გელზენკირხენის „პარკშტადიონზე“ დანიელები მასპინძელ გერმანელებთან 0:2 დამარცხდნენ. იურგენ კლინსმანმა და ოლაფ ტონმა პიონტეკის გუნდს ბოლო მოუღეს. „მეგონა, მოვიგებდით, მაგრამ რა გაეწყობა. საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ. გამოგიტყდებით, გაწბილებული ვარ. ეს მარცხი არა მხოლოდ ნახევარფინალისკენ გზას გვიკეტავს, არამედ დანიური ფეხბურთის სახელოვანი წიგნის ბოლო გვერდსაც ავსებს. წიგნისა, რომელიც განუმეორებელმა ელკიაერმა და მისმა მეგობრებმა დაწერეს. სხვა გზა არ არის, ახალი გუნდის შენება უნდა დავიწყოთ“ — გულდაწყვეტილი ამბობდა პიონტეკი.



1986 წლის 11 ოქტომბერი. ევროშესარჩევი მატჩი. საფრანგეთი — სსრკ 0:2. ალექსანდრე ჩივაძემ იანიკ სტოპირას დაასწრო

ბოლო მატჩი, რომელიც იტალიამ ალტობელისა და დე აგოსტინის გოლებით 2:0 მოუგო, სკანდინაველთათვის არაფერს წყვეტდა. ჩრდილოელთათვის ევრო 88 უსახელოდ დამთავრდა. თუმც ერთ დიდ საქმეს მაინც ჩაეყარა საფუძველი. ნაკრებში ახალგაზრდები — შმაიხელი, ჰაინცე, ვილფორტი და პოულსენი გამოჩნდნენ, ფეხბურთელები, რომლებმაც ოთხი წლის შემდეგ დანიას ევროპის ჩემპიონის ტიტული მოუპოვეს.

### როგორ წააგო „კაიზერმა“ „გენერალთან“

მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გფრ-ის ნაკრებში ბევრი ცვლილება მოხდა. ორი წლის განმავლობაში ასაკის გამო ნაკრებიდან ბრიგელი, ფიორსტერი, რუმენიგე და ედერი წავიდნენ. მეკარე შუმახერი კი სკანდალური წიგნის გამოქვეყნების გამო გააგდეს. მწვრთნელი ფრანც ბეკენბაუერი იმედოვნებდა, რომ ახალგაზრდები ღირსეულად შეცვლიდნენ ვეტერანებს, მაგრამ გუნდის გადახალისება არცთუ იოლი საქმე გამოდგა.

„კაიზერ ფრანცს“ სჯეროდა, რომ ჭაბუკი ოლაფ ტონი და ჰანს დიორფნერი ბუნდესნაკრების ლიდერებად იქცეოდნენ, მაგრამ ვარაუდი არ გაუმართლა. ამას ტრავმებიც დაემატა. რომში გადაბარგებული რუდი ფიოლერი ერთთავად დაშავებული იყო, ხოლო საუკეთესო თავდამსხმელმა კლაუს ალოფსმა მენისკის ოპერაცია გაიკეთა და ჩემპიონატს გამოაკლდა. ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე უკმაყოფილო ბეკენბაუერმა ერთვნულში ოლიმპიური ნაკრებიდან ექვსი ფეხბურთელი გადაიყვანა და ყველას აგრძნობინა, ადგილი დაჯავშნული [illegible]რავის გაქვთო.

ასეთი პრობლემების მიუხედავად, დასავლეთგერმანელებს მაინც ყველა მთავარ ფავორიტად მიიჩნევდა. ბუნებრივიც იყო, ისინი ხომ შინ თამაშობდნენ და მეორეც, დღევანდელისგან განსხვავებით, მაშინ გერმანია ყველასთვის საშიში მოწინააღმდეგე გახლდათ.

ჯგუფური ტურნირი გერმანელებმა ისე გაიარეს, როგორც მასპინძლებს ეკადრებოდათ. ფრე (1:1) გახსნის მატჩში იტალიასთან, მოგებები დანიასთან და ესპანეთთან (ორივე 2:0). აი, ბეკენბაუერის სიტყვებიც: „ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით. ჩინებულად ითამაშეს. ახლა არავისი გვეშინია. საკუთარი ძალისა ვირწმუნეთ, ამიტომ ნახევარფინალში სულ ერთია, ვინ შეგვხვდება. ყველას დამარცხება ძალგვიძს“.

ასე ფიქრობდა „კაიზერ ფრანცი“ ჰოლანდიასთან ნახევარფინალის 89-ე წუთამდე. ანუ მანამდე, სანამ მარკო ვან ბასტენმა რაღაც არაჩვეულებრივი გოლი არ გაუტანა მეკარე აიკე იმელს: „ასეთი რამ მხოლოდ საშინელ სიზმარში შეიძლება დაგესიზმროს“ — თქვა ნამატჩევს ბეკენბაუერმა და მსაჯის მიერ გერმანელთა კარში დანიშნული პენალტი უმართებულოდ მიიჩნია. ბასტენის გოლამდე მოწინააღმდეგეებმა ერთმანეთს თერთმეტმეტრიანები შეუგდეს. საბოლოოდ, 2:1 ჰოლანდიის სასარგებლოდ. ასე წააგო „კაიზერმა“ „გენერალთან“ (ჰოლანდიელთა მწვრთნელის რინუს მიხელსის მეტსახელი).

ბეკენბაუერის უკმაყოფილების მიუხედავად, ფინალში უფრო ძლიერი ჰოლანდია გავიდა. „კაიზერ ფრანცის“ გუნდს კი პიკი ორი წლის შემდეგ დაუდგა, როცა იტალიის მსოფლიოს პირველობაზე ჰოლანდიასაც მოუგო, არგენტინასაც და მსოფლიოს ჩემპიონი გახდა.



დანიელი ქომაგები საკუთარი ნაკრების გამოსვლას ასე შეხვდნენ

# პრესინგი, პრესინგი, პრესინგი
# რა დააშავა სულაქველიძემ?




სარბიელის არქივიდან

1988 წლის 15 ივნისი. საბჭოთა კავშირის ნაკრები ირლანდიელებთან მატჩის წინ.
მარცხნიდან დგანან: დასაევი, ხიდიატულინი, დემიანენკო, კუზნეცოვი, ალეინიკოვი, მიხაილიჩენკო;
სხედან: სულაქველიძე, ზავაროვი, ბელანოვი, რაცი, პროტასოვი

## ჯეკი ჩარლტონის მამაცი არმია

„მჯერა, გერმანიის სტადიონებზე კარგ ფეხბურთს ვაჩვენებთ. შესანიშნავი მოთამაშეები მყავს. მაგალითად, ოთხი ლივერპულელი: მარკ ლოურენსონი, რეი ჰოუტონი, რონი ველანი და ჯონ ოლდრიჯი. ორნი კი, პოლ მაკგრაფი და კევინ მორანი, „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშობენ. გარწმუნებთ, გერმანიაში სასეირნოდ არ მივდივართ. ხოლო ჩვენი ოცნებაა, 25 ივნისს ფინალში ინგლისი დავამარცხოთ..." ირლანდიის ნაკრების მწვრთნელის, ჯეკი ჩარლტონის ეს სიტყვები ბევრმა ბრიტანული შავი იუმორის მორიგ შედევრად მონათლა. თუმცა, ფინალში არა, მაგრამ...

იცით, როგორ მოხვდნენ ირლანდიელები ფინალურ ეტაპზე? მათ 11 ქულა მოეგროვებინათ და ბოლო ტურში ბულგარეთ-შოტლანდიის ანგარიშს ელოდნენ. ფრის შემთხვევაშიც კი, პირველ ადგილს ბულგარელები იკავებდნენ. მწვრთნელი ხრისტო მლადენოვი დარწმუნებული იყო თავისიანების წარმატებაში, მით უმეტეს, ბულგარელებს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შინ ოფიციალური მატჩი არ წაეგოთ, მაგრამ სქოთების მენეჯერმა ენდი როქსბურგმა ჭეშმარიტი ჯენტლმენობა გამოიჩინა, სოფიაში უძლიერესი შემადგენლობა ჩაიყვანა და დამთავრებამდე სამი წუთით ადრე მაკკეიმ გამარჯვებისა შეაგდო. 0:1 და ბულგარელები მეორე ადგილზე დარჩნენ. ირლანდია კი... როცა ეს ამბავი დუბლინში გაიგეს, ქუჩები ხალხით გაივსო. ზეიმი ლამის დილამდე გაგრძელდა. ირლანდიელთა საუკეთესო ფეხბურთელი, სიხარულისგან გაოგნებული ლაიამ ბრეიდი კი ვერაფრით მიმხვდარიყო, რა მოხდა: „გაოცებული ვარ. ცხადია, ჯგუფში პირველ ადგილს ვიმსახურებდით, მაგრამ თუ სიმართლე გაინტერესებთ, არ მეგონა, რომ შოტლანდია სოფიაში გაიმარჯვებდა" — ასეთი იყო პირველი სიტყვები, რომლებიც მან ადგილობრივ ტელევიზიას უთხრა. თუმცა, ბრეიდის ერთი ოცნება მაინც აუხდენელი დარჩა. ევრო 88-ზე ვერ ითამაშა. არადა, 12 ივნისს პირველ მატჩში შტუტგარტის „ნეკერშტადიონზე" ირლანდია მოსისხლე ინგლისს ხვდებოდა. კონტინენტისთვის უცნობი გუნდი ერთ-ერთ მთავარ ფავორიტს უნდა შებმოდა. მე-6 წუთზე რეი ჰოუტონის თავურით გატანილ ბურთს ირლანდიელებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა და სიმამაცე დაამატეს და აკი გაიმარჯვეს კიდეც. 1:0... ირლანდიის ისტორიული გამარჯვება ინგლისზე. მერე თითქმის ყველა გაზეთში დაიბეჭდა ტრიუმფატორთა ერთ-ერთი მწვრთნელის ბირნის ფოტო, რომელიც ნამატჩევს მინდორზე დაჩოქილიყო და ღმერთს მადლობას სწირავდა.



სარბიელის არქივიდან

1988 წლის 12 ივნისი. ინგლისი — ირლანდია 0:1. მე-6 წუთზე რეი ჰოუტონმა მატჩის ერთადერთი გოლი გაიტანა

„ეს იყო ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წუთები" — თქვა ჯეკი ჩარლტონმა. საინტერესოა, არა? ამას ამბობს კაცი, რომელმაც 1966 წელს ინგლისის ნაკრებთან ერთად მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა...

ირლანდიას არც მომდევნო მატჩში შეურცხვენია თავი. უგებდა საბჭოთა კავშირს, გოლიც ერთობ ლამაზი გამოუვიდა. მიკ მაკარტიმ (ირლანდიელთა დღევანდელმა მწვრთნელმა) აუტიდან დაახლოებით 35 მეტრზე გადააგდო ბურთი, საჯარიმოს სიახლოვეს მდგომმა რონი ველანმა შეუჩერებლივ დაარტყა. საბჭოელთა მეკარე დასაევმა ვერაფერი მოახერხა. დამთავრებას თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ოლეგ პროტასოვმა გაქვითა.

ჯგუფის ბოლო მატჩში კი ირლანდიელები მომავალ ჩემპიონ ჰოლანდიასთან დამარცხდნენ. აქაც „ნარინჯისფერებმა" ბოლოსკენ, დამთავრებამდე ცხრა წუთით ადრე გატეხეს მედგარი ირლანდიელების წინააღმდეგობა. ჯეკი ჩარლტონის ბიჭები ნახევარფინალში ვერ გავიდნენ, თუმცა საუკეთესო შთაბეჭდილება კი დატოვეს.

## ლობანოვსკის რაკეტა

საბჭოელები ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თექვსმეტწლიანი შესვენების შემდეგ მოხვდნენ. მაშინ, 1972-ში, მათ ფინალამდე მიაღწიეს და იქ დასავლეთგერმანელებთან 0:3 დამარცხდნენ. იმ გუნდში ორი ქართველი — რევაზ ძოძუაშვილი და მურთაზ ხურცილავა თამაშობდა. ამჯერად გერმანიაში წასვლის პატივი მხოლოდ ერთს, თენგიზ სულაქველიძეს ხვდა, თუმცა შესარჩევ ტურნირში ალექსანდრე ჩივაძეც მონაწილეობდა.

მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ვალერი ლობანოვსკიმ თანამდებობა შეინარჩუნა. ის კვლავ საბჭოელთა მთავარი მწვრთნელი გახლდათ. მესამე შესარჩევ ჯგუფში კი ფინალური საგზურისთვის ფრანგებთან, ისლანდიასთან, გდრ-სთან და ნორვეგიასთან უნდა მოესინჯათ ძალა.

პირველი საკვალიფიკაციო მატჩი საბჭოელებმა 1986 წლის 24 სექტემბერს რეიკიავიკში გამართეს და კერკეტ ისლანდიასთან 1:1 ითამაშეს. ამ დღეს ნაკრებში თენგიზ სულაქველიძე გამოჩნდა და თავისი დაბრუნება გოლითაც აღნიშნა. რატომ დაბრუნება? საქმე ისაა, რომ თბილისის „დინამოს" ლიდერს წელიწადზე მეტხანს არ ეთამაშა ნაკრებში. 1985 წლის 5 ივნისს საბჭოელებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა წააგეს დანიასთან (2:4). მაშინ სკანდინაველებმა საშინელ დღეში ჩააგდეს მოწინააღმდეგე. მწვრთნელი ედუარდ მალოფეევი სასოწარკვეთილი იჯდა სკამზე. ჩინებულ ფორმაში მყოფ ელკიაერთან სხვებზე ხშირად სულაქველიძეს უხდებოდა ჭიდაობა. აბა, რას გააწყობდა. ამ მატჩის შემდეგ ვიდრე რეიკიავიკამდე ის რატომღაც მიავიწყდათ, თუმც 1986 წლის მაისიდან ნაკრებს უკვე ვალერი ლობანოვსკი ხელმძღვანელობდა.

ყველასათვის მოულოდნელად, ისლანდიელმა გუდიონსონმა გახსნა ანგარიში. ტაიმის მიწურულს კი სულაქველიძემ გაათანაბრა: ალექსანდრ ზავაროვის ძლიერი დარტყმა მცველმა კი მოიგერია, მაგრამ იქვე მყოფმა სულაქველიძემ დაამატა და თავისიანებს მოსკოვში ერთი ქულა წამოაღებინა.

მომდევნო მატჩმა პარიზში, ფაქტობრივად, ჯგუფის გამარჯვებულის ბედი გადაწყვიტა. საბჭოელებმა ბელანოვისა და რაცის გოლებით 2:0 მოუგეს ფრანგებს. სულაქველიძეს ტრავმის გამო არ უთამაშია, სამაგიეროდ, ჩვეულად გაიბრწყინა ალექსანდრე ჩივაძემ. დასაწყისშივე მისი სწრაფი გარღვევა ფრანგებმა უხეშობით შეაჩერეს. საჯარიმო თავად ჩივაძემ შეასრულა, ძლიერად დარტყმული ბურთი ძელს მოხვდა, შემდეგ მეკარე ბატსს და ისევ ძელს... გოლი კი მაინც არ გავიდა. ჩივაძე ამ მნიშვნელოვანი მატჩის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა გახლდათ. აი, რას წერდნენ მაშინდელი გაზეთები:

„საშამ სოლიდურად ითამაშა. როცა ის დაცვაშია, გარშემო მყოფნიც მშვიდად არიან. ეს არცაა გასაკვირი. ჩივაძე ხომ მაღალი კლასის ოსტატია... ჩივაძე გვერდში ეგულებოდათ და განაპირა მცველები — ბესონოვი და დემიანენკო შეტევაშიც ხშირად ერთვებოდნენ. ერთი ასეთი [illegible] გოლითაც დამთავრდა".

კარგად დაწყებული საქმე ლობანოვსკის გუნდმა ბოლომდე მიიყვანა. 13 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და როგორც ვთქვით, თექვსმეტწლიანი პაუზის შემდეგ ევროპული ფეხბურთის ელიტაში კვლავ მოხვდა. სხვებთან ერთად გერმანიაში თენგიზ სულაქველიძეც წაიყვანეს, მას ცამეტნომრიანი... მაისურა ერგო. ჩივაძე კი ამ დროისათვის საკუთარი ნებით გამოთხოვებოდა ნაკრებს.

ფინალური ეტაპის პირველივე შეხვედრაში ლობანოვსკის საკუთარი ტრადიციისთვის არ უღალატია. კიოლნში საბჭოელებმა ტურნირის ერთ-ერთი ფავორიტი ჰოლანდია დაამარცხეს. შედეგი ბევრს არ გაჰკვირვებია. გაიხსენეს, რომ ორი წლის წინ ლობანოვსკის გუნდმა ასევე რიხით დაიწყო მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატი, გახსნის მატჩში უნგრელებს 6:0 მოუგო და შეჯიბრების ფავორიტადაც გამოცხადდა, მაგრამ მერვედფინალში ბელგიასთან წაიტეხა ცხვირი. ამჯერად ლობანოვსკის შეგირდები უფრო შორს წავიდნენ. ჰოლანდიასთან გახსნის შეხვედრაში კი ვასილი რაცის გოლი ერთადერთი აღმოჩნდა.

იოჰან კრუიფი: „კარგი თამაში იყო. ჰოლანდიას შვიდი საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ საბჭოელთა კარს მსოფლიოს დონის მეკარე იცავდა".

რინუს მიხელსი (ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): „თითქოს მატჩი ჩვენთვის სასიკეთოდ ვითარდებოდა, მაგრამ ფეხბურთში ყველაფერს ანგარიში წყვეტს. ჩემმა ფეხბურთელებმა საბჭოელთა დაცვის გარღვევა ვერ შეძლეს".

თენგიზ სულაქველიძე ამ მატჩში მინდორზე ბოლო წუთზე გავიდა. ალექსანდრ ზავაროვი შეცვალა. მომდევნო შეხვედრაში კი ირლანდიელებთან, სასტარტოში გამოჩნდა და პირველი ტაიმი ითამაშა. მაშინ საბჭოელები ძლივს გადარჩნენ, ჯგუფის მესამე მატჩში კი მათ ყველასგან დაბრიყვებულ ინგლისს 3:1 სძლიეს.

დადგა ნახევარფინალების დროც. ლობანოვსკის გუნდს ახალგაზრდა, თუმცა ერთობ ამბიციურ იტალიის ნაკრებთან უნდა ეთამაშა. ყველას კარგად ახსოვდა გაზაფხულზე გამართული ამავე გუნდების მატჩი ბარიში, სადაც ვიალიმ და მისმა მეგობრებმა საბჭოელები 4:1 გაამცამტვერეს. მაგრამ ამჯერად, შტუტგარტში, კოკისპირულ წვიმაში სსრკ შეუჩერებელი გახლდათ. ეს ალბათ, საბჭოთა კავშირის ნაკრების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო: ანგარიში 2:0, მეგოლეები ლიტოვჩენკო და პროტასოვი. მაგრამ მთავარი ის სისწრაფე და პრესინგი გახლდათ, რომლითაც მთელი ევროპა მოიხიბლა. „დღეს ჩვენ კონტინენტის მომავალი ჩემპიონი ვიხილეთ" — თქვა იტალიელთა ვეტერანმა სანდრო მაცოლამ. „ძალიან ძლიერ გუნდთან წავაგეთ. მათ შესაშური ფიზიკური მომზადება გამოავლინეს" — ეს იტალიელთა მწვრთნელ აძელიო ვიჩინის სიტყვებია.

ვალერი ლობანოვსკი: „უპირველესად ყურადღება სისწრაფეს მივაქციეთ. ფეხბურთელებს მთავარ მიზნად დავუსახე მოწინააღმდეგისთვის სივრცე მაქსიმალურად შეეზღუდათ. იტალიელები ძალიან ტექნიკურები არიან და მათთვის თავისუფლების მინიჭება თვითმკვლელობას ნიშნავს. ამიტომ, მთელი მატჩის განმავლობაში პრესინგი ვითამაშეთ, რაც ფეხბურთელებისგან უდიდეს ფიზიკურ და ფუნქციურ მომზადებას მოითხოვს. შეხვედრის წინ მათ ვკითხე, მზად იყვნენ თუ არა პრესინგის სათამაშოდ, ოცივემ დადებითი პასუხი გამცა (მაშინ განაცხადში ოცი ფეხბურთელის შეყვანა შეიძლებოდა)".

აი, ასე მოხვდნენ საბჭოელები ფინალში, სადაც კვლავ ჰოლანდიელებს უნდა შებმოდნენ.

# ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანი

## HUP HOLLAND HUP!

70-იანი წლების დასაწყისში ამსტერდამის „აიაქსმა“ მთელი მსოფლიო მოხიბლა. მათ მიერ მოგონილი ტოტალური ფეხბურთი მანამდე არნახული და გასაოცარი რამ იყო. „აიაქსმა“ 1971, 72 და 73 წლებში ჩემპიონთა თასი მოიგო. 1974-ში მის ბაზაზე შექმნილმა ჰოლანდიის ნაკრებმა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში წააგო დასავლეთგერმანელებთან. ტოტალური სტილის მამამთავრად „ნარინჯისფერთა“ მაშინდელი მწვრთნელი რინუს მიხელსი ითვლება. სწორედ მის ხელში აღზევდა მანამდე უცნობი ჰოლანდიური ფეხბურთი.

მერე იყო არგენტინის 1978 წლის მსოფლიოს თასი. ისევ ფინალში მარცხი მასპინძელთან. ბოლოს ევრო 80, რომელსაც ჰოლანდიელთათვის სახელი არ მოუტანია. 1988 წლამდე „ნარინჯისფერები“ აღარსად გამოჩენილან. აი, გერმანიის ევროპის ჩემპიონატზე კი...

1986 წელს რინუს მიხელსმა, გულის ავადმყოფობის მიუხედავად, ისევ ჩაიბარა ჰოლანდიელთა მთავარი გუნდი. მან კეს რივერსი და ლეო ბეენჰაკერი შეცვალა. ამ დროს დაემთხვა „აიაქსისა“ და „პსვ ეინდჰოვენის“ აღზევებაც. 1987-ში იოჰან კრუიფის თავკაცობით „აიაქსმა“ თასების თასი მოიგო. მისმა ფეხბურთელებმა კვლავ ნაკრების ბირთვი ჩამოაყალიბეს. მომდევნო წელს „ეინდჰოვენმა“ ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გაიმარჯვა და კონტინენტის ჩემპიონატის წინ ეროვნულ გუნდს ჩინებული განწყობა შეუქმნა. ბრწყინვალე ფორმაში იყო ევროპის 1987 წლის „ოქროს ბურთის“ მფლობელი იტალიური „მილანის“ ნახევარმცველი რუდ გულიტი. მას არც ჰოლანდიელთა დღევანდელი მთავარი მწვრთნელი ფრანკ რაიკარდი ჩამორჩებოდა. აი, მთავარი მეგოლე მარკო ვან ბასტენი კი ტრავმირებული გახლდათ და ტურნირის დაწყებამდე კარგა ხანს არ ეთამაშა. ცხადია, საბრძოლო ფორმაშიც ვერ იყო, მაგრამ მიხელსმა ჩემპიონატზე მაინც წაიყვანა. წაიყვანა და...

1974 წლის ნაკრებს ჰოლანდიაში საუკეთესოდ მიიჩნევენ. მიხელსი კი სხვაგვარად ფიქრობს. როცა ევრო 88-ის დაწყებამდე ჰკითხეს, რა განსხვავებაა მაშინდელსა და დღევანდელ გუნდებს შორისო, მწვრთნელმა მიუგო: „ერთადერთი სხვაობა ისაა, რომ 14 წლით დავბერდი. სხვა მხრივ მაშინდელივით დიდებული გუნდი გვყავს.“ 1988-ში მიხელსი 60 წლის გახლდათ და გამოცდილი კაცისთვის ალღოს არ ულალატია. ჰოლანდიის ნაკრებმა გერმანიაში დიდებული ფეხბურთი აჩვენა. ვან ბასტენი, გულიტი და მათი მეგობრები, ალბათ, რომანტიკული ფეხბურთის ერთ-ერთი ბოლო წარმომადგენლები იყვნენ. იმ ფეხბურთისა, რომელიც ესთეტიკური უფრო იყო, ვიდრე დინამიკური.




1988 წლის 15 ივნისი. ჰოლანდია — ინგლისი 3:1. მარკო ვან ბასტენმა ჰეთ თრიქით გამოიჩინა თავი

კიოლნში საბჭოელებთან დამარცხების შემდეგ, ჰოლანდია ინგლისს ხვდებოდა. ამ მატჩში წაგებული ნახევარფინალში გასვლის ყველანაირ შანსს კარგავდა და, ცხადია, პასუხისმგებლობა თუ დაძაბულობაც დიდი იყო. პირველი ტაიმის დამთავრებას წუთი უკლდა, როცა ვან ბასტენმა ეფექტური გოლი გაიტანა. მეორეს დასაწყისშივე ინგლისელთა კაპიტანმა ბრაიან რობსონმა გაათანაბრა, მაგრამ ვან ბასტენის გამჩერებელი იმ დღეს არავინ იყო. „მილანის“ 23 წლის ფორვარდმა კიდევ ორჯერ აჯობა ინგლისელთა გამოცდილ მეკარე პიტერ შილტონს. 3:1 და ვან ბასტენის ბრწყინვალე ჰეთ თრიქი.

რინუს მიხელსი: „ვან ბასტენის პირველმა გოლმა დიდი სამსახური გაგვიწია. ამან, მგონი, ინგლისელები დააბნია და ანგარიშიც უფრო ინერციით გაათანაბრეს. ინიციატივა ჩვენ გვეპყრა და დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ვან ბასტენმა კი ჩინებულად ითამაშა. მარკომ შეგვახსენა, რომ სულით ბომბარდირია.“

ჯგუფის ბოლო შეხვედრაში მიხელსის გუნდს ერთობ გაუჭირდა კერკეტ ირლანდიასთან. ერთადერთი გოლი მატჩის მიწურულს შეაგდო კიფტმა, თუმცა ირლანდიელებმა მიიჩნიეს, რომ ამ ეპიზოდში საჯარიმოში მდგარი ვან ბასტენი თამაშგარეში იმყოფებოდა. ეს ამბავი არც მსაჯს გამოჰპარვია, თუმცა... პასიური ოფსაიდი იყოო — ასე განსაჯა.

ნახევარფინალში ჰოლანდიელთა მეტოქე მასპინძელი გერმანია გახლდათ. თამაშის წინ ყველა 14 წლის წინანდელ ფინალს იხსენებდა, როცა ბეკენბაუერის გფრ-მ 2:1 მოუგო კრუიფის ჰოლანდიას. ინტრიგა უდიდესი იყო. „ნარინჯისფერებს“ ხომ მაშინდელივით მიხელსი წვრთნიდა, გფრ-ს კი იმ ჩემპიონატის გმირი — ფრანც ბეკენბაუერი.

სტატისტიკა მასპინძლების უპირატესობას ამტკიცებდა. ჰოლანდიას დაახლოებით 30 წელი არ მოეგო გერმანიისთვის... მაგრამ რეალობა უკვე სხვა გახლდათ. როგორც ჩანს, გერმანელებს ცოტა ეშინოდათ კიდეც მეტოქის. აი, რას ამბობდა მასპინძელთა მთავარი მეგოლე რუდი ფოილერი: „ჰოლანდიელებს რამდენიმე სუპერვარსკვლავი ჰყავთ. მათ ბოლომდე ჯერ არ უჩვენებიათ საკუთარი თავი. ისინი ორჯერ ძლიერები არიან, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ძალიან რთული თამაში გველის, მაგრამ უნდა გავიმარჯვოთ.“ როგორ ფიქრობთ, სჯეროდა ფოილერს თავისი გუნდის მოგების?

„გერმანელებს ჩვენი შეტევების ეშინოდათ და, როგორც ნახეთ, არცთუ უსაფუძვლოდ. როცა გფრ-ის გუნდს ეთამაშები, არასოდეს უნდა ინერვიულო, თორემ მაშინვე დაისჯები“ — ეს რუდ გულიტის მატჩისშემდგომი კომენტარი გახლავთ. ჰოლანდიამ ისტორია შემოაბრუნა, ჰამბურგში, „ფოლკსპარკშტადიონზე“ მოუგო დასავლეთ გერმანიას 2:1. უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ გუნდებმა პენალტები გაცვალეს: ლოთარ მათეუსის თერთმეტმეტრიანს რონალდ კუმანმა უპასუხა. დამთავრებამდე სულ წუთიღა რჩებოდა. მოწინააღმდეგის საჯარიმოსთან მყოფმა ვან ბასტენმა იან ვოუტერსის გადაცემა მიიღო, წამის მეათედით აჯობა პერსონალურ მეურვე იურგენ კოლერს და ვარდნაში, მისგან შორეულ კუთხეში „ჩასვა“ ბურთი. ასეთ დრამატულ დასასრულს არავინ ელოდა. ბეკენბაუერი, რომელიც ცდილობდა, სიმშვიდე გარეგნულად მაინც გამოეხატა, მომხდარს გაფითრებული უცქერდა. მიხელსის გეგმამ გაამართლა. მან მოედნის შუაში შექმნილი რიცხობრივი უპირატესობის წყალობით მეტოქე წელში გაწყვიტა და გათიშა.

ფრანც ბეკენბაუერი: „რაც შეგვეძლო, გავაკეთეთ, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. თითქმის ყველაფერი კარგად აეწყო, ანგარიშიც გავხსენით, მაგრამ ვან ბასტენის ის გოლი...“

მაშ ასე, 1988 წლის 25 ივნისი, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონი“. ფინალი. მიხელსის რომანტიკოსები ლობანოვსკის მანქანის წინააღმდეგ. ჰოლანდიის ნაკრებისთვის ეს მესამე ფინალია. წინა ორში რომ დამარცხდნენ, მაგრამ ტრადიცია აქაც ირღვევა. 32-ე წუთზე რუდ გულიტს პირველი ბურთი გააქვს რინატ დასაევის კარში. მეორე ტაიმის დასაწყისში კი ვან ბასტენი კიდევ ერთ სასწაულს სჩადის: საჯარიმოს კუთხეში მდგარი გრძელ გადაცემას იღებს, შეუჩერებლივ, რაღაც ფანტასტიკური ტრაექტორიით ურტყამს ბურთს და საბჭოელთა კარის „ცხრიანში“ ათავსებს. მოგვიანებით ბეკენბაუერი ამას „საუკუნის გოლს“ დაარქმევს. ორბურთიანი უპირატესობა ჰოლანდიელებისაა, მაგრამ აი, მათ კარში პენალტი ინიშნება, ფრანგი მსაჯი ვოტრო „ნარინჯისფერებს“ გოცმანოვის წაქცევისთვის აჯარიმებს... და რა? ბელანოვის დარტყმულს ვან ბრეკელენი იგერიებს... მორჩა, ჰოლანდია ჩემპიონია!

ვალერი ლობანოვსკი: „თამაში ფინალის საკადრისი გამოდგა. ვფიქრობ, მაყურებელი კმაყოფილი დარჩა. ორივე გუნდს გატანის არაერთი შანსი ჰქონდა, თუმც ნაღდი მომენტები ჩვენ მეტი შევქმენით.

რინუს მიხელსი: „მოხარული ვარ, რომ ჩემი ბოლო მატჩი ნაკრებში ტრიუმფით დამთავრდა (მიხელსი ზაფხულიდან „ლევერკუზენში“ სამუშაოდ გადავიდა). ეს თასი კი საჩუქარია ჰოლანდიელი გულშემატკივრებისთვის. შემხედეთ, თქვენს წინაშე ცხოვრებით კმაყოფილი ადამიანია.“

გადამწყვეტი მატჩის დღეს პოლიციამ დაახლოებით 80 ადამიანი დააპატიმრა. უმეტესად წვრილმანი ქურდობისა და ბილეთების გადაყიდვისათვის. ასევე ქომაგებს 2 ათასამდე ქილა ლუდი წაართვეს, თუმცა ზოგიერთმა შაზარხოშება მაინც მოახერხა. მიუხედავად ამისა, ნაფინალევს არეულობები არ მომხდარა, ჰოლანდიელები ცნობილ HUP HOLLAND HUP-ს გაიძახოდნენ და ერთმანეთს ულოცავდნენ. საბჭოთა ტურისტები კი იქ ძალიან ცოტანი იყვნენ....

ჩემპიონობისთვის თითოეულმა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა 100 ათასი მარკა მიიღო. ვან ბასტენი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ახალთახალი „ოპელიც“ აჩუქეს. გამოკითხვის შედეგად მეორე ადგილზე რუდ გულიტი გავიდა, მესამეზე — ფრანკ რაიკარდი. მწვრთნელი მიხელსი და კაპიტ ი გულიტი კი ჰოლანდიის მთავრობამ საპატიო ორდენებით დააჯილდოვა.




რუდ გულიტი მეშვიდე ცაზე...




ევროპის თასი — რინუს მიხელსის საჩუქარი ჰოლანდიელ ქომაგებს




1988 წლის 25 ივნისი. ჰოლანდია — სსრკ 2:0. ოლეგ პროტასოვი ფრანკ რაიკარდის წინააღმდეგ

**მონაწილე: 33 გუნდი; სულ გატანილია 313 ბურთი**

**ბომბარდირი: მარკო ვან ბასტენი (ჰოლანდია) — 7 გოლი**

## შესარჩევი ეტაპი

### I ჯგუფი

რუმინეთი — ავსტრია 4:0; ავსტრია — ალბანეთი 3:0; ესპანეთი — რუმინეთი 1:0; ალბანეთი — ესპანეთი 1:2; რუმინეთი — ალბანეთი 5:1; ავსტრია — ესპანეთი 2:3; ალბანეთი — ავსტრია 0:1; რუმინეთი — ესპანეთი 3:1; ესპანეთი — ავსტრია 2:0; ალბანეთი — რუმინეთი 0:1; ესპანეთი — ალბანეთი 5:0; ავსტრია — რუმინეთი 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14:6 | 10 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:3 | 9 |
| ავსტრია | 6 | 2 | 1 | 3 | 6:9 | 5 |
| ალბანეთი | 6 | 0 | 0 | 6 | 2:17 | 0 |

### II ჯგუფი

შვედეთი — შვეიცარია 2:2; პორტუგალია — შვედეთი 1:1; შვეიცარია — პორტუგალია 1:1; იტალია — შვეიცარია 3:2; მალტა — შვედეთი 0:5; მალტა — იტალია 0:2; იტალია — მალტა 5:0; პორტუგალია — იტალია 0:1; პორტუგალია — მალტა 2:2; შვეიცარია — მალტა 4:1; შვედეთი — მალტა 1:0; შვედეთი — იტალია 1:0; შვეიცარია — შვედეთი 1:1; შვედეთი — პორტუგალია 0:1; შვეიცარია — იტალია 0:0; პორტუგალია — შვეიცარია 0:0; იტალია — შვედეთი 2:1; მალტა — შვეიცარია 1:1; იტალია — პორტუგალია 3:0; მალტა — პორტუგალია 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 16:4 | 13 |
| შვედეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:5 | 10 |
| პორტუგალია | 8 | 2 | 4 | 2 | 6:8 | 8 |
| შვეიცარია | 8 | 1 | 5 | 2 | 9:9 | 7 |
| მალტა | 8 | 0 | 2 | 6 | 4:21 | 2 |

### III ჯგუფი

ისლანდია — საფრანგეთი 0:0; ისლანდია — სსრკ 1:1; ნორვეგია — გდრ 0:2; საფრანგეთი — სსრკ 0:2; სსრკ — ნორვეგია 4:0; გდრ — ისლანდია 2:0; გდრ — საფრანგეთი 0:0; საფრანგეთი — ისლანდია 2:0; სსრკ — გდრ 2:0; ნორვეგია — სსრკ 0:1; ისლანდია — გდრ 0:6; ნორვეგია — საფრანგეთი 2:0; სსრკ — საფრანგეთი 1:1; ისლანდია — ნორვეგია 2:1; ნორვეგია — ისლანდია 0:1; გდრ — სსრკ 1:1; საფრანგეთი — ნორვეგია 1:1; სსრკ — ისლანდია 2:0; გდრ — ნორვეგია 3:0; საფრანგეთი — გდრ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 8 | 5 | 3 | 0 | 14:3 | 13 |
| გდრ | 8 | 4 | 3 | 1 | 13:4 | 11 |
| საფრანგეთი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:7 | 6 |
| ისლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 4:14 | 6 |
| ნორვეგია | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | 4 |

### IV ჯგუფი

ინგლისი — ჩრდ. ირლანდია 3:0; იუგოსლავია — თურქეთი 4:0; ინგლისი — იუგოსლავია 2:0; თურქეთი — ჩრდ. ირლანდია 0:0; ჩრდ. ირლანდია — ინგლისი 0:2; ჩრდ. ირლანდია — იუგოსლავია 1:2; თურქეთი — ინგლისი 0:0; იუგოსლავია — ჩრდ. ირლანდია 3:0; ინგლისი — თურქეთი 8:0; იუგოსლავია — ინგლისი 1:4; ჩრდ. ირლანდია — თურქეთი 1:0; თურქეთი — იუგოსლავია 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 6 | 5 | 1 | 0 | 19:1 | 11 |
| იუგოსლავია | 6 | 4 | 0 | 2 | 13:9 | 8 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 1 | 1 | 4 | 2:10 | 3 |
| თურქეთი | 6 | 0 | 2 | 4 | 2:16 | 2 |

### V ჯგუფი

უნგრეთი — ჰოლანდია 0:1; პოლონეთი — საბერძნეთი 2:1; საბერძნეთი — უნგრეთი 2:1; ჰოლანდია — პოლონეთი 0:0; კვიპროსი — საბერძნეთი 2:4; კვიპროსი — ჰოლანდია 0:2; საბერძნეთი — კვიპროსი 3:0; კვიპროსი — უნგრეთი 0:1; ჰოლანდია — საბერძნეთი 1:1; პოლონეთი — კვიპროსი 0:0; საბერძნეთი — პოლონეთი 1:0; ჰოლანდია — უნგრეთი 2:0; უნგრეთი — პოლონეთი 5:3; პოლონეთი — უნგრეთი 3:2; უნგრეთი — საბერძნეთი 3:0; პოლონეთი — ჰოლანდია 0:2; კვიპროსი — პოლონეთი 0:1; უნგრეთი — კვიპროსი 1:0; საბერძნეთი — ჰოლანდია 0:3; ჰოლანდია — კვიპროსი 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 8 | 6 | 2 | 0 | 15:1 | 14 |
| საბერძნეთი | 8 | 4 | 1 | 3 | 12:13 | 9 |
| პოლონეთი | 8 | 3 | 2 | 3 | 9:11 | 8 |
| უნგრეთი | 8 | 4 | 0 | 4 | 13:11 | 8 |
| კვიპროსი | 8 | 0 | 1 | 7 | 3:16 | 1 |

### VI ჯგუფი

ფინეთი — უელსი 1:1; ჩეხოსლოვაკია — ფინეთი 3:0; დანია — ფინეთი 1:0; ჩეხოსლოვაკია — დანია 0:0; უელსი — ფინეთი 4:0; ფინეთი — დანია 0:1; უელსი — ჩეხოსლოვაკია 1:1; დანია — ჩეხოსლოვაკია 1:1; უელსი — დანია 1:0; ფინეთი — ჩეხოსლოვაკია 3:0; დანია — უელსი 1:0; ჩეხოსლოვაკია — უელსი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 4:2 | 8 |
| ჩეხოსლოვაკია | 6 | 2 | 3 | 1 | 7:5 | 7 |
| უელსი | 6 | 2 | 2 | 3 | 7:5 | 6 |
| ფინეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 4:10 | 3 |

### VII ჯგუფი

შოტლანდია — ბულგარეთი 0:0; ბელგია — ირლანდია 2:2; ლუქსემბურგი — ბელგია 0:6; ირლანდია — შოტლანდია 0:0; შოტლანდია — ლუქსემბურგი 3:0; ბელგია — ბულგარეთი 1:1; შოტლანდია — ირლანდია 0:1; ბულგარეთი — ირლანდია 2:1; ბელგია — შოტლანდია 4:1; ირლანდია — ბელგია 0:0; ლუქსემბურგი — ბულგარეთი 1:4; ბულგარეთი — ლუქსემბურგი 3:0; ლუქსემბურგი — ირლანდია 0:2; ირლანდია — ლუქსემბურგი 2:1; ბულგარეთი — ბელგია 2:0; შოტლანდია — ბელგია 2:0; ირლანდია — ბულგარეთი 2:0; ბელგია — ლუქსემბურგი 3:1; ბულგარეთი — შოტლანდია 0:1; ლუქსემბურგი — შოტლანდია 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 10:5 | 11 |
| ბულგარეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 10 |
| ბელგია | 8 | 3 | 3 | 2 | 16:8 | 9 |
| შოტლანდია | 8 | 3 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| ლუქსემბურგი | 8 | 0 | 1 | 7 | 2:23 | 1 |

*მოგებაზე გუნდებს ერიცხებოდათ 2 ქულა.*

## ფინალური ტურნირი

### A ჯგუფი

#### იტალია 1:1 გფრ

1:0 მანჩინი (52), 1:1 ბრემე (55)
იტალია: ძენგა, ბერგომი, მალდინი, ანჩელოტი, ფერი, ბარეზი, დონადონი, დე ნაპოლი (დე აგოსტინი 86), მანჩინი, ჯანინი, ვიალი (ალტობელი 89)
მწვრთნელი: აძელიო ვიჩინი
გფრ: იმელი, ბერთოლდი, ბრემე (ბოროვკა 76), ბუხვალდი, კოლერი, ჰერგეტი, ლიტბარსკი, მათეუსი, ფიოლერი (ეკშტაინი 81), ტონი, კლინსმანი
მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი
მსაჯი: კ. ჰაკეტი (ინგლისი)
10.06.88. დიუსელდორფი. 62 552 მაყურებელი

#### ესპანეთი 3:2 დანია

1:0 მიჩელი (5), 1:1 ლაუდრუპი (24), 2:1 ბუტრაგენიო (53), 3:1 გორდილიო (66), 3:2 პოულსენი (82)
ესპანეთი: სუბისარეტა, ტომასი, მანუელ სანჩისი, ანდრინუა, კამაჩო (სოლერი 46), მიჩელი, ვიქტორი, გალიეგო, ბუტრაგენიო, ბაკერო, გორდილიო (მარტინ ვასკესი 81)
მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი
დანია: რასმუსენი, ნილსენი, სივებაკი, ჰელტი (იენსენი 46), ბუსკი, მ. ოლსენი (ლ. ოლსენი 74), მ. ლაუდრუპი, ლერბიუ, პოულსენი, ჰაინცე, ელკიაერ-ლარსენი
მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი
მსაჯი: ა. ტომასი (ჰოლანდია)
11.06.88. ჰანოვერი. 55 707 მაყურებელი

#### გფრ 2:0 დანია

1:0 კლინსმანი (10), 2:0 ტონი (85)
გფრ: იმელი, ბრემე, ბუხვალდი (ბოროვკა 33), კოლერი, როლფი, ჰერგეტი, ლიტბარსკი, მათეუსი, ფიოლერი (მილი 74), ტონი, კლინსმანი
მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი
დანია: შმაიხელი, სივებაკი, ნილსენი, ჰაინცე, ლ. ოლსენი, ვილფორტი (ბერგრენი 73), მ. ლაუდრუპი (ერიკსენი 62), მ. ოლსენი, პოულსენი, ლერბიუ, ელკიაერ-ლარსენი
მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი
მსაჯი: ბ. ვალენტინი (შოტლანდია)
14.06.88. გელზენკირხენი. 64 812 მაყურებელი

#### იტალია 1:0 ესპანეთი

1:0 ვიალი (73)
იტალია: ძენგა, ბერგომი, მალდინი, ანჩელოტი, ფერი, ბარეზი, დონადონი, დე ნაპოლი, მანჩინი (ალტობელი 69), ჯანინი, ვიალი (დე აგოსტინი 88)
მწვრთნელი: აძელიო ვიჩინი
ესპანეთი: სუბისარეტა, ტომასი, სოლერი, ვიქტორი, მანუელ სანჩისი, ანდრინუა, მიჩელი (ბეგირისტაინი 73), გალიეგო (მარტინ ვასკესი 68), ბუტრაგენიო, ბაკერო, გორდილიო
მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი
მსაჯი: ე. ფრედრიკსონი (შვედეთი)
14.06.88. ფრანკფურტი. 47 506 მაყურებელი

#### გფრ 2:0 ესპანეთი

1:0, 2:0 ფიოლერი (30, 51)
გფრ: იმელი, ბოროვკა, ჰერგეტი, კოლერი, ლიტბარსკი (ვუტკე 62), მათეუსი, როლფი, ტონი, ბრემე, ფიოლერი, კლინსმანი (მილი 83)
მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი
ესპანეთი: სუბისარეტა, ტომასი, კამაჩო, ვიქტორი, ანდრინუა, მანუელ სანჩისი, მარტინ ვასკესი, მიჩელი, ბუტრაგენიო (ხულიო სალინასი 51), ბაკერო, გორდილიო
მწვრთნელი: მიგელ მუნიოსი
მსაჯი: მ. ვოტრო (საფრანგეთი)
17.06.88. მიუნხენი. 63 802 მაყურებელი

#### იტალია 2:0 დანია

1:0 ალტობელი (67), 2:0 დე აგოსტინი (87)
იტალია: ძენგა, ბერგომი, მალდინი, ანჩელოტი, ფერი, ბარეზი, დონადონი (დე აგოსტინი 85), დე ნაპოლი, მანჩინი (ალტობელი 66), ჯანინი, ვიალი
მწვრთნელი: აძელიო ვიჩინი
დანია: შმაიხელი, კრისტენსენი, ნილსენი, ჰაინცე, ლ. ოლსენი, ფრიმანი (ვილფორტი 58), მ. ლაუდრუპი, მ. ოლსენი (ბერგრენი 67), პოულსენი, იენსენი, ერიკსენი
მწვრთნელი: ზეპ პიონტეკი
მსაჯი: ბ. გალერი (შვეიცარია)
17.06.88. კიოლნი. 53 951 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გფრ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 5 |
| *იტალია* | *3* | *2* | *1* | *0* | *4:1* | *5* |
| ესპანეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 2 |
| დანია | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

### B ჯგუფი

#### სსრკ 1:0 ჰოლანდია

1:0 რაცი (52)
სსრკ: დასაევი, ბესონოვი, დემიანენკო, ლიტოვჩენკო, კუზნეცოვი, ხიდიატულინი, ბელანოვი (ალეინიკოვი 79), ზავაროვი (სულაქველიძე 90), პროტასოვი, მიხაილიჩენკო, რაცი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, ვანენბურგი (ვან ბასტენი 59), ვან ტ'სხიპი, ე. კუმანი, გულიტი, მიურენი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
მსაჯი: დ. პოლი (საფრანგეთი)
12.06.88. კიოლნი. 54 336 მაყურებელი

#### ირლანდია 1:0 ინგლისი

1:0 ჰოუტონი (6)
ირლანდია: ბონერი, მორისი, ჰავთონი, მაკგრათი, მაკკარტი, მორანი, ველანი, ჰოუტონი, სტეპლტონი (ქუინი 62), ოლდრიჯი, გალვინი (შიდი 77)
მწვრთნელი: ჯეკი ჩარლტონი
ინგლისი: შილტონი, სტივენსი, სენსომი, რობსონი, ადამსი, რაიტი, უოდლი, ვები (ჰოდლი 60), ლინეკერი, ბერდსლი (ჰეიტლი 82), ბარნსი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ზ. კირხენი (გდრ)
12.06.88. შტუტგარტი. 51 373 მაყურებელი

#### ჰოლანდია 3:1 ინგლისი

1:0 ვან ბასტენი (44), 1:1 რობსონი (53), 2:1, 3:1 ვან ბასტენი (71, 75)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, გულიტი, ვანენბურგი (კიფტი 60), ვან ბასტენი (სუვრიენი 87), მიურენი, ე. კუმანი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
ინგლისი: შილტონი, სტივენსი, სენსომი, რობსონი, ადამსი, რაიტი, სტივენი (უოდლი 68), ჰოდლი, ლინეკერი, ბერდსლი (ჰეიტლი 72), ბარნსი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: პ. კაზარინი (იტალია)
15.06.88. დიუსელდორფი. 63 940 მაყურებელი

#### ირლანდია 1:1 სსრკ

1:0 ველანი (38), 1:1 პროტასოვი (75)
ირლანდია: ბონერი, მორისი, ჰავთონი, ჰოუტონი, მაკკარტი, მორანი, ველანი, შიდი, სტეპლტონი (კასკარინო 80), ოლდრიჯი, გალვინი
მწვრთნელი: ჯეკი ჩარლტონი
სსრკ: დასაევი (ჩანოვი 68), სულაქველიძე (გოცმანოვი 46), დემიანენკო, ალეინიკოვი, კუზნეცოვი, ხიდიატულინი, ბელანოვი, მიხაილიჩენკო, პროტასოვი, ზავაროვი, რაცი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: ე. ალადრენი (ესპანეთი)
15.06.88. ჰანოვერი. 38 308 მაყურებელი

#### სსრკ 3:1 ინგლისი

1:0 ალეინიკოვი (3), 1:1 ადამსი (16), 2:1 მიხაილიჩენკო (28), 3:1 პასულკო (73)
სსრკ: დასაევი, ბესონოვი, ხიდიატულინი, ალეინიკოვი, კუზნეცოვი, მიხაილიჩენკო, ბელანოვი (პასულკო 46), ლიტოვჩენკო, პროტასოვი, ზავაროვი (გოცმანოვი 86), რაცი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
ინგლისი: ვუდსი, სტივენსი, სენსომი, მაკმაჰონი (ვები 55), უოტსონი, ადამსი, სტივენი, რობსონი, ლინეკერი (ჰეიტლი 69), ჰოდლი, ბარნსი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მსაჯი: ჟ. დოს სანტუში (პორტუგალია)
18.06.88. ფრანკფურტი. 48 335 მაყურებელი

#### ჰოლანდია 1:0 ირლანდია

1:0 კიფტი (81)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, გულიტი, ვანენბურგი, ვან ბასტენი, მიურენი (ბოსმანი 79), ე. კუმანი (კიფტი 50)
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
ირლანდია: ბონერი, მორისი (შიდი 46), ჰავტონი, მაკგრათი, მაკკარტი, მორანი, ველანი, ჰოუტონი, სტეპლტონი (კასკარინო 83), ოლდრიჯი, გალვინი
მწვრთნელი: ჯეკი ჩარლტონი
მსაჯი: ჰ. ბრუმაიერი (ავსტრია)
18.06.88. გელზენკირხენი. 64 731 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრკ | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 5 |
| *ჰოლანდია* | *3* | *2* | *0* | *1* | *4:2* | *4* |
| ირლანდია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 3 |
| ინგლისი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | 0 |

## ნახევარფინალი

#### ჰოლანდია 2:1 გფრ

0:1 მათეუსი (55პ), 1:1 რ. კუმანი (74პ), 2:1 ვან ბასტენი (89)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, გულიტი, ვანენბურგი, ვან ბასტენი, მიურენი (კიფტი 58), ე. კუმანი (სუვრინი 89)
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
გფრ: იმელი, ბოროვკა, ჰერგეტი (პფუგლერი 44), კოლერი, ბრემე, მილი (ლიტბარსკი 79), მათეუსი, როლფი, ტონი, ფიოლერი, კლინსმანი
მწვრთნელი: ფრანც ბეკენბაუერი
მსაჯი: იოან იგნა (რუმინეთი)
21.06.88. ჰამბურგი. 56 115 მაყურებელი

#### სსრკ 2:0 იტალია

1:0 ლიტოვჩენკო (58), 2:0 პროტასოვი (62)
სსრკ: დასაევი, ბესონოვი (დემიანენკო 36), ხიდიატულინი, ალეინიკოვი, კუზნეცოვი, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი, ლიტოვჩენკო, პროტასოვი, ზავაროვი, რაცი
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
იტალია: ძენგა, ბერგომი, მალდინი (დე აგოსტინი 65), ანჩელოტი, ფერი, ბარეზი, დონადონი, დე ნაპოლი, მანჩინი (ალტობელი 46), ჯანინი, ვიალი
მწვრთნელი: აძელიო ვიჩინი
მსაჯი: ალექს პონე (ბელგია)
22.06.88. შტუტგარტი. 61 606 მაყურებელი

## ფინალი

#### ჰოლანდია 2:0 სსრკ

1:0 გულიტი (32), 2:0 ვან ბასტენი (53)
ჰოლანდია: ვან ბრეკელენი, ვან აერლე, ვან ტიგელენი, ვოუტერსი, რაიკარდი, რ. კუმანი, ვანენბურგი, გულიტი, ვან ბასტენი, ე. კუმანი, მიურენი
მწვრთნელი: რინუს მიხელსი
სსრკ: დასაევი, დემიანენკო, ალეინიკოვი, ხიდიატულინი, რაცი, ლიტოვჩენკო, ზავაროვი, მიხაილიჩენკო, გოცმანოვი (ბალტაჩა 67), ბელანოვი, პროტასოვი (პასულკო 71)
მწვრთნელი: ვალერი ლობანოვსკი
მსაჯი: მიშელ ვოტრო (საფრანგეთი)
25.06.88. მიუნხენი. 62 770 მაყურებელი



ევროპის 1988 წლის ჩემპიონი ჰოლანდიის ნაკრები. მარცხნიდან დგანან: ვან ბასტენი, რაიკაარდი, რ. კუმანი, ე. კუმანი, გულიტი, ვან ბრეკელენი; სხედან: ვანენბურგი, ვოუტერსი, ვან ტიგელენი, ვან აერლე, მიურენი

## დარკო კოვაჩევიჩი

დაიბადა 1973 წლის 18 ნოემბერს კოვინში (იუგოსლავია)
სიმაღლე: 188 სმ
წონა 79 კგ
კლუბები: „პროლეტარი“, „ცრვენა ზვეზდა“, „შეფილდ უენსდი“, „რეალ სოსიედადი“, „იუვენტუსი“
ტიტულები: 1995 — იუგოსლავიის ჩემპიონი, 1995-96 — იუგოსლავიის თასის მფლობელი



კვირას კარლო ანჩელოტის ექსპერიმენტმა გაამართლა — ალესანდრო დელ პიერომ გამთამაშებლის საქმე იტვირთა, ხოლო თავდასხმაში ფილიპო ინძაგის დარკო კოვაჩევიჩი შეეწყვილა და... „ინტერმა“ ქედი მოიდრიკა, იუგოსლავიელმა სანსიროელი მასპინძლის კარში ორი გოლი შეაგდო. ამბობენ, კოვაჩევიჩმა ამ გოლებით სკუდეტოს ბედი გადაწყვიტაო.

რა მოსწონს ანჩელოტის ამ ზორბა სერბისა? მწვრთნელი თვლის, რომ ის თავით დიდებულად თამაშობს, ჩინებულად ფლობს ბურთს და თავდადებით იბრძვის გუნდისთვის.

სხვათა შორის, კოვაჩევიჩს ტურინის ცენტრში, იმ სახლში მისცეს ბინა, თავად ანჩელოტი და კლუბის გენერალური მენეჯერი ლუჩანო მოჯი რომ ცხოვრობენ. ასეთი მეზობლობითა და, ბუნებრივია, კარგი პირობებით მისი მეუღლე დანიელა (რომ დაქორწინდნენ, დარკო 18 წლისა გახლდათ) შეუძლებელია უკმაყოფილო იყოს. არც ბავშვებს, სტელასა და ორი წლის დარკო უმცროსს უნდა უჭირდეთ რამე.

როგორც ფეხბურთელთა დიდი ნაწილი, დარკოც პატარა დარკოს მომავალში თავის კოლეგად აღიქვამს, ხოლო სტელას მომავალზე, უკაცრავად და, ვერაფერს ამბობს. ისე, ჰოროსკოპების სწამს.

კაცმა რომ თქვას, კოვაჩევიჩი ეგრეთწოდებული დაბადებით ფეხბურთელი არ არის. ხან ფრენბურთი სცადა, ხან ჩოგბურთი, ხანაც ძმასავით კარატე (ძმა ახლა მშობლიურ ქალაქში ბარის პატრონია) და მხოლოდ 12 წლისა მივიდა ფეხბურთის სექციაში.

არჩევანმა გაამართლა. „ცრვენა ზვეზდას“ შემადგენლობაში იუგოსლავიის ჩემპიონის ტიტულისა და თასის მოპოვების შემდეგ დარკომ პრემიერლიგაში, „შეფილდ უენსდიში“ სცადა ბედი, მაგრამ ინგლისური ცხოვრების წესი მისთვის იმდენად მიუღებელი გამოდგა, რომ უმალ ლა მანშს აქეთ გამოიქცა. შემდეგ, იუგოსლავიელმა, სამი სეზონი ესპანეთში, „რეალ სოსიედადში“ გაატარა, ბოლოს კი, აგერ, „იუვენტუსში“ ამოჰყო თავი.

„იუვენტუსი“ სტუმრად რომ მიდის კოვაჩევიჩი ნომერში მარკ იულიანოსთან ერთადაა ხოლმე და იცით, რა არის საგულისხმო? რამდენიც იულიანომ ოთახიდან გასვლისას უთხრა დღეს გოლს გაიტანო, იმდენი გაიტანა.

— გავიგეთ, კომპიუტერის ფანატიკოსი ყოფილხართ. რომელი თამაში გიყვართ? — ეკითხებიან კოვაჩევიჩს.

— არც ერთი. კომპიუტერს სხვა მიზნისთვის ვიყენებ. რამდენი ხანია აღარ მითამაშია — პასუხობს იუგოსლავიელი.

— „იუვენტუსში“ ვისთან მეგობრობთ?

— ყველასთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ჩამოთვლას ზორან მირკოვიჩით (იუგოსლავიელი) და იგორ ტუდორით (ხორვატია) დავიწყებდი. ისე, „იუვეში“ ბევრს იუმორის კარგი გრძნობა აქვს და ეს ცხოვრებას მიადვილებს.

— ხშირად კრისტიან ვიერის გადარებენ.

— ვითომ?

— გიფიქრიათ კარიერის იუგოსლავიაში დამთავრებაზე?

— არ მოგატყუებთ, ამაზე ხშირად არ მიფიქრია. მართალია კაცმა არ იცის, ბოლოს რას გააკეთებს, მაგრამ ჯერ მაინც ახალგაზრდა ვარ და ვგონებ, თუ საქმე „იუვენტუსიდან“ წასვლაზე მიდგა, კვლავაც სხვა ქვეყნებში ვიმოგზაურებ.

**მიხეილ სურგულაძე**

# მილიმეჯლისი ელანდ როუდზე

ხვალ ლიდსის სტადიონზე თურქეთის პარლამენტის სხდომა შედგება. ეს ხუმრობით, თუმცა „ელანდ როუდზე“ ლამის მთელი თურქული პოლიტიკური ელიტა რომ შეიკრიბება, ნაღდია — სტუმართათვის გამოყოფილ 80 ადგილს მილიმეჯლისის წევრები, მათ შორის პარლამენტის ,სპიკერი ილდირიმ აქბულუთი და ყოფილი პრემიერ-მინისტრი ქალბატონი თანსუ ჩილერი, შეავსებენ. „იმედია, უსაფრთხოება დაცული იქნება, ჩვენ კი, შედეგის მიუხედავად, გუნდებს ოვაციებით გავაცილებთ“— განაცხადა გუშინ აქბულუთმა.

ამათ გარდა „გალათასარაის“ გაჰყვა ხელკეტებითა და ცრემლსადენი გაზით შეიარაღებული 11 თურქი პოლიციელი, თუმცა: „ჩვენი პოლიციელები იარაღის ტარებას არიან შეჩვეულნი. ასე რომ, ლიდსში ისინი ფაქტობრივად განიარაღებულები ჩავლენ“ — წერს გაზეთი „საბაჰი“, „მილიეთი“ კი შაყირობს: „ინგლისელებმა ჩვენს ფეხბურთელებს შესაძლოა მოედანზე ჯავშანჟილეტებით გასვლა მოსთხოვონ“.

საზოგადოდ კი, თურქული პრესა თავისსავე პოლიციას აკრიტიკებს, ჩხუბი და მკვლელობა თავიდან როგორ ვერ აიცილაო. და ვინაიდან ჩვენს მეზობელ ქვეყანაში მედიის აზრს ანგარიშს უწევენ, თავად შინაგან საქმეთა სამინისტროში დაიწყო შიდა გამოძიება. „რამდენიმე დღეში გამოძიების მასალები ჩემს მაგიდაზე იქნება და გარწმუნებთ, თუ რამე დამიმალეს, საქმე ცუდად წაუვათ“ — ირწმუნება მინისტრი საადეთინ თანთანი.

### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიურ** „რომას“ „ვალენსიას“ ნახევარმცველის ხერარდ ლოპესის შეძენა სურს. რომაულ კლუბს სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ გაუმხელია და საერთოდაც, არავინ იცის, მოახერხებს თუ არა ფეხბურთელის გადაბირებას, რომელსაც უკვე ბევრი ევროპული გრანდი აკვირდება. „ლაციო“ და „მილანი“ მთავარ პრეტენდენტებად ითვლებიან. თავად ესპანურ კლუბს ოფიციალურად არაფერი უთქვამს, თუმცა პრესა იუწყება, რომ „ვალენსია“ ხერარდის სანაცვლოდ დაახლოებით 18 მილიონ გირვანქას ითხოვს.

**იტალიის** ჩემპიონ „მილანს“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეკარის მარკ ბოსნიჩის გადაბირება სურს. ამ კლუბში სეზონის დასაწყისში „ასტონ ვილადან“ გადასულ გოლკიპერს თავიდან ოდნავ გაუჭირდა და ხშირად ცდებოდა, თუმცა ახლა ერთობ სტაბილურად თამაშობს. სერ ალექს ფერგიუსონს „მილანის“ წინადადებაზე არაფერი უთქვამს. იტალიური კლუბის კარს ამჟამად კრისტიან აბიატი იცავს. ვეტერანმა გოლკიპერმა სებასტიანო როსიმ მთავარ მწვრთნელ ალბერტო ძაკერონისთან კონფლიქტის გამო გუნდში ადგილი დაკარგა და სეზონის ბოლომდე, ალბათ, ვერც გამოჩნდება მინდორზე. მილანელები ახალი სეზონიდან „კორინთიანსში“ განათხოვრებულ ბრაზილიელ მეკარე დიდას იბრუნებენ.

**იტალიის** ჩემპიონატის ბოლო ტურში, „ბარისა“ და „ლეჩეს“ მატჩში, გულშემატკივრებმა ტრიბუნებზე იჩხუბეს, რის შედეგადაც 11 ადამიანი დაშავდა. დაზარალდა ერთ-ერთი პოლიციელიც, რომელიც გაშმაგებული ფანების დამშვიდებას ცდილობდა. მან ტვინის შერყევა მიიღო და საავადმყოფოში მოათავსეს. იტალიის ფეხბურთის ფედერაცია ამ საკითხზე უახლოეს მომავალში იმსჯელებს და, ალბათ, გუნდებს გარკვეული თანხით დააჯარიმებს.

**ხორვატმა** თავდამსხმელმა დავორ შუკერმა სეზონის ბოლოს შესაძლოა „არსენალი“ დატოვოს. ინგლისური პრესის ცნობით, ლონდონური კლუბი დაახლოებით 2 მილიონ გირვანქას ითხოვს. შეგახსენებთ, რომ „არსენალმა“ 31 წლის შუკერი მადრიდის „რეალიდან“ გადაიბირა, მის ნაცვლად კი სამეფო კლუბში სარეკორდო თანხად ფრანგი ნიკოლა ანელკა გაუშვა. ბოლო ხანს შუკერი ლონდონური კლუბის ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება და არსენ ვენგერს შეცვლებზე შეჰყავს. ხორვატი თავდამსხმელის შეძენის სურვილი მრავალმა ევროპულმა კლუბმა გამოთქვა. მათ შორის ყველაზე ხშირად „ვესტ ჰემს“ მოიხსენიებენ.

**არგენტინულ** „ველეს სარსფილდში“ მოთამაშე კლაუდიო ჰუსაინს ერთდროულად ორი იტალიური გრანდი — „პარმა“ და „ლაციო“ ეცილება ერთმანეთს. იტალიური მასმედიის განცხადებით, „პარმას“ სელექციონერთა ჯგუფი არგენტინაში იმყოფებოდა, სადაც „ველესის“ რამდენიმე მატჩს დაესწრო და ჰუსაინს დააკვირდა. პარმელებს არგენტინიდან კიდევ ერთი ფეხბურთელის — „რივერ პლეიტის“ მცველ სებასტიან მენდესის გადაბირება სურთ.

**ჰოლანდიური** სააგენტოების ცნობით, პსვ-ს „ალკმაარის“ ნახევარმცველ მარი ვან გალენის შეძენა განუზრახავს. 30 წლის ფეხბურთელი თავის პოზიციაზე მთელ ჰოლანდიაში ერთ-ერთი საუკეთესოა და გოლებიც ხშირად გააქვს, მიმდინარე სეზონში მან 11-ჯერ გამოიჩინა თავი. პსვ-ს სატრანსფერო თანხა ჯერჯერობით არ დაუსახელებია, ამასობაში კი ვან გალენს „აიაქსმა“ და „ფეიენოორდმაც“ დაადგეს თვალი.

**შვედი** თავდამსხმელი ჰენრიკ ლარსონი ევროპის ჩემპიონატზე, ალბათ, ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ „სელტიკის“ ფეხბურთელმა შარშან უეფას თასის ერთ-ერთ შეხვედრაში ფეხი მოიტეხა და ოპერაცია გაიკეთა, თუმცა ნავარაუდევზე გაცილებით ადრე მომჯობინდა და ვარჯიში განაახლა. რამდენიმე დღის წინ ლარსონმა კვლავ დაიზიანა ნატკენი ფეხი და მკურნალობა სჭირდება. ევროპის ჩემპიონატზე გუნდების განაცხადების შეტანის ბოლო ვადა 1 ივნისია, ამ დროისთვის კი შვედი ფორვარდი, ალბათ, ვერ გამოჯანმრთელდება.

# ევროპული ფასეულობები ფეხბურთზე ღირებულია

## იუჰანსონს უთხრეს, ცვლილებებს ნუ ელითო

**ბოსმანის** წესი რასაც ნიშნავს და თანამედროვე ფეხბურთი საითაც მიჰყავს, კარგად მოგეხსენებათ. ევროკავშირის მოქალაქეობამ უცხოელის მცნებაც რომ ცოტა გაუგებარი გახადა, ესეც ვიცით.

ადრე გაუწყეთ, რომ უეფამ ევროკავშირის შესაბამის კომისიას, რომელიც სპორტის და კულტურის საქმეებს განაგებს, სთხოვა, ფეხბურთი არასწორი გზით ვითარდება და ეგებ არსებულ კანონებს გადახედოთო. კომისიამ უეფასეული არგუმენტები შეისწავლა და ორშაბათს ლენარტ იუჰანსონს შეუთვალა, ვწუხვართ, მაგრამ რაიმეს შეცვლა არასწორად მიგვაჩნიაო. არადა, რას ითხოვდა უეფა ასეთს? მხოლოდ იმას, რომ კლუბებს მინდორზე უცხოელთა გაყვანის ლიმიტი დავუწესოთ და ხუთი ასეთი ფეხბურთელი ვაკმაროთო („ჩელსი“ გაიხსენეთ). არგუმენტი კი ასეთია: გაივსო მდიდარი კლუბები უცხოეთიდან ბითუმად ჩამოყვანილი ზრდასრული ფეხბურთელებით (თანაც ძირითადად უკომპენსაციოდ) და ევროპის დიდ საფეხბურთო ქვეყნებშიც რომ მოიძებნებიან ახალგაზრდა ტალანტები, აღარავის ახსოვს.

ვივიენ რედინგი, ევროკავშირის კომისიის თავმჯდომარე ასე განსჯის, რა უფრო ღირებულია, ფეხბურთი თუ ზოგადევროპული (ანდა ზოგადსაკაცობრიო) ფასეულობები?

თავისუფალი საზღვრები და სხვა ამგვარი, ხომ ჩვენი დროის უდიდესი მონაპოვარია.

ასე რომ, ვისიამოვნოთ ფეხბურთით — ისეთით, როგორიც არის.

**გიორგი დარჯანია**

## ჩეხეთი

25-ე ტური. დრნოვიცე — დუკლა 2:1; ბლშანი — იაბლონეცი 1:2; ლიბერეცი — ტეპლიცე 2:0; სლავია — ოპავა 3:1; სიგმა — ვიკტორია 2:0; ბანიკი — ბუდეიოვიცე 1:1; ბოჰემიანსი — ბრნო 0:0; ჰ. კრალოვე — სპარტა 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 25 | 20 | 4 | 1 | 47:15 | 64 |
| სპარტა | 25 | 20 | 3 | 2 | 64:19 | 63 |
| დრნოვიცე | 25 | 14 | 4 | 7 | 34:22 | 46 |
| ბოჰემიანსი | 25 | 9 | 8 | 8 | 21:21 | 35 |
| ბრნო | 25 | 9 | 6 | 10 | 27:29 | 33 |
| ლიბერეცი | 25 | 7 | 11 | 7 | 16:16 | 32 |
| ტეპლიცე | 25 | 8 | 8 | 9 | 34:36 | 32 |
| ბლშანი | 25 | 9 | 4 | 12 | 23:38 | 31 |
| სიგმა | 25 | 6 | 11 | 8 | 27:31 | 29 |
| ბანიკი | 25 | 6 | 10 | 9 | 35:39 | 28 |
| ვიკტორია | 25 | 7 | 7 | 11 | 33:40 | 28 |
| ბუდეიოვიცე | 25 | 8 | 4 | 13 | 28:38 | 28 |
| დუკლა | 25 | 7 | 6 | 12 | 25:35 | 27 |
| ოპავა | 25 | 5 | 9 | 11 | 27:32 | 24 |
| იაბლონეცი | 25 | 5 | 8 | 12 | 19:36 | 23 |
| ჰ. კრალოვე | 25 | 3 | 11 | 11 | 18:31 | 20 |

## ნორვეგია

მე-2 ტური. რუსენბორგი — ბრანი 4:4; ბოდიო გლიმტი — ვოლერენგა 0:0; მოლდე — ჰაუგესუნდი 2:1; ოდ გრენლანდი — სტაბეკი 2:0; ტრომსიო — ბრინი 3:0; სტარტი — მოსი 1:1; ვიკინგი — ლილესტრიომი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრანი | 2 | 1 | 1 | 0 | 8:5 | 4 |
| ვოლერენგა | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| რუსენბორგი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:4 | 4 |
| ოდ გრენლანდი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| მოლდე | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ტრომსიო | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ბრინი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | 3 |
| ბოდიო გლიმტი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლილესტრიომი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| მოსი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჰაუგესუნდი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | 1 |
| სტარტი | 2 | 0 | 1 | 1 | 3:5 | 1 |
| ვიკინგი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| სტაბეკი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ავსტრია

29-ე ტური. ლუსტენაუ — რაპიდი 0:1; აუსტრია — ბრეგენცი 2:5; ტიროლი — გრაცერი 1:0; რიდი — ზალცბურგი 2:0; შტურმი — ლინცერი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რაპიდი | 29 | 18 | 5 | 6 | 52:20 | 59 |
| ტიროლი | 29 | 18 | 5 | 6 | 42:24 | 59 |
| შტურმი | 29 | 17 | 7 | 5 | 55:24 | 58 |
| რიდი | 29 | 13 | 6 | 10 | 47:30 | 45 |
| აუსტრია | 29 | 12 | 6 | 11 | 39:38 | 42 |
| გრაცერი | 29 | 11 | 4 | 14 | 33:44 | 37 |
| ზალცბურგი | 29 | 9 | 8 | 12 | 27:34 | 35 |
| ლინცერი | 29 | 7 | 7 | 15 | 34:43 | 28 |
| ბრეგენცი | 29 | 6 | 5 | 18 | 24:63 | 23 |
| ლუსტენაუ | 29 | 4 | 7 | 18 | 19:52 | 19 |

## რუსეთი

### თასის ნახევარფინალის წილისყრა

ურალანი — ლოკომოტივი; ცსკა — სპარტაკი.
*მატჩები გაიმართება 3-4 მაისს.*

## პორტუგალია

XXX ტური
**ამადორა 1:2 ბოავიშტა**
1:0 ბეზერა (44), 1:1 ჟორჟე კოუტუ (48), 1:2 მონტანინი (67)

## იტალია

XXX ტური
სერია C1B
**კატანია 0:0 პალერმო**



დურბანი — კრაისტჩერჩი. სტუმართა გამარჯვებაში ჯასტინ მარშალმა (ბურთით) ლომის წილი დაიდო

# სიდნეის დიდი კედელი

ტურის პირველ მატჩში ოკლენდმა დანიდინს უმასპინძლა. სტუმრებს, ზედიზედ ორი წაგების შემდეგ წელში გამართვა სურდათ. მასპინძლებსაც აუცილებლად მოგება სჭირდებოდათ, რათა ნახევარფინალში გასლვის შანსი შეენარჩუნებინათ. პირველმა ტაიმმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა და იგი ოკლენდმა მხოლოდ ერთი ქულის სხვაობით (10:9) მოიგო. შესვენების შემდეგ „ლურჯებმა" მეტოქის დაცვას გასაღები მოარგეს და დაახლოებით ნახევარ საათში თავიანთი ქულების მარაგი გააორმაგეს. ისე, მათი დამრტყმელები უკეთ რომ გარჯილიყვნენ, ანგარიშში სხვაობა გაცილებით მეტი იქნებოდა. ამის ნაცვლად კი „მთიელების" უკანახაზელმა რომი როპატიმ მეტოქის უიშვიათესი შეცდომით იხეირა, ლელო გაიტანა და თავისიანებს მატჩის გადარჩენის თუ არა, პრემიალური ქულის მოხვეჭის იმედი მაინც ჩაუსახა. თუმცა დანიდინი შინ მაინც უქულოდ გაბრუნდა. კარლოს სპენსერმა ორი საჯარიმო, აქედან მეორე მსაჯის მიერ წამატებულ დროში გაიტანა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

ცოტა ვინმე თუ დაიჯერებდა, რომ კატასტროფული სტარტის (სამი წაგება) შემდეგ ბრისბენი საუკეთესო ოთხეულში მოხვედრის კანდიდატი იქნებოდა. „ქვიზლენდელ წითლებს" თავიანთი ტრავმირებული კაპიტნის, ჯონ ილსის დაბრუნება აშკარად წაადგათ და ზედიზედ ოთხჯერ გაიმარჯვეს. ამჯერად მათ კეიპტაუნი დაამარცხეს. თამაში სანახაობრივად ჩინებული გამოდგა. ორივე გუნდმა ღია, შემტევი რაგბი ითამაშა. იმდენი ლამაზი ლელო გავიდა... განსაკუთრებით კი ტიმ ჰორანის ლელოს გამოვარჩევდით, რომელიც მშვენიერი კონტრშეტევის შედეგი იყო: არა, ილსმა, პაულსმა და როსოუმაც ძალიან დაატკბეს მაყურებელი, მაგრამ ჰორანმა მატჩის წინ განაცხადა, რომ ავსტრალიის ნაკრებში თამაშს თავს ანებებდა და...

ოზურ დაპირისპირებაში კანბერას მოგება უფრო მოსალოდნელი იყო, მაგრამ მასპინძელთა დამრტყმელმა მეტიუ ბარკმა თავი გაიგიჟა და ზუსტად იმდენი ქულა გააკეთა, რაც მოწინააღმდეგე გუნდმა მთლიანად. ამას სკოტ სტენიფორტმაც დაუმატა ერთი ლელო და ავსტრალიურ ჯახში გამარჯვებული სიდნეი გამოვიდა. მასპინძლები ერთი პირობა 21:3 დაწინაურდნენ, მაგრამ კანბერელებს ყურები არ ჩამოყრიათ. ისინი ნელ-ნელა დაეუფლნენ ინიციატივას და სამი ლელოც გაიტანეს, რასაც მორტლოკმა ორი გარდასახვა და ერთი საჯარიმოც დაურთო. ანგარიში 30:25 გახდა. მეტოქისთვის გამარჯვების ხელიდან გამოსაგლეჯად ერთი გარდასახული ლელო სჭირდებოდა და კანბერამ ბოლო წუთებში ნამდვილი შტურმი მოაწყო, მაგრამ სიდნეელები ჩინეთის დიდი კედელივით აღიმართნენ თავიანთი სალელოე მოედნის წინ და უპირატესობის შენარჩუნებაც შეძლეს.

კანბერას წაფორხილებით მყის ისარგებლა კრაისტჩერჩმა და სატურნირო ცხრილის სათავეშიც მოექცა. დურბანმა ძლიერ მეტოქეს საკმაოდ მედგარი წინააღმდეგობა გაუწია და პრემიალურ ქულებს მაინც მოიხვეჭდა ერთი ლელოთი ან ერთი ქულით მეტით რომ დაემთავრებინა მატჩი. ახალზელანდიელებმა კი ზუსტად იმდენჯერ დაალელოეს მასპინძლები, რამდენიც პრემიის მისაღებად იყო საჭირო.

წააგო მესამე სამხრეთაფრიკულმა გუნდმა, მაჩანჩალა პრეტორიამაც. „ხარები" კუნძულელთაგან უარეს ჰამილტონს სტუმრობდნენ და მეხუთე მარცხიც იწვნიეს. მატჩის ბედი მის დაწყებამდე თუ არა, პირველი ტაიმის შემდეგ ნაღდად გადაწყვეტილი იყო (16:0). რა თქმა უნდა, ეს ისეთი ანგარიში არაა, რომელიც ჩამორჩენილ გუნდს ყველანაირ იმედს უწურავს, მაგრამ პრეტორიელები ისე უსუსურად გამოიყურებოდნენ არც[illegible] ჰამილტონელების წინააღმდეგ, რომ არავის მოუვიდოდა აზრად, [illegible] თამაშის შემობრუნებას შეძლებენო. ასეც მოხდა.

**გაიოზ თალაკვაძე**

## სატურნირო ვითარება

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კრაისტჩერჩი | 7 | 6 | 0 | 1 | 3 | 1 | 229:182 | 28 |
| კანბერა | 7 | 5 | 0 | 2 | 4 | 2 | 246:107 | 26 |
| ველინგტონი | 7 | 5 | 0 | 2 | 4 | 0 | 197:172 | 24 |
| დანიდინი | 7 | 4 | 0 | 3 | 4 | 1 | 212:189 | 21 |
| სიდნეი | 8 | 4 | 0 | 4 | 2 | 2 | 233:182 | 20 |
| ოკლენდი | 7 | 4 | 0 | 3 | 2 | 1 | 163:165 | 19 |
| ბრისბენი | 7 | 4 | 0 | 3 | 3 | 0 | 186:195 | 19 |
| კეიპტაუნი | 8 | 3 | 1 | 4 | 2 | 1 | 196:209 | 17 |
| ჰამილტონი | 7 | 2 | 0 | 5 | 3 | 4 | 187:175 | 15 |
| იოჰანესბურგი | 7 | 3 | 0 | 4 | 0 | 2 | 143:241 | 14 |
| დურბანი | 7 | 1 | 1 | 5 | 0 | 2 | 152:203 | 8 |
| პრეტორია | 7 | 0 | 2 | 5 | 0 | 1 | 106:198 | 5 |

*მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით დამარცხებისთვის მიკუთვნებული პრემიალური ქულებია*

## ყველაზე შედეგიანები

მეტიუ ბარკი (სიდნეი) — 123 ქულა
ტონი ბრაუნი (დანიდინი) — 101
ენდრიუ მერთენსი (კრაისტჩერჩი) — 99
სტირლინგ მორტლოკი (კანბერა) — 96
ბრაამ ფან სტრაატენი (კეიპტაუნი) — 77
ჯანი დე ბეერი (პრეტორია) — 64

## საუკეთესო მელელოეები

ენდრიუ უოლკერი (კანბერა) — 8
ბრაიტონ პაულსი (კეიპტაუნი) — 7
კრისტიან კალენი (ველინგტონი) — 6

## მეცხრე ტური

20 აპრილი

**დანიდინი — ჰამილტონი**

21 აპრილი

**კანბერა — ველინგტონი**

22 აპრილი

**ოკლენდი — პრეტორია**
**დურბანი — ბრისბენი**
**იოჰანესბურგი — კრაისტჩერჩი**

*სიდნეი და კეიპტაუნი ისვენებენ*

## ზე 12. მერვე ტური

14 აპრილი

**ოკლენდი (ახალი ზელანდია) 26:16 დანიდინი (ახალი ზელანდია)**
ოკლენდი: 3ლ — დოუდი, ჰოულეტი, სპენსერი; 1გ — აიი; 3ს — აიი, სპენსერი (2)
დანიდინი: 1ლ — როპატი; 1გ. და 3ს — ბრაუნი

**ბრისბენი (ავსტრალია) 37:24 კეიპტაუნი (სამხრეთ აფრიკა)**
ბრისბენი: 4ლ — ილსი, ფლეტლი, ჰორანი, სტაილსი; 1გ. და 5ს — ფლეტლი
კეიპტაუნი: 3ლ — პაულსი (2), როსოუ; 3გ. და 1ს — ფან სტრაატენი

15 აპრილი

**სიდნეი (ავსტრალია) 30:25 კანბერა (ავსტრალია)**
სიდნეი: 2ლ — სტენიფორტი, ბარკი; 1გ. და 6ს — ბარკი
კანბერა: 3ლ — უოლკერი, უილიამსი, იანგი; 2გ. და 2ს — მორტლოკი

**დურბანი (სამხრეთ აფრიკა) 24:32 კრაისტჩერჩი (ახალი ზელანდია)**
დურბანი: 3ლ — მიულერი (2), გრიფი; 3გ. და 1ს — დიუ ტუა
კრაისტჩერჩი: 4ლ — რალფი, მაკდონალდი, მეიერფლოუერი, კრიბი; 3გ. და 2ს — მერთენსი

**ჰამილტონი (ახალი ზელანდია) 40:7 პრეტორია (სამხრეთ აფრიკა)**
ჰამილტონი: 4ლ— რენდლი, მუირი, მილერი, რენბი; 4გ — კრაიჩტონი (3), ჯექსონი; 4ს — კრაიჩტონი
პრეტორია: 1ლ — დე კოკი; 1გ — ფან დერ ვესტჰოიზენი

*იოჰანესბურგი (სამხრეთ აფრიკა) და ველინგტონი (ახალი ზელანდია) ისვენებდნენ*

# ოთხი ერის პირველობა

ევროპის თასი უკვე მეხუთე წელია თამაშდება და წლეულს პირველად მოხდა, ნახევარფინალში ოთხი სხვადასხვა ქვეყნის გუნდები რომ გაეჯიბრებიან ერთმანეთს. ექვსი ერის პირველობაზე პირველ ოთხ ადგილზე გასულ თითოეულ ერს თითო გუნდი შემორჩა. თასის დასაუფლებლად ბრძოლას ის ოთხი კლუბი გააგრძელებს, რომლებსაც მეოთხედფინალში საკუთარი მოედნის უპირატესობა ჰქონდათ. აღსანიშნავია, რომ ევროპული გუნდები დონით კვლავინდებურად ვერ გაუტოლდებიან ზეთორმეტელებს, მაგრამ...

რაც შეეხება სანახაობრივ მხარეს, უნდა ითქვას, რომ ნეიტრალური მაყურებლისთვის ყველა მატჩი საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა. მხოლოდ ინგლისური დაპირისპირება იყო დაძაბული და თვალსასეირო. დანარჩენ სამში კი მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო.

მონფერანელებმა დაახლოებით ოცი წუთი გაუძლეს მოწინააღმდეგეს (3:3), მერე კი ტულუზელთა შერკინებამ იძალა. მის ხარჯზე მასპინძელმა გუნდმა დიდი უპირატესობა მოიპოვა, რაც თანდათანობით ანგარიშშიც აისახა. პირველი ტაიმის მეორე ნახევრიდან მოყოლებული მინდორზე „ტულუზი" გაბატონდა და მეორე ორმოცწუთეულის დასაწყისში მატჩის ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო (28:3). შეხვედრის მიწურულს მონფერანელები კი გამოერკვნენ და ორი ლელოც გაიტანეს, მაგრამ ანგარიშში სხვაობის შემცირების გარდა ალარაფრის გაკეთება შეიძლებოდა. ძლიერი დაცვისა და ბურთის შენარჩუნების ტაქტიკის ხარჯზე, „ტულუზი" ევროპის თასის ნახევარფინალში ხუთი ცდიდან მეოთხედ გავიდა და საბოლოო გამარჯვების უპირველეს ფავორიტადაცაა მიჩნეული.

მისგან განსხვავებით, საუკეთესო ოთხეულში პირველად მოხვდა უელსური „ლიანელი", რომელმაც თავისი ქვეყნის დედაქალაქის დიდბიუჯეტიან „კარდიფს" სძლია. თამაში დაძაბული კი იყო, მაგრამ ტექნიკურ-ტაქტიკური თვალსაზრისით ძლიერ მოიკოჭლებდა. კარდიფელებმა, მიუხედავად იმისა, რომ თავიანთ რიგებში უელსის ნაკრების რამდენიმე წევრი ჰყავდათ, ძალიან სუსტად ითამაშეს. მათ თითქმის მთელი მატჩის განმავლობაში, ზედიზედ სამ ზუსტ პასზე მეტი არ გაუკეთებიათ, რითაც მასპინძლებმა იხეირეს. თანაბარი ბრძოლა დაახლოებით ნახევარ საათს გაგრძელდა (3:3). 31-ე წუთზე სტუმართა შერკინების ნახევარმცველმა ჰოულიმ უპატიებელი შეცდომა დაუშვა — კარდიფელთა სამი მორაგბე მეტოქის ერთი კაცის წინააღმდეგ დარჩა „ლიანელის" სალელოე მოედანთან, ჰოულიმ კი პასი ვერც ერთისთვის გაიმეტა და...



ტულუზი — მონფერანი. მონფერანელ ალესანდრო ტრონკონს ტულუზელი სილვენ დისპენი შეუბოჭავს

შედეგი მომდევნო შეტევაში გამოჩნდა, მასპინძლებმა მრავალსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, რომელიც მათი მორკინალი ვიატის ლელოთი დასრულდა. მეორე ტაიმში „ლიანელის" შერკინებამ მეტოქისა აშკარად დაჯაბნა და ისიც ხშირად არღვევდა თამაშის წესებს. შედეგად სტივენ ჯონსმა კიდევ ოთხი საჯარიმო გაიტანა და სახელოვან ნილ ჯენკინსს მინი-პაექრობაც მოუგო.

შაბათის მესამე მატჩი ერთადერთი იყო, სხვადასხვა ქვეყნის გუნდები რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს. ირლანდიელებმა მშვენივრად დაიწყეს შეხვედრა და თავიდანვე საკუთარ სალელოე მოედანს მიაჯაჭვეს ფრანგები. დაახლოებით ათ წუთში ჰორგანმა და კროტიმ ორი ლელოც გაიტანეს, რომელთაგან ერთი ოგარამ გარდასახა. პარიზელებმა ამის შემდეგლა იძალეს, მაგრამ ხელით თამაშისას ბევრჯერ ცდებოდნენ, რის გამოც ლელოს გატანის ორი, ლამის ასპროცენტიანი მომენტი გაუშვეს ხელიდან. „სტად ფრანსემ" პირველ ტაიმში მხოლოდ სამი ქულა მიითვალა, რომელიც იტალიელი დიეგო დომინგესის ანგარიშზეა. მეორე ტაიმში ფრანგები ხშირად ჯარიმდებოდნენ და ირლანდიის ნაკრების დამრტყმელმა ოგარამ ხუთი საჯარიმოც გაიტანა. მატჩის მიწურულს კი პარიზელებმა პრესტიჟის ლელოს გატანაღა მოახერხეს.

კვირას ნორტჰემპტონში გამართული მეოთხედფინალის ბოლო მატჩი კი მართლაც მშვენიერი იყო და ზე 12-ის თამაშებს არ ჩამოუვარდებოდა. მასპინძლებმა პოლ გრეისონის უშეცდომო დარტყმების წყალობით მოიგეს — მან შვიდი ცდიდან შვიდჯერ გაატარა ბურთი ძელებს შორის. არადა, მთელი შეხვედრა „უოსპსი" ფლობდა ინიციატივას და რომ არა ნორტჰემპტონელთა თავგანწირული თამაში დაცვაში, მათ გრეისონიც ვერაფერს უშველიდა. ისე, კინგსაც რომ კოლეგის მსგავსად უშეცდომოდ ერტყა და სამი მეტად იოლი საჯარიმო არ გაეცუდებინა, ნახევარფინალში „უოსპსი" გავიდოდა. ერთიცაა, ლონდონელებს მსაჯის მიმართ ბევრი სასაყვედურო ეთქმით. კლეიტონ ტომასმა ხაკმაო დრო წაამატა მატჩის ძირითად 80 წუთს... სწორედ მაშინ შეაგდო გრეისონმა თავისი ბოლო ორი საჯარიმო.

ამ შეხვედრის დამთავრების შემდეგ, ნორტჰემპტონშივე გაიმართა ნახევარფინალის წილისყრა. „ტულუზი" მეტოქეს ბორდოში უმასპინძლებს, „ნორტჰემპტონი" კი რიდინგში, რადგან თასის ორგანიზატორებმა ნახევარფინალების ჩატარება იმ სტადიონებზე ისურვეს, რომლებიც 20 ათას მაყურებელს მაინც იტევს. ფინალი კი 27 ან 28 მაისს, სავარაუდოდ, თვიქნემში გაიმართება.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ევროპის თასი

მეოთხედფინალი

15 აპრილი

**ტულუზი (საფრანგეთი) 31:18 მონფერანი (საფრანგეთი)**
ტულუზი: 1ლ — უჟიე; 1გ და 6ს — მარფენგი; 2ა — პენო, უჟიე
მონფერანი: 2ლ — ოდებერი, მარში; 1გ და 1ს — მერსერონი; 1ა — ნადო

**ლიანელი (უელსი) 22:3 კარდიფი (უელსი)**
ლიანელი: 1ლ — ვიატი; 1გ და 5ს — ჯონსი
კარდიფი: 1ს — ჯენკინსი

**მანსტერი (ირლანდია) 27:10 სტად ფრანსე (საფრანგეთი)**
მანსტერი: 2ლ — ჰორგანი, კროტი; 1გ და 5ს — ოგარა
სტად ფრანსე: 1ლ — საჯარიმო; 1გ და 1ს — დომინგესი

16 აპრილი

**ნორტჰემპტონი (ინგლისი) 25:22 უოსპსი (ინგლისი)**
ნორტჰემპტონი: 1ლ — მელოუნი; 1გ და 6ს — გრეისონი
უოსპსი: 2ლ — დალალიო, უორსლი; 4ს — კინგი

ნახევარფინალი

| 6 მაისი | 7 მაისი |
|---|---|
| **ტულუზი — მანსტერი** | **ნორტჰემპტონი — ლიანელი** |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქვიშის მარათონის გენერალი

## წიხლნაკრავმა აფრიკელებმა რბენა-რბენით იჩხუბეს

ბოლო დღეებში სამძლეოსნო სამყაროს ყურადღება მარათონელებმა მიიპყრეს. ჯერ მაროკოში დასრულებულ „ქვიშის მარათონზე" ვთქვათ, რომელშიც პლანეტის მრავალი კუთხიდან ჩასულმა ექვსას ოთხმოცმა მძლეოსანმა ექვს ეტაპად დაყოფილი 238 კილომეტრი გაირბინა. თუმცა უნდა დავაზუსტოთ, რომ არა ექვსას ოთხმოცივემ, გზაში მრავალი დავარდა. სარბენი პირობები აუტანელი იყო, ცელსიუსის 50-მდე გრადუსით დაწყებული, მშრალი, ქვიშიანი სამუმით დამთავრებული. სუპერმარათონზე ადგილობრივი ჯიშის ადამიანებმა იმძლავრეს და ეს არცაა გასაკვირი, თუკი დარვინისეული შეგუების კანონები რამედ ღირს. პირველობისთვის მეტოქეობა ორმა დედმამიშვილმა გასწია — აქლემებით მომსახურე ტურისტული სააგენტოს მენეჯერმა მუჰამედ აჰანსალმა, რომელმაც ამავე საქმეში შარშან და სამი წლის წინაც ისახელა თავი და მისმა უმრწემესმა ლაკენმა, ძმის უწინდელ გამარჯვებათა შუალედში, 1998 წელს რომ უხეირია. ამ ჯერზე ისევ უფროსმა იმარჯვა, უმცროსი კი მეორე მიიჭრა ფინიშზე. მესამეადგილოსანზე „როიტერის" სააგენტო არაფერს იტყობინება და საერთოდ, მაროკოდან ფრიად მწირი ინფორმაცია მოვიდა, რახან საინტერესო ამბებზე მონადირეთა მთავარი ყურადღება ლონდონის, ბოსტონისა და როტერდამისკენ იყო მიპყრობილი. ამ ქალაქებში მეტად პოპულარული მარათონული რბენები გაიმართა. არც ერთგან არ იყო იმ სიცხის მეხუთედიც, მაროკოში მორბენალთ სულს რომ უხუთავდა, პირიქით, მრავალმა დაიწუწუნა, ციოდა და სასურველად რბენა ამიტომ ვერ შევძელიო. პროტესტის მთქმელთა ერთ-ერთი მოთავე გახლდათ მაროკელი ხალიდ ხანოუჩი, ვისაც ლონდონის მარათონზე მთავარ ფავორიტად თვლიდნენ და ფინიშს კი მხოლოდ მესამემ უწია. როგორ მოხდა ეს ამბავი?

ჯერ ის უნდა შევნიშნოთ, რომ ხანოუჩი არ იყო ლონდონის მარათონზე მორბენალი ელიტის ერთადერთი წევრი. იქ მრავლად იყვნენ სხვებიც ტიტულების ნაკლებობას რომ არ უჩიოდნენ. თუნდაც ანტონიო პინტუ, 34 წლის პორტუგალიელი, იგივე ლონდონის მარათონის ორჯერ მომგები და ოთხგზის პრიზიორი, ბერლინის მარათონის 1994 წლის გამარჯვებული და 4 წლის შემდეგ ლისაბონის ნახევარმარათონის ტრიუმფატორიც. ისე, ეს პინტუ დაიმახსოვრეთ, ცოტა ქვემოთაც უნდა ვახსენოთ.

ალბიონზე გასულ კვირას გადაუღებლად წვიმდა და ქარი ქროდა, მაინცდამაინც მარათონის დღეს კი ბუნებამ მოწყალება მოიღო და მთელმა ლონისძიებამ დარში ჩაიარა. მორბენლებს მცირე ნიავი აგრილებდათ და ცასაც ღრუბლების ნაფლეთებიღა შერჩენოდა. ერთი ტემპერატურა იყო სამხრეთელებისთვის უხერხული, 8 გრადუსს არ ასცილებია და უკმაყოფილებანი რომ გამოითქვა, ამაზე ზემოთაც გითხარით. თავიდან ქალებმა ირბინეს. პირველ კილომეტრებზე წინ ორი გავარდა — ჰოლანდიელი ნასტია ვინბერგი და კენიელი პამელა კიმაიო, ამათ კი 30 წამის სარბენზე დიდი ჯგუფი მიჰყვებოდა, რომელშიც ორ გამორჩეულს ნახავდა კაცი, კენიელებს, ტეგლა ლორუპესა და ჯოის ჩეპჩუმბას. პირველს „სარბიელის" მკითხველი კარგად უნდა იცნობდეს, მეორეზე კი მინიმუმ ის ვიცით, რომ ლონდონისავე შარშანდელი მარათონი მოუგია. გზის ნახევარი რომ ამოიწურა, ჯგუფმა მოუჩქარა და ლიდერები მასში ჩაიკარგნენ, სამაგიეროდ, ავსტრალიელმა კერინ მაკკენმა გამოყო ფეხი, ოღონდ მისმა პირველობამ სულ რამდენიმე კილომეტრს გასტანა, მერე კი დაიძრა ელიტა და ფინალური სია ისე ჩამოყალიბა, როგორც დააზლოებით იყო მოსალოდნელი: ლორუპეს — ოქრო,



ანტონიო პინტუ

REUTERS

რუმინელ ლიდია სიმონს — ვერცხლი, ჩეპჩუმბას კი — ბრინჯაო. ბედნიერმა ლორუპემ მხოლოდ ფინიშზე ფლიარა — ბარძაყის მსუბუქი ტრავმით ვირბინეო.

მამრები სტარტზე ნახევარ საათს იცდიდნენ და როცა დარწმუნდნენ, დიაცები უკვე შორს არიანო, თავადაც გაიქცნენ. დისტანციის შუაწელამდე საყურადღებო არაფერი მომხდარა, მერე კი პინტუმ აიწყვიტა. ილეოდა კილომეტრები და პორტუგალიელი ტემპს არ აგდებდა. კარგად მომუშავე მანქანასავით თანაბრად გაირბინა მან მთელი გზა და ფინიში ლამის წუთიანი უპირატესობით გადაჭრა. პინტუს გამარჯვებას პოლიტიკური დატვირთვაც უნდა მიენიჭოს. ბოლო წლებში, გრძელ დისტანციებზე აფრიკელთა საყოველთაო ბატონობის ხანაში, პორტუგალიელის ალზევება ბებერი კონტინენტის შვილებს იმის იმედით ალავსებს, რომ ამ საქმეში ერთი-ორი სიტყვის თქმა მათაც შეუძლიათ. დანარჩენი საპრიზო ადგილები მაროკოელებმა გაინაწილეს, ოღონდ თუ ვერცხლის პატრონი აბდელ ელ მუაზიზი სადღეისოდ მაინც თავისი ქვეყნის შვილად მოჩანს, ხანოუჩის სამშობლოს უგულებელყოფას საყვედურობენ. საყვედურობენ კი არა, ყველაფერი უკვე ცხადია, ამერიკელი ცოლის პატრონ არაბს, თავადაც იანკად ქცევა მოსურვებია და მოქალაქეობის გამოსაცვლელად ძალიან აქტიურობს. მაროკო არაა უმრავლესი არაბული ქვეყნების დარი, რომლებშიც ამგვარი სურვილისთვის შეიძლება თავი წაგაგდებინონ, იგი ცდილობს, ცივილიზებულ ცხოვრებას მიჰყვეს და ამიტომაც არაბი ჩინოვნიკებისგან მძლეოსნის მხოლოდ მსუბუქი გაკილვა ისმის. ხანოუჩი უეჭველად მიაშურებს შტატებს, ოღონდ ახლავე რომ წავიდეს, იქნებ სიდნეის ოლიმპიადაზე საერთოდ ვერ ირბინოს. მისი ჰიუსტონელი ვექილი ჰარი ჯი სწორედ ამ პრობლემის მოსაგვარებლად იღწვის, თან იმასაც აცხადებს, საქმე თითქმის გაჩარხულიაო. მოკლედ, „ამერიკელი ხალიდ ხანოუჩი" — იქნებ „სარბიელში" მალე ამგვარი ფრაზაც იხილოთ.

ახლა ბოსტონი. ამერიკულ მარათონს ლონდონურისგან უმთავრესად ბრძოლის სიმძაფრე განასხვავებდა. სად იყო მაღლა შემართული ხელები და ფინიშთან ეულად მისული ლიდერის ღიმილი. მორბენლები ისე მჭიდროდ გადალდნენ ფინიშის ხაზზე, მარათონის ორგანიზატორებმა იქნებ ინანეს კიდეც წამის მეათედების დამთვლელი აპარატურის არქონა, თუმცა იყო ფოტოფინიში და ძალიანაც წაადგა საქმეს. ლონდონში პორტუგალიელის გამარჯვება კი მაინც ერთი მერცხლის ჭყივილი იყო ევროპისთვის, თორემ. აბა ბოსტონის მამაკაცთა მოწინავეები ნახეთ! გული შეუწუხდება ადამიანს ყველა გვარის გასწვრივ „კენიის" წაკითხვით. კაცებში მარტო მეორე ადგილი დაიკავა არაკენიელმა და ისიც ეთიოპიელი (ანუ აფრიკელი) გეზანგე აბერა გამოდგა. საერთოდ, მამრთა ბოსტონური ფინიში ღირს იმად, რომ ოდნავ მეტი ადგილი ვუძღვნათ. სამნი მიჰქროდნენ თავში: ქებული კენიელი მოზეს ტანუი, მისი თვისტომი, კენიის განათლების სამინისტროს მუშაკი ელია ლაგატი და ხსენებული აბერა. გასაკვირია, მაგრამ ფინიშზე მესამე სწორედ ტანუი იყო, ლაგატმა და აბერამ კი სამი წამით ადრე გვერდიგვერდ გადაურბინეს იმ ხაზს, რომელიც 42 კილომეტრისა და 195 მეტრის გალევას იუწყებოდა. მხოლოდ შემდეგ დადგინდა, რომ კენიელის ცხვირი, მკერდი თუ მარჯვენა ფეხი ოდნავ უფრო ადრე გადასულა ზღვარზე და ბოსტონში გაიმარჯვა კაცმა, რომელიც ათი წლის წინ ქონსავსე დაიარებოდა და სირბილიც გულის პროფილაქტიკის მიზნით დაიწყო.

ფოტოფინიშის არსებობამ კონფილიქტის აღმოცენებას ხელი ვერ შეუშალა. იგი აბერამ წამოიწყო. დაბოღმილმა ეთიოპიელმა ჟურნალისტებთან უყოყმანოდ დაასმინა მეზობლები, სირბილისას მიზანდასახულად წიხლებს მირტყამდნენ, ლამის გზიდან გადამაცდინესო. ლაგატი და ტანუი აღშფოთდნენ. „წიხლები იყო, არ უარვყოფ — თქვა ლაგატმა — მაგრამ არა განზრახულად. როცა ბრბო გარბის, უნებლიე მუჯლუგუნები ბუნებრივი მოვლენაა". „და აქეთაც რომ გვირტყამდა?" — შენიშნა შემდეგ ტანუიმ და ნართაულად იმაზე მიანიშნა, აბერა 80 ათასი დოლარის დაკარგვითაა გაცოფებულიო. ამდენი გახლდათ პირველი პრიზი, რომელიც კაცებში ლაგატმა და ქალებში კენიელმავე ერთი შვილის დედამ, კეტრინ ნდერებამ მიიღეს.

როტერდამშიც კენიელმა გაიმარჯვა. კენეტ კერიოტმა გზადაგზა რიგრიგობით დაჯაბნა მთავარი მოცილეები და ფინიშზე 50-მეტრიანი და 8-წამიანი უპირატესობით მივიდა. ქალებში კი ესპანელმა ანა იზაბელ ალონსომ ივარგა, უახლოეს მდევარს წუთზეც მეტით რომ გაუსწრო. ის უახლოესი მდევარი კი იაპონელი მინეკო იამანუჩი იყო.

**დავით გულუა**


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | **ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 503 | ბაიერნი-პორტუ | 1,55 | 3,2 | 6,5 |
| 504 | მანჩესტერი-რეალი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| | **უეფას თასი. 1/2 ფინალი. II მატჩები** | | | |
| | **20 აპრილი** | | | |
| 505 | ლანსი-არსენალი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 506 | ლიდსი-გალათასარაი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| | **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | |
| | **20 აპრილი** | | | |
| 001 | ვერდერი-ლევერკუზენი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 002 | აინტრახტი-ჰამბურგი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| | **გერმანია. II ბუნდესლიგა** | | | |
| | **20 აპრილი** | | | |
| 003 | ჰანოვერი-ალემანია | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 004 | მაინცი-ობერჰაუზენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 005 | ნიურნბერგი-კიოლნი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 006 | ლესტერი-ტოტენჰემი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| | **ჰოლანდია** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 012 | დენ ბოსხი-აიაქსი | 5,0 | 3,6 | 1,55 |
| | **შოტლანდია** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 014 | მოზერუელი-დანდი იუნ. | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | **დანია. 25-ე ტური** | | | |
| | **20 აპრილი** | | | |
| 015 | ოლბორგი-ესბიერგი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 016 | ორჰუსი-ლიუნგბიუ | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 017 | ბრიონდბიუ-ვაილე | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 018 | ბრიონდბიუ-ვაილე 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 019 | კოპენჰაგენი-სილკებორგი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 020 | ვიბორგი-ჰერფიოლგე | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 021 | აკადემისკი-ოდენსე | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| | **ნორვეგია. მე-3 ტური** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 023 | ბრანი-ოდ გრენლანდი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 024 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 025 | ჰაუგესუნდი-ვოლერენგა | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 026 | ლილესტრიომი-რუსენბორგი | 3,5 | 3,0 | 2,0 |
| 027 | მოლდე-ვიკინგი | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 028 | მოსი-ტრომსიო | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 029 | სტაბეკი-სტარტი | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| | **საბერძნეთი. თასის 1/2 ფინალი. II მატჩები** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 030 | პანიონიოსი-აეკ | 3,8 | 3,0 | 1,9 |
| 031 | იონიკოსი-კალამატა | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| | | (I მატჩი: 2-0) | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 033 | პომერანია-პოლონია ($17^{00}$) | 5,0 | 3,4 | 1,6 |
| | | (I მატჩი: 0-1) | | |
| 034 | რადომსკო-ვიძევი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| | | (I მატჩი: 1-3) | | |
| 035 | ვისლა-ბელხატოვი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | | (I მატჩი: 0-1) | | |
| | **შემდეგ ეტაპზე გასვლა** | | | |
| | **19 აპრილი** | | | |
| 703 | ბაიერნი (1,15)-პორტუ (4,0) | | | |
| 704 | მანჩესტერი (1,2)-რეალი (2,8) | | | |
| | **20 აპრილი** | | | |
| 705 | ლანსი (4,0)-არსენალი (1,15) | | | |
| 706 | ლიდსი (2,3)-გალათასარაი (1,3) | | | |

*გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლისას მიუთითეთ მხოლოდ ის გუნდი, რომელიც გავა შემდეგ ეტაპზე (წყვილის სრულად დაწერა საჭირო არ არის)*

კალათბურთის და ჰოკეის კოეფიციენტებს ადგილზე გაეცნობით

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

26-30 აპრილს ბოულინგ-ცენტრი

ატარებს ღია ტურნირს

ფორტუნა 2000

საპრიზო ფონდი 2000 ლარია,

მონაწილეობის საფასური — 10 ლარი.

რეგისტრაციის ვადა 23 აპრილამდე

მისამართი: ალ. ყაზბეგის გამზირი 12.
ტელეფონი: 330-350.

TBILISI INTERNATIONAL BOWLING CENTRE

მარგალიტების მაღაზია

პერლა




კოსტავას 47

# ჩხუბი იყო ათასოთხასლარიანი

მეცხრე ეროვნულში თითქოს უმოტივაციოდ დარჩენილი „შევარდენი“ და „გორი“ გუშინ ვერის ბაღში მართლაც რომ შეიბნენ. გუნდები გამარჯვებას ვერა და ცემა-ტყეპას კი გამორჩნენ ერთმანეთს. შეხვედრის დამთავრებას ბევრიც არაფერი უკლდა, როცა შევარდენელი ირაკლი მესხი და გორელი გიორგი ფსუტური სიტყვიერად შეკამათდნენ. ეს რომ ვერ იკმარეს, საცემლადაც მიეჭრნენ ერთმანეთს, რამაც მათი თანაგუნდელებიც გაახელა და მუშტი-კრივიც გაჩაღდა. მერე კი დაშოშმინდნენ კალათბურთელები, მაგრამ მატჩი აღარ გაგრძელებულა. სახელდახელოდ შეკრებილმა კომისიამ შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო: ორივე გუნდს ჩაეთვალა წაგება და დაეწერა 0 ქულა; მესხსაც და ფსუტურსაც სამი თამაშით დისკვალიფიკაცია მიეცათ და 300-300 ლარით დაჯარიმდნენ; ფინანსური სასჯელი კლუბებსაც დაეკისრათ — მათ 400-400 ლარის გადახდა მოუწევთ.

დანარჩენი შეხვედრები უინციდენტოდ ჩატარდა. სამაგიეროდ, სენსაცია დაფიქსირდა: თსუ-მ მოულოდნელად 76:87 წააგო სსუ-სთან, „დინამომ“ კი ასკ-ს მოუგო — 93:71.

**საქართველოს 9 ჩემპიონატი — 2 ტური — VII-XII ადგილები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| თსუ | 23 | 12 | 11 | 1999:1982 | 35 |
| დინამო | 24 | 9 | 15 | 1781:1923 | 32 |
| შევარდენი | 24 | 9 | 15 | 1700:1885 | 32 |
| სსუ | 24 | 3 | 21 | 1716:2229 | 27 |
| ასკ | 24 | 2 | 22 | 1715:2254 | 26 |
| გორი | 23 | 3 | 20 | 1343:1711 | 22 |

*გორს დაკლებული აქვს ოთხი ქულა, დინამოს და შევარდენს — თითო-თითო*

# სომხებს კამერუნელებმა ვერ უშველეს

გუშინ რუსთავში ახალშექმნილი სამხრეთის ლიგის პირველი შეხვედრები გამართეს ადგილობრივმა „აზოტმა“ და თბილისის „მაკაბიმ“. ჩვენებურთა მეტოქენი სომხური კლუბები იყვნენ. თავდაპირველად „მაკაბი“ დაუპირისპირდა ერევნის „ადისს“, რომლის შემადგენლობაშიც ორი კამერუნელი თამაშობდა. შავკანიანებით გაძლიერებულმა სომხებმა გვარიანი წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისელებს, მეორე ტაიმის შუახანს „ადისი“ 5 ქულითაც იყო წინ, თუმც საბოლოოდ მაინც „მაკაბიმ“ იმარჯვა — 99:92.

მეორე მატჩში საქართველოს ვიცე-ჩემპიონმა „აზოტმა“ თითქმის უოფლოდ დაამარცხა ერევნის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი, რაც ანგარიშიდან ნათლად ჩანს — 89:53.

დღეს ჩვენი გუნდები მეტოქეებს გაცვლიან, „მაკაბი“ ფიზკულტურელებს შეხვდება, „აზოტი“ — „ადისს“.

## საბერძნეთი

პლეი ოფის მეოთხედფინალი
(ორ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| *ოლიმპიაკოსი* | *2* |
| არისი | 0 |

არისი 68:83 ოლიმპიაკოსი

| | |
|---|---|
| *პაოკ* | *2* |
| პერისტერი | 1 |

პერისტერი 67:59 პაოკ

პაოკ 81:59 პერისტერი

| | |
|---|---|
| აეკ | 1 |
| პანიონიოსი | 0 |

აეკ 66:61 პანიონიოსი

*ამ სერიაში საპასუხო მატჩი დღეს გაიმართება*

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში.*

ნახევარფინალში „ოლიმპიაკოსი“ შეხვდება პაოკ-ს, „პანათინაიკოსი“ კი აეკ — „პანიონისის“ წყვილში გამარჯვებულს

## სლოვენია

ექვსეულის IX ტური

პივოვარნა — კრკა 86:84, სავინსკი — ოლიმპია 64:90

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 31 | 29 | 2 | 2768:2273 | 60 |
| ოლიმპია | 31 | 28 | 3 | 2708:1946 | 59 |
| კრკა | 31 | 21 | 10 | 2456:2241 | 52 |
| სლოვანი | 31 | 15 | 16 | 2271:2292 | 46 |
| ტრიგლავი | 31 | 13 | 18 | 2265:2480 | 44 |
| სავინსკი | 31 | 13 | 18 | 2434:2499 | 44 |

VII-XII ადგილები

IX ტური

კრაშკი ზიდარი — ზაგორიე 71:59, ლოკა კავა — ჰელიოსი 78:60, მარიბორი — როგლა ატრასი 66:86

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ზაგორიე | 31 | 17 | 14 | 2260:2374 | 48 |
| კრაშკი ზიდარი | 31 | 11 | 20 | 2321:2389 | 42 |
| როგლა ატრასი | 31 | 11 | 20 | 2300:2425 | 42 |
| ლოკა კავა | 31 | 11 | 20 | 2233:2412 | 42 |
| ჰელიოსი | 31 | 10 | 21 | 2385:2613 | 41 |
| მარიბორი | 31 | 7 | 24 | 2186:2613 | 38 |

## თურქეთი

პლეი ოფის პირველი წრე
(სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| *ტელეკომი* | *3* |
| ფენერბაჩე | 2 |

ტელეკომი 62:67 ფენერბაჩე

ფენერბაჩე 68:72 ტელეკომი

| | |
|---|---|
| გალათასარაი | 1 |
| ტროი | 2 |

გალათასარაი 68:77 ტროი

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდი გავიდა მეოთხედფინალში.*

## საფრანგეთი

XXX ტური

**პო ორტეზი — ბეზანსონი 79:67, ლე მანი — დიჟონი 86:72, ანტიბი — შამპანი 82:76, ევრე — მონპელიე 93:81, ვილერბანი — ნანსი 83:81, შოლე — პსჟ 64:63, საონი — ლიმოჟი 58:64, სტრასბური — გრაველინი 89:73**

საფრანგეთში რეგულარული ჩემპიონატი დამთავრდა. 22 აპრილიდან პლეი ოფი დაიწყება და ქვეყნის ჩემპიონიც გამოვლინდება. მანამდე კი ზოგიერთი რამ უკვე გაირკვა.

ყველაზე მეტ ინტერესს „ლე მანისა“ და „დიჟონის“ დაპირისპირება იწვევდა, რადგან საუკეთესო რვა გუნდის უკანასკნელი წევრი სწორედ ამ მატჩში უნდა გარკვეულიყო. თამაში, რომელსაც 4500 მაყურებელი დაესწრო, ძალიან საინტერესო და დაძაბული გამოდგა, თუმცა მასპინძლებმა შეხვედრის ბოლოსკენ მეტოქის წინააღმდეგობა გატეხეს და ერთი შეხედვით იოლადაც გაიმარჯვეს.

„მე ვამაყობ ჩემი თანაგუნდელებით. მათ ძალიან კარგად ითამაშეს. იმედია, პლეი ოფშიც ასევე გავაგრძელებთ“ — თქვა ექსდიჟონელმა და ახლა „ლე მანის“ ცენტრმა ნელშამ, თუმცა თავისიანებისთვის 14 ქულის მომტანი კალათბურთელი, საეჭვოა, თავის გუნდს „ლიმოჟის“ წინააღმდეგაც მიეხმაროს, რადგან დიჟონელებთან საკმაოდ მძიმედ დაშავდა. მიუხედავად იმისა, რომ ფარიდან ასხლეტილი ბურთებისთვის ბრძოლაში აშკარა უპირატესობა ჰქონდათ, მასპინძლები დიდი სხვაობით დაწინაურებას ვერაფრით ახერხებდნენ. პირველ ტაიმში ისინი ყველაზე მეტად მე-17 წუთზე გაექცნენ მოწინააღმდეგეს — 35:29. თუმცა თავისი შემტევი დუეტის (ლორი-ბერნარი) წყალობით „დიჟონმა“ მალე შეძლო ანგარიშში წამოწევა. ქულა-ქულაში თამაში შესვენების შემდეგაც გაგრძელდა და სირენამდე წუთითა და 36 წამით ადრე „ლე მანი“ მხოლოდ 6 ქულას იგებდა (78:72), მაგრამ მერე სტუმრებმა ნერვიულობისგან აკანკალებული ხელით ერთი სროლაც ველარ ჩააგდეს და პლეი ოფს მიღმა დარჩნენ.

მართალია, ჩემპიონობისთვის ბრძოლის გაგრძელება ორივე გუნდს განაღდებული ჰქონდა, მაგრამ შოლე-პსჟ-ს დაპირისპირება მაინც საინტერესო იყო. მოგებული მეოთხე ადგილზე გადიოდა, წაგებულს კი შეიძლებოდა სატურნირო ცხრილში მეექვსე ხაზი რგებოდა წილად (ასეც მოხდა), რაც მეოთხედფინალში ქვეყნის ჩემპიონ „პო ორტეზთან“ ჭიდილს ნიშნავდა. ასეთი პერსპექტივა არც ერთ გუნდს ხიბლავდა და ამიტომაც მატჩი მეტად დაძაბული გამოდგა. „შოლეს“ თავისი ლიდერი ერიკ მიკუ აკლდა ზურგის ტრავმის გამო, მაგრამ საწყის 10 წუთში ეს ძალიან არ დასტყობია — 20:21. ამის მერე კი პარიზელმა სკიარამ გაილაღა, ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო, შედეგიანი პასებიც ბლომად ჩამოარიგა და შესვენების წინ „პარი სენ ჟერმენი“ 6 ქულით დაწინაურდა (40:34). მეორე ტაიმის დასაწყისში მასპინძელთაგან ჟანომ იკისრა ლიდერობა და 27-ე წუთზე უკვე „შოლე“ იყო წინ — 49:46. მერე კი აიწონა-დაიწონა დაიწყო. შეხვედრის დამთავრებამდე ოთხი წამით ადრე სტუმრები ერთ ქულას იგებდნენ, მაგრამ გამარჯვება არ ეწერათ. ჟანომ თავის გუნდს ორი ქულა მოუტანა, სკიარას ბოლო ტყორცნა კი არაზუსტი გამოდგა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი ამერიკელი ლეგიონერი რობიში დაიმატა, „შამპანმა“ კვლავ წააგო და „პრო A-დანაც“ გავარდა. დამარცხდა მისი უშუალო კონკურენტი „მონპელიეც“, მაგრამ გავარდნას დროებით მაინც გადარჩა. ახლა მას უძლიერესთა რიგებში ადგილის შესანარჩუნებლად „პრო B“-ს მეორე-მერვე ადგილებზე გასულ გუნდებთან მოუწევს ჭიდილი.

საპორტას თასზე მონაწილეობის უფლება რეგულარულ ჩემპიონატში პირველ სამ ადგილზე გასულ გუნდს მიეცა. მომდევნო ოთხეული კი კორაჩის თასისთვის იბრძოლებს მომავალ სეზონში. ევროლიგაში კი მხოლოდ ჩემპიონი იასპარეზებს. ასე რომ, პლეი ოფში მოხვედრილი რვავე გუნდი რომელიმე ევროთასზე გამოვა.

გაიოზ თალაკვაძე

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ვილერბანი | 30 | 24 | 6 | 2336:2043 | 54 |
| ლიმოჟი | 30 | 21 | 9 | 2228:2052 | 51 |
| პო ორტეზი | 30 | 21 | 9 | 2251:2145 | 51 |
| შოლე | 30 | 19 | 11 | 2235:2146 | 49 |
| სტრასბური | 30 | 18 | 12 | 2173:2134 | 48 |
| პსჟ | 30 | 18 | 12 | 2198:1974 | 48 |
| ლე მანი | 30 | 17 | 13 | 2255:2184 | 47 |
| საონი | 30 | 16 | 14 | 2207:2078 | 46 |
| დიჟონი | 30 | 16 | 14 | 2288:2208 | 46 |
| ნანსი | 30 | 13 | 17 | 2102:2142 | 43 |
| ბეზანსონი | 30 | 12 | 18 | 2201:2242 | 42 |
| ევრე | 30 | 11 | 19 | 2181:2296 | 41 |
| ანტიბი | 30 | 11 | 19 | 2023:2248 | 41 |
| გრაველინი | 30 | 9 | 21 | 2105:2363 | 39 |
| მონპელიე | 30 | 7 | 23 | 2101:2304 | 37 |
| შამპანი | 30 | 7 | 23 | 2059:2384 | 37 |

პლეი ოფი (ორ მოგებამდე)

ვილერბანი — საონი

შოლე — სტრასბური

პო ორტეზი — პსჟ

ლიმოჟი — ლე მანი

*მატჩები გაიმართება 22 და 25 აპრილს, თუ საჭირო გახდა 2 მაისს*

## იტალია

პლეი ოფის პირველი წრე
(ორ მოგებამდე) საპასუხო მატჩები

| | |
|---|---|
| სიენა | 1 |
| იმოლა | 1 |

იმოლა 82:57 სიენა

| | |
|---|---|
| ძუკეტი | 1 |
| მიულერი | 1 |

მიულერი 93:80 ძუკეტი

| | |
|---|---|
| სკავოლინი | 0 |
| *ადეკო* | *2* |

ადეკო 80:57 სკავოლინი

| | |
|---|---|
| ბენეტონი | 1 |
| პეპსი | 1 |

პეპსი 91:85 ბენეტონი

| | |
|---|---|
| აეროპორტი | 1 |
| ტრიესტი | 1 |

ტრიესტი 92:84 აეროპორტი

| | |
|---|---|
| ვიოლა | 1 |
| ვარეზე | 1 |

ვარეზე 81:79 ვიოლა

*დახრილი შრიფტით გამოყოფილი გუნდი გავიდა მეოთხედფინალში. გადამწყვეტი მატჩები დღეს გაიმართება*

## ესპანეთი

XXXIII ტური

ბადალონა — კასერესი 67:58, კახა სან ფერნანდო — ფუენლაბრადა 59:69, ტაუ — რეალი 73:74, ბარსელონა — ხირონა 93:67, კანარიასი — პამესა 69:60, ფორუმი — უნიკახა 81:66, ტდკ — ლეონი 69:61, ესტუდიანტესი — ხიხონი 68:66, ბრეოგანი — კანტაბრია 79:69

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 33 | 25 | 8 | 2472:2164 | 58 |
| რეალი | 33 | 22 | 11 | 2499:2291 | 55 |
| სან ფერნანდო | 33 | 22 | 11 | 2358:2235 | 55 |
| ესტუდიანტესი | 33 | 22 | 11 | 2419:2308 | 55 |
| ტაუ | 33 | 21 | 12 | 2612:2410 | 54 |
| პამესა | 33 | 20 | 13 | 2633:2455 | 53 |
| უნიკახა | 33 | 19 | 14 | 2349:2302 | 52 |
| კანარიასი | 33 | 18 | 15 | 2367:2416 | 51 |
| კასერესი | 33 | 16 | 17 | 2376:2411 | 49 |
| ხირონა | 33 | 15 | 18 | 2433:2389 | 48 |
| ბრეოგანი | 33 | 15 | 18 | 2376:2448 | 48 |
| ბადალონა | 33 | 15 | 18 | 2553:2574 | 48 |
| ფორუმი | 33 | 14 | 19 | 2258:2378 | 47 |
| კანტაბრია | 33 | 11 | 22 | 2277:2531 | 44 |
| ფუენლაბრადა | 33 | 11 | 22 | 2395:2476 | 44 |
| ტდკ | 33 | 11 | 22 | 2245:2392 | 44 |
| ლეონი | 33 | 10 | 23 | 2230:2430 | 43 |
| ხიხონი | 33 | 10 | 23 | 2237:2479 | 43 |

## რეგულარული ჩემპიონატი

# პლეი ოფი შეივსო

17 აპრილი

**ორლანდო 83:85 მილუოკი**
**ორლანდო: ატკინსი (18)**
**მილუოკი: ტომასი (21), კასელი (19)**

**ფილადელფია 90:92 ინდიანა**
**ფილადელფია: აივერსონი (24), ლინჩი (16)**
**ინდიანა: მულინი (21), როუზი (20)**

**სან ანტონიო 100:93 ვანკუვერი**
**სან ანტონიო: რობინსონი (27 ქულა, 10 მოხსნა), ჯონსონი (24)**
**ვანკუვერი: დიკერსონი (29), აბდურ-რაჰიმი (27 ქულა, 10 მოხსნა)**

**გოლდენ სტეიტი 96:101 მინესოტა**
**გოლდენ სტეიტი: ჰიუზი (33)**
**მინესოტა: ბრენდონი (21)**

რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი დღით ადრე გამოვლინდა პლეი ოფის ბოლო, მეთექვსმეტე მონაწილე. ეს ბედნიერება წილად ხვდა „მილუოკი ბაქსს“, რომელმაც უშუალო მეტოქე დაამარცხა. მილუოკელებს ამისათვის გვარიანი ოფლის ღვრა და ნერვების წყვეტა დასჭირდათ. „მილუოკიმ“ რეგულარული სეზონის მეორე ნახევარი პირველზე ბევრად უარესად ჩაატარა და ამისთვის ლამის დაისაჯა კიდეც. მისდა ბედად, „ორლანდო“ მაინც ვერ აღმოჩნდა იმ დონეზე რომ „ბაქსისთვის“ პირად ბრძოლებში ეჯობნა.

„მე უბრალოდ ბედნიერი ვარ. ჩვენ საბოლოოდ მაინც მივაღწიეთ მიზანს, თუმც იმის ხელმეორედ გადატანას, რაც ამ ბოლო დღეებში გადაგვხდა არც ერთი ჩვენგანი ისურვებდა“ — თქვა მილუოკელთა თავდამსხმელმა, „ორლანდოსთან“ მატჩის გმირმა ტიმ ტომასმა. ამ თამაშში იგი საუკეთესო იყო თავის გუნდში. ტომასმა ბოლო მეოთხედში, როცა მის გუნდს ყველაზე უფრო უჭირდა, რვა ქულა გააზერხა, აქედან ოთხი შეხვედრის ბოლო წუთზე ჩააგდო.

მატჩის დასაწყისი „მილუოკიმ“ პირწმინდად მოუგო მასპინძლებს. პირველ მეოთხედში „ორლანდომ“ მხოლოდ ორი ბურთი ჩააგდო თამაშიდან, სულ 9 ქულას დასჯერდა და მეტოქეს ერთბაშად 15 ქულის სხვაობით ჩამორჩა. ამას შეიძლება ნებისმიერისთვის გაეტეხა გული, მაგრამ არა „ორლანდოსთვის“. ლიგის ყველაზე კერკეტა გუნდად მიჩნეულმა „მეჯიქმა“ გაათმაგებული მონდომებით შეუტია სტუმრებს და მომდევნო ორ მეოთხედში მოახერხა ამ სხვაობის გაქრობა. აქ მოხდა ის, რასაც თითქოს მასპინძელთა წისქვილზე უნდა დაესხა წყალი. მილუოკელთა ლიდერმა, მანამდე თითქმის შეუცვლელად მოთამაშე რეი ალენმა მესამე მეოთხედის მიწურულს მუხლის მცირე ტრავმა მიიღო და თამაში ველარ გააგრძელა. მაგრამ „ბაქსის“ მხსნელად ტიმ ტომასი მოევლინა, რომელმაც თავისიანებს მატჩის ბოლო წუთი 6:2 მოაგებინა.

არანაკლებ დაძაბული გამოდგა „ფილადელფია“ — „ინდიანას“ შეხვედრა. მატჩის წინ სტუმართა მწვრთნელ ლარი ბერდს დიდი თავსატეხი გაუჩნდა, ერთდროულად დაუშავდა ორი გამოცდილი უკანახაზელი — მარკ ჯექსონი და რეჯი მილერი. ასე რომ, „ინდიანა“ უკანა ხაზის გარეშე დარჩა. ბერდმაც ამ რთული სიტუაციიდან ორიგინალურ გამოსავალს მიაგნო, ორი დაბალის ვაკანტურ ადგილზე ორი ფორვარდი — კრის მულინი და ოსტინ კროშერი განამწესა და „ფილადელფიას“ წინააღმდეგ ისეთი ხუთეული გამოიყვანა, რომლის არც ერთი წევრი ორ მეტრზე დაბალი არ გახლდათ. მართალია, ამ დევებმა მთლად ვერ გააჩერეს 183-სანტიმეტრიანი ალენ აივერსონი, მაგრამ სათარეშო სივრცეები მაქსიმალურად შეუზღუდეს და აიძულეს, მოუხერხებელი პოზიციებიდან შეეტია სტუმართა კალათისთვის. ჯერ თითქოს არაფერი გამოვიდა, ბოლო მეოთხედში აივერსონმა და მისმა გუნდმა ათქულიანი უპირატესობით შეაბიჯა, მაგრამ მერე „ინდიანამ“ დაცვის მარწუხებს კიდევ უფრო მოუჭირა, შედეგმაც არ დააყოვნა. „ფილადელფიამ“ ათი წუთის განმავლობაში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდო და ბოლო მეოთხედში „ინდიანას“ მონაგრის ზუსტად ნახევარს — 12 ქულას დასჯერდა.

ირაკლი ფირაშვილი



ორლანდო — მილუოკი. ორლანდოელმა მაიკლ დოლიკმა დერვინ ჰემი (№21) მოხსნა

# მაკაბი ათენელებთან, ბარსელონა მთვარეზე

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ნახევარფინალი

## მაკაბი 65:51 ბარსელონა

18 აპრილი. სალონიკი. I ტაიმი 38:22

მსაჯები: რომუალდას ბრაზაუსკასი (ლიტვა), კარლ იუნგენბრანდი (ფინეთი)

| მაკაბი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბრისკერი | 25 | 1/1 | 2/4 | 7/8 | 4 | 1 | 1 | 3 | 15 |
| კომეგისი | 26 | 1/3 | 0/0 | 0/0 | 4 | 2 | 0 | 3 | 2 |
| ჰენფელდი | 32 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 6 | 2 | 0 | 4 | 2 |
| ჰაფმანი | 35 | 9/12 | 0/0 | 6/7 | 5 | 0 | 1 | 1 | 24 |
| მაკდონალდი | 35 | 2/7 | 0/1 | 1/2 | 1 | 4 | 1 | 3 | 5 |
| შარფი | 18 | 1/1 | 1/2 | 0/0 | 2 | 2 | 0 | 2 | 5 |
| შეფერი | 30 | 3/6 | 2/3 | 0/0 | 2 | 2 | 2 | 2 | 12 |
| **სულ** | **200** | **18/31** | **5/10** | **14/17** | **24** | **13** | **5** | **18** | **65** |

| ბარსელონა | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალსტონი | 32 | 2/12 | 0/0 | 3/6 | 5 | 3 | 2 | 3 | 7 |
| დე ლა ფუენტე | 30 | 3/8 | 1/1 | 1/2 | 6 | 0 | 2 | 0 | 10 |
| დუენიასი | 23 | 3/6 | 0/1 | 0/0 | 9 | 0 | 1 | 3 | 6 |
| ელსონი | 14 | 1/1 | 0/0 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 2 | 2 |
| გასოლი | 7 | 0/0 | 0/1 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 0 | 2 |
| გოლდვაიერი | 30 | 1/4 | 2/8 | 5/6 | 2 | 3 | 3 | 1 | 13 |
| გუროვიჩი | 28 | 1/5 | 1/4 | 0/0 | 4 | 1 | 0 | 2 | 5 |
| ნავარო | 10 | 1/2 | 0/2 | 0/0 | 1 | 0 | 0 | 0 | 2 |
| რენციასი | 12 | 1/3 | 0/0 | 2/2 | 2 | 0 | 0 | 2 | 4 |
| როდრიგესი | 15 | 0/0 | 0/1 | 0/0 | 1 | 1 | 1 | 5 | 0 |
| **სულ** | **200** | **13/41** | **4/18** | **13/18** | **33** | **9** | **10** | **18** | **51** |

დასაწყისი პირველ გვერდზე

თხუთმეტ წუთში მოედანზე „ბარსელონას“ ბერძენი ცენტრი ეფტიმიოს რენციასი გამოჩნდა, მაგრამ მას კატალონიური კლუბის ორმოცამდე ქომაგი თუ მიესალმა. ასე მარტო ისროდა ეს ორი დიდი კაცი, სანამ დანარჩენი თანაგუნდელები არ შეუერთდნენ. ეს კი ჰაფმანის გამოჩენიდან ნახევარ საათში მოხდა.

„ბარსას“ წინადღით გამოცხადებულ შემადგენლობაში ერთი ცვლილება იყო: ფრანგი ალენ დიგბოს ადგილი 20 წლის და 213-სანტიმეტრიანმა პაულ გასოლმა დაიკავა. მაკაბელებმა კი შემადგენლობა ხელუხლებლად დატოვეს.

გუნდებმა ორ-ორჯერ შეუტიეს დალაგებულად და მერე თამაში აირია, ორივე ხშირად ცდებოდა: „ბარსელონას“ პირველი ქულები გიგანტმა რობერტო დუენიასმა მიითვალა, მაგრამ მის გარჯას რიგიანი ნალდად არ ეთქმოდა. თუკი დუენიასი ფარზე მძლავრობდა და ზედიზედ რამდენიმე მოხსნა გააკეთა, მერე მოპოვებული ბურთის ხელში დაჭერა უჭირდა. ამით სარგებლობდნენ ჰაფმანი და დალას კომეგისი და „ბარსას“ ცენტრს თითოჯერ გამოგლიჯეს ბურთი.

დაცვაში ნაკლებმოძრავი და ოდნავ მოუქნელი დუენიასი შავ დღეში ჩააგდო ჰაფმანმა. მაკაბელი იოლად ატყუებდა მეურვეს და მეცხრე წუთზე უკვე 10 ქულა ჰქონდა (ტაიმი 14 ქულით დაასრულა). ამ დროს „მაკაბი“ 16:9 იგებდა.

„ბარსელონამ“ წუთშესვენება აიღო, რომელიც ებრაელებსთ უფრო წაადგათ. დალას კომეგისმა ჯერ დერიკ ალსტონს დაუფარა, მერე — მილან გუროვიჩს. ჰაფმანს დუენიასის ნაცვლად შესული ფრანსისკო ელსონი დაუდგა, მაგრამ ისიც ვერაფერს გახდა: მაკაბელი ფარიდან შორს გაიტყუებდა ხოლმე მეტოქეს და დაბალ თანაგუნდელებს ფარქვეშ გაძრომ-გამოძრომის საშუალებას აძლევდა. მარკ ბრისკერმა და დერიკ შარფმაც შეირგეს ბოძებული შანსი: პირველმა სამქულიანი ჩააგდო, მეორემ — საშუალო მანძილიდან. „ბარსელონა“ კი სამი წუთის განმავლობაში უქულოდ იყო, მერე რენციასმა იყოჩაღა, ოღონდ „მაკაბი“ უკვე ათი ქულით უსწრებდა — 23:13.

ჰაფმანი მოედნიდან დასასვენებლად გავიდა, მაგრამ მაკაბელებს ახალი ლიდერი მოევლინათ — მარკ ბრისკერი. მან ჯერ მარჯვენა კუთხიდან ჩააგდო სამქულიანი, მერე კი ნავაროს ბურთი ჩაუჭრა და მის წინააღმდეგ როცა დაჯარიმდნენ, ორი საჯარიმოც ჩააგდო.

მერე თამაში ისევ აირია. მაკაბელი არიელ მაკდონალდი და ბარსელონელი პაულ გასოლი ცარიელ ფართან დარჩნენ, მაგრამ ააცილეს. პირველი „მაკაბი“ გამოფხიზლდა — მაკდონალდმა შეცდომა გამოასწორა და საშუალო მანძილიდან რთული ბურთი ჩააგდო. ტაიმის დამთავრებამდე 4,39 წუთით ადრე ებრაელები 30:15 იგებდნენ.

დაახლოებით სამი წუთი „ბარსელონა“ დარეტიანებული კაცივით ირჯებოდა, მოთამაშეები აქეთ-იქით მთვარეულებივით დაბორიალობდნენ. მწვრთნელმა რენესესმა ინტენსიურად ცვალა შემადგენლობა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

ბოლო წუთზე „ბარსა“ გონზე მოვიდა: დე ლა ფუენტემ სამქულიანი ჩააგდო, გასოლმა — ორი საჯარიმო. სხვაობა კიდევ შემცირდებოდა, მაგრამ დუენიასმა უმარტივესი ბურთი ააცილა. ტაიმი 38:22 მორჩა თელავიველების სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის დასაწყისში „მაკაბიმ“ თამაში ჰაფმანზე აღარ ააწყო: უკანახაზელები ბურთს სამწამიანი ხაზის გასწვრივ ატრიალებდნენ. „ბარსელონამ“ მაინცდამაინც ვერ ისარგებლა ამით — მართალია, მძლავრ პრესინგს მიმართა, მაგრამ სხვაობას ძალიან ნელა ამცირებდა.

გუროვიჩმა და დე ლა ფუენტემ ზედიზედ ჩაჭრეს და კონტრშეტევები წარმატებით დააგვირგვინეს. ამასობაში მეორე ტაიმის მერვე წუთი დადგა და გაირკვა, რომ „ბარსელონამ“ შვიდწუთიანი მონაკვეთი 11:3 მოიგო და ანგარიშიც 41:33 გახდა.

როგორ გგონიათ, ვინ გაუტეხა ნავსი „მაკაბის“? მართალი ბრძანდებით, ნათანიელ ჰაფმანმა. მან დაახლოებით საჯარიმოს ხაზის სიახლოვიდან ჩააგდო. მერე „მაკაბის“ შეტევები დალაგდა. დერიკ შარფის დროც მოვიდა: ჯერ გარღვევა მიითვალა, მერე — სამქულიანი.

„ბარსელონამ“ კი... ექვსი წუთის განმავლობაში ქულაც ვერ აიღო. დამთავრებამდე 7,20 წუთით ადრე მაკაბელები 51:35 იგებდნენ. თამაშმა პრაქტიკულად აზრი დაკარგა, მაგრამ „ბარსა“ ამ მდგომარეობას არ შეეგუა და კვლავ პრესინგზე გადავიდა. ცოტათი გაჭრა. სირენამდე 4,49 წუთით ადრე — 53:44. ოღონდ, „მაკაბის“ ეტყობოდა, რომ თავის ძალებში დარწმუნებული იყო და თავს ოდნავ მოდუნების საშუალება მისცა.

ეს განსაკუთრებით მაშინ გამჟღავნდა, როცა ჰაფმანმა ტყუპისცალებივით მსგავსად ზედიზედ სამჯერ ჩატენა. მატჩის უდავოდ საუკეთესო მოთამაშე მარჯვნიდან იჭრებოდა ფარქვეშ, ორივე ფეხით ხტებოდა და „ბარსას“ ლამის თავზე ჩამოამტვრია კალათი.

„ბარსელონას“ ბოლო შანსი სირენამდე ორი წუთით ადრე დასამარდა. 59:51-ზე ენტონი გოლდვაიერმა სამქულიანი ესროლა, გუროვიჩმა კი მოხსნილი ბურთი ხელში ვეღარ შეიკავა და მაკაბელებს გაატანა გამარჯვებასთან ერთად.



REUTERS სალონიკიდან

მაკაბელი არიელ მაკდონალდი იგნასიო როდრიგესს გასცდა



ERS სალონიკიდან

პანათინაიკოსელმა მიხაელ კოხმა (ბურთით) ეფესელი ფირინჭიოღლუ პასით ჩამოიცილა

„პანათინაიკოსის“ მწვრთნელმა ჟელკო ობრადოვიჩმა ხუთეულში არ დააყენა ებრაელი ოდედ კატაში და გამთამაშებლობა იტალიელ ნანდო ჯენტილეს ანდო. ეს უკანასკნელი და იუგოსლაველი დეიან ბოდიროგა მორიგეობით ათამაშებდნენ ბურთს. არჩევანი საკმაო ჰქონდათ: პასი ან ფარქვეშ მიდიოდა იუგოსლაველ ჟელკო რებრაჩასთან, ან ფლანგზე ფრაგისკოს ალვერტისთან, ანაც მუდმივად უპატრონოდ მყოფ ამერიკელ ჯონ როჯერსთან. ესენიც ყოჩაღობდნენ. „ეფესში“ კი კომბინაციურად ორი კაცი თამაშობდა. ხორვატი გამთამაშებელი დამირ მულაომეროვიჩი პასებით ამარაგებდა ცენტრ ჰუსეინ ბეშოქს, რომელსაც საქმე თავიდან კარგად წაუვიდა, რადგან რებრაჩა მჭიდროდ არ ეთამაშებოდა.

მულაომეროვიჩს მორიგეობით მეურვეობდნენ ჯენტილე და ბოდიროგა. მუდმივი წნეხის ქვეშ მყოფმა ეფესელმა ნელ-ნელა უკლო აქტიურობას. იბრაგიმ ქუთლუაიმაც ორჯერ ესროლა შორიდან, მაგრამ ააცილა. 16:12-ზე „პანათინაიკოსის“ სასარგებლოდ რებრაჩა მოედნიდან გაიყვანეს. ამ დროისათვის მას 8 ქულა ჰქონდა, ტაიმი კი 12 ქულით დაასრულა.

აქ მივადექით მატჩის იქნებ გადამწყვეტ მომენტს, რომელშიც მთავარი როლი ბოდიროგამ ითამაშა. წუთნახევარში განმავლობაში მან ზედიზედ ორჯერ მოხსნა ბურთი თავის ფარზე, შეტევაში კი ჯერ ნახევარ „ეფესს“ ეჯაჯგურა და ფარქვეშიდან ისე ჩააგდო, მეორედ კი გარღვევაც გამოიყენა და პლუს ერთი საჯარიმოც. მე-9 წუთზე „პანათინაიკოსი“ 23:14 დაწინაურდა.

„ეფესის“ მწვრთნელმა ერგინ ათამანმა ბეშოქი გაიყვანა, რითაც „ეფესმა“ ნებაყოფლობით დათმო ფარი. სამაგიეროდ, სამქულიანებს მიეძალა და ქუთლუაიმ ორჯერ ჩააგდო შორიდან.

ბოდიროგამ და გერმანელმა მიხაელ კოხმა თამაში დაალაგეს და შეტევები რებრაჩაზე აეწყო, რომელმაც შეტევაშიც ივარგა და თავის ფარს არავინ გააკარა. ასე რომ, ტაიმის ბოლო „პანათინაიკოსისა“ იყო.

„პანათინაიკოსმა“ ძლიერად კი დაიწყო მეორე ტაიმი, მაგრამ მალე მოდუნდა და ეფესელთა ზედიზედ ორი შეტევა გაეპარა. სტამბოლელებს იმედი მიეცათ, მაგრამ მათი აღტკინება ჯერ გარღვევაზე გასულმა ჯენტილემ დააცხრო, მერე კი ბოდიროგამ — სამქულიანით. ხოლო როცა ნახევრადდაცემულმა ალვერტისმა ზედიზედ ორჯერ მოედნის კუთხიდან სამქულიანები ჩააგდო ანგარიში 57:41 გახდა.

ამის მერე ობრადოვიჩმა სასტარტო ხუთეულის ყველა წევრი დაასვენა და თამაში სათადარიგოებს მიანდო. ანგარიში ერთხელ შვიდ ქულამდე ჩამოვიდა, მერე თორმეტამდე გაიზარდა, დრობნიაკი გავარდა, „ეფესმა“ პრესინგი დააყენა, ბეშოქმა უხეშად დაუფარა რებრაჩას, რისთვისაც პასუხად ბეჭებში მუშტი მიიღო. მატჩის ბედი კი, ცხადია, გადაწყვეტილი იყო. როცა გუნდში ბოდიროგა გყავს, ანგარიშის შენარჩუნება პრობლემა არ არის. ამ შესანიშნავმა მოთამაშემ რამდენჯერაც მოინდომა, იმდენიჯერ გააჩერა ბურთი 30 წამის განმავლობაში. მერე კი ხან გარღვევაზე გასულმა ჩააგდო, ხან სამქულიანი ხაზის გარედან.

ევროლიგის „ოთხთა ფინალი“. ნახევარფინალი

## პანათინაიკოსი 81:71 ეფესი

18 აპრილი. სალონიკი. I ტაიმი 41:33

მსაჯები: სტეფანო კაძარო (იტალია), იზტოკ რენსი (სლოვენია)

| პანათინაიკოსი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ალვერტისი | 28 | 1/1 | 3/3 | 0/0 | 3 | 3 | 0 | 0 | 11 |
| ბოდიროგა | 33 | 5/6 | 2/4 | 6/7 | 5 | 3 | 0 | 2 | 22 |
| ბერძი | 15 | 2/4 | 0/0 | 0/0 | 5 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ფოციხი | 13 | 1/1 | 1/1 | 0/2 | 2 | 1 | 0 | 4 | 5 |
| ჯენტილე | 19 | 1/1 | 1/2 | 2/2 | 0 | 2 | 1 | 3 | 7 |
| კატაში | 21 | 0/3 | 1/4 | 2/2 | 2 | 3 | 0 | 1 | 5 |
| კოხი | 20 | 0/0 | 1/2 | 0/0 | 3 | 1 | 1 | 1 | 3 |
| რებრაჩა | 27 | 5/10 | 0/0 | 5/6 | 7 | 1 | 0 | 4 | 15 |
| როჯერსი | 24 | 1/2 | 2/4 | 1/2 | 3 | 2 | 0 | 4 | 9 |
| **სულ** | **200** | **16/28** | **11/20** | **16/21** | **30** | **13** | **2** | **24** | **81** |

| ეფესი | წთ. | 2-ქ. | 3-ქ. | საჯ. | მოხს. | პასი | ჩაჭ. | ფოლი | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბეშოქი | 31 | 5/9 | 0/1 | 3/6 | 5 | 0 | 1 | 3 | 13 |
| დრობნიაკი | 28 | 2/5 | 1/1 | 4/6 | 3 | 1 | 0 | 5 | 11 |
| ფირინჭიოღლუ | 11 | 2/3 | 0/0 | 0/0 | 2 | 0 | 0 | 2 | 4 |
| ქუთლუაი | 37 | 1/4 | 2/3 | 0/2 | 2 | 0 | 2 | 3 | 8 |
| მულაომეროვიჩი | 32 | 6/9 | 0/4 | 2/4 | 2 | 6 | 3 | 2 | 14 |
| ონანი | 17 | 0/1 | 1/2 | 0/0 | 0 | 0 | 1 | 3 | 3 |
| თურქოღლუ | 31 | 2/4 | 2/2 | 5/8 | 5 | 4 | 2 | 4 | 15 |
| ვექილოღლუ | 12 | 1/1 | 0/1 | 1/3 | 0 | 0 | 0 | 1 | 3 |
| **სულ** | **200** | **19/36** | **6/14** | **15/29** | **19** | **11** | **9** | **23** | **71** |

NHL

# PLAY OFF

## მერვედფინალი

# ოთხი უკვე შინ არის?

*პლეი ოფის რამდენიმე მერვედფინალურ წყვილში გამარჯვებული პრაქტიკულად უკვე გამოვლინდა. კვირას ფილადელფიამ, ორშაბათს კი პიტსბურგმა, დეტროიტმა და კოლორადომ სერიაში ანგარიში 3:0-მდე გაზარდეს და მეოთხედფინალში თამაში თითქმის დაიბევეს. პლეი ოფის ისტორიამ ხომ მხოლოდ ორი შემთხვევა შემოინახა ისეთი, როცა 0:3 ჩამორჩენის შემდეგ გუნდებმა სერია მოიგეს.*

### დასავლეთი

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 0:3**

**ლოს ანჯელესი — დეტროიტი 1:2**

0:1 0:1 1:0

0:1 ფიოდოროვი 5'21 (2); 0:2 ჰოლმსტრომი 34'40 (1); 1:2 რობიტაილი 42'35 (2)

გამართული მატჩის შემდეგ, ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ შეხვედრა ამჯერადაც უხვგოლიანი გამოდგებოდა. ასეც მოხდა. ორივე გუნდმა ფხიზელი, მეტოქის შეცდომების გამოყენებაზე აგებული ტაქტიკა ირჩია და ამიტომაც მომენტები ნაკლებად იქმნებოდა. საბოლოოდ კი ყველაფერი ფავორიტის უფრო მაღალმა ოსტატობამ გადაწყვიტა — დეტროიტმა ორჯერ გამოიყენა რიცხვმრავლობა. თანაც სერგეი ფიოდოროვმა, რომელმაც ზედიზედ მესამე ქულიანი თამაში ჩაატარა, მაშინ გაიტანა, როცა მეტოქეს ორი მოთამაშე გაუძევეს.

**ფინიქსი — კოლორადო 0:3**

**ფინიქსი — კოლორადო 2:4**

0:0 1:2 1:2

1:0 ტკაჩუკი 20'49 (1); 1:1 პოდინი 29'32 (3); 1:2 საკიკი 34'48 (1); 2:2 რენიკი 46'17 (1); 2:3 დედმარში 46'46 (1); 2:4 დედმარში 59'36 (2)

ალბათ ეს ფინიქსის საუკეთესო მატჩი იყო სერიაში, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით. ამჯერად კოლორადო ვერ დაეუფლა სათამაშო უპირატესობას. „კოიოტებმა" წინა ორი შეხვედრიდან სწორი დასკვნები გამოიტანეს და წესების დარღვევის შემთხვევები მინიმუმამდე შეამცირეს (პირველ ორ თამაშში „ეველანშმა" 5 გოლი გაიტანა რიცხვმრავლობაში). მასპინძელთა ლიდერებიც — კეიტ ტკაჩუკი და ჯერემი რენიკი გაცილებით უკეთ გამოიყურებოდნენ და რომ არა სტუმართა მესამე გოლი, არავინ უწყოდა, შეხვედრა როგორ დასრულდებოდა. მანამდე ინიციატივა თითქოს მასპინძლებმა იგდეს ხელთ, რენიკმაც ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ ამის შემდეგ სულ რაღაც 29 წამში პეტერ ფორსბერგმა (იგი მხრის ტრავმის შემდეგ დაბრუნდა) ჩინებული პასი გადასცა ადამ დედმარშს (2+2), რომლის გოლმაც საბოლოოდ გატეხა მეტოქე. „ვფიქრობ, დღეს დიდი ნებისყოფა გამოვავლინეთ, რისი დასტურიც ჩვენი მესამე გოლი გახდა. ამის შემდეგ საბოლოოდ გავაჩერეთ მაყურებელი" — თქვა თამაშის შემდეგ შონ პოდინმა.

**სან ხოსე — სენტ ლუისი 2:1**

**სან ხოსე — სენტ ლუისი 2:1**

1:1 0:0 1:0

1:0 ნოლანი 5'39 (3); 1:1 იანგი 15'14 (1); 2:1 ნოლანი 44'40 (4)

აშკარად შეცდა, ვინც ფიქრობდა, რომ სან ხოსესთან სერია სენტ ლუისისთვის იოლი გასეირნება იქნებოდა. მას შემდეგ კი, რაც კალიფორნიელებმა მეორე მატჩი მოიგეს, ბევრს ეგონა, რომ „ბლუზმენები" თავიანთ კლასსა და უპირატესობას მეტოქის მოედანზე იოლად დაამტკიცებდნენ, მით უმეტეს, რომ გუნდი სეზონში ერთობ მარჯვედ ატარებდა შეხვედრებს სტუმრად. თუმც სან ხოსემ კვლავ გააოცა ყველა, ვინაიდან უაღრესად საიმედო, მოწესრიგებული დაცვითი ჰოკეი ითამაშა. მეკარე სტივ შილდსმა მთელი მატჩი ჩინებულად ჩაატარა, ბოლო მესამედში კი გაცხარებული სტუმრების თხუთმეტივე დარტყმა მოიგერია. შეტევაში სანხოსელთა კაპიტანმა და ლიდერმა ოუენ ნოლანმა გამოიყენა ოსტატურად თავისი შანსი. აღსანიშნავია, რომ სან ხოსე ყოველთვის დიდი გაჭირვებით ხვდება პლეი ოფში, მაგრამ იქ უბრძოლველად არაფერს თმობს. 1994 და 95 წლებში სან ხოსემ პირველ რაუნდში ფავორიტები — დეტროიტი და კალგარი დაამარცხა. როგორც იტყვიან, ღმერთი სამობითაა.

### აღმოსავლეთი

**ოტავა — ტორონტო 1:2**

**ოტავა — ტორონტო 4:2**

1:0 1:1 2:1

1:0 ალფრედსონი 5'24 (1); 2:0 ზამუნერი 29'44 (1); 2:1 ტომასი 30'03 (3); 3:1 ფორბსი 45'27 (1); 3:2 ხრისტიჩი 50'18 (1); 4:2 ზამუნერი 54'17 (2); 4:3 ჰოგლუნდი 59'42 (1)

უფსკრულის პირას მდგარმა ოტავამ საშინაო მატჩში როგორც იქნა შეძლო ტორონტოს ძლევა და პლეი ოფებში 8-მატჩიანი წარუმატებელი სერიაც შეწყვიტა. მათ მეტოქეს, სრულიად მოულოდნელად, ძალისმიერი თამაში შესთავაზეს და თვით მოძალადე ტაი დომიც კი თავად გახდა მსხვერპლი. თუმც ოტაველები ზოგჯერ აჭარბებდნენ და წესებს არღვევდნენ, რითაც ტორონტოს დამატებით შანსს აძლევდნენ. სტუმრები კარგად უტევდნენ რიცხვმრავლობაში, უამრავი მომენტიც შექმნეს, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენეს. დანარჩენ დროს კი ოტავა უკეთ გამოიყურებოდა. ტორონტოს დიდებული მეკარე კერტის ჯოზეფიც აიძულეს, შეცდომები დაეშვა.

ბოლოს „კუჯოს" ნერვებმა უმტყუნა — დანიელ ალფრედსონის პასის შემდეგ მატჩის გმირმა რობ ზამუნერმა სტუმართა კარი მეოთხედ დალაშქრა. ჯოზეფი გაცოფდა. მან ჩათვალა, რომ ალფრედსონმა წესი დაარღვია და მსაჯს ლამის მუშტი-კრივი გაუმართა.

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 3:0**

**პიტსბურგი — ვაშინგტონი 4:3**

0:1 2:1 2:1

0:1 სიმონი 15'39 (1); 1:1 ჰრდინა 28'04 (3); 2:1 ფალუნი 29'44 (14); 2:2 ჰელპერნი 29'55 (1); 3:1 ჰრდინა 42'13; 3:3 კ. იუჰანსონი 54'02 (1); 4:3 შლეგრი 55'28 (2)

პიტსბურგული მატჩები დიდხანს ემახსოვრება ვაშინგტონს, ისევე როგორც პირველ თამაშში განადგურება. თავად განსაჯეთ, ორჯერვე თვითონ გაუშვეს დედაქალაქელებმა ბედი ხელიდან და ასეთ სავალალო მდგომარეობაში ჩაიგდეს თავი. მეორე შეხვედრის მეორე პერიოდში დაახლოებით ორი წუთის (!) განმავლობაში ტრიალებდა შაიბა პიტსბურგელთა კარის სიახლოვეს, ვაშინგტონელები ახლო მანძილიდან ბომბავდნენ რონ ტაგნატს, რომელმაც ამ გაწამაწიაში ყვანჯიც კი დაკარგა, მაგრამ... არადა ამ დროს ანგარიში 1:0 იყო ვაშინგტონის სასარგებლოდ და მეორეც რომ გაეტანათ, პიტსბურგს რაღა გადაარჩენდა. ორი დღის შემდეგ დედაქალაქელებმა კვლავ გაიმეორეს შეცდომა. ამჯერად უკვე პირველ პერიოდშივე ფლობდნენ სრულ უპირატესობას, მაგრამ ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემდეგ დაბრუნებული კრის საიმონის (სერიის პირველ მატჩში უხეშობისთვის დაისაჯა) გოლის გარდა ვერაფერი გაახერხეს, რაზეც შემდეგ მწარედ ინანეს. და კიდევ: ვაშინგტონმა პირველი მატჩის შემდეგ ჭკუა ვერ ისწავლა — გუნდი ხომ გაუმართლებელმა ჯარიმებმა დაღუპა. მეორე მატჩის ოვერტაიმშიც სუპერჩეხმა იარომირ იაგრმა გოლი მაშინ გაიტანა, როცა ვაშინგტონი მეცხრედ დარჩა უმცირესობაში.

**სამველ ლარიბიანი**

REUTERS



პიტსბურგელთა კარში შევარდნენ: შაიბა, მეკარე რონ ტაგნატი, პიტსბურგელთა მცველი ირჟი შლეგრი (71) და ვაშინგტონელი ჯო მერფი



# ამბავი გრეგარის კლასიკური განამდვილებისა

ველომრბოლები სამ კასტად იყოფიან — ნამდვილებად, პეპლებად და გრეგარებად. პირველები გუნდების ლიდერები არიან და, მთისა და ინდივიდუალური ეტაპების მოსაგებად იბრძვიან. მრავალდღიანი ტურების გამარჯვებულებიც ისინი ხდებიან. მეორეები სპრინტერულ ეტაპებზე გამოირჩევიან, მესამე კასტის წარმომადგენლები კი პირველი ორის გამარჯვებისთვის ღვრიან ოფლს და იშვიათად, თვითონ რაიმე წარმატებას მიაღწიონ. სწორედ ასეთი კაცია პაოლო ბეტინი. იგი „მაპეის" გრეგარია და კლასიკური რბოლის ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟის მოგების შემდეგ ამბობენ, ნამდვილთა კასტაშიც შევიდაო.



პაოლო ბეტინი

მსოფლიოს თასის ამ ეტაპის უპირველესი ფავორიტი ლორან ჟალაბერი იყო, მაგრამ ფრანგ მრბოლს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

„ნოემბრის შემდეგ ჩემი სპორტული დირექტორი სერჟ პარსანი სულ იმას ჩამჩიჩინებდა, დროა, ზოგიერთ შეჯიბრში გუნდის ლიდერობა იტვირთოო" — თქვა გამარჯვების შემდეგ იტალიელმა. ბელგიაში კი, ეტყობა, მისი დროც დადგა, მით უმეტეს, რომ „მაპეის" ერთ-ერთი ლიდერი მიკელე ბარტოლი აკლდა, იოჰან მუსეუვი კი პარიზი-რუბეს მოგების შემდეგ საკმაოდ დაღლილი ჩანდა.

მთელი გზის მანძილზე ბევრი შეტევა განხორციელდა, მაგრამ რედუიტის მთას მრბოლთაგან მრავალი მაინც ერთდროულად მიადგა. იქ ოთხკაციანი ჯგუფი გამოეყო პელოტონს. ჟალაბერმა, რებელინმა, კასაგრანდემ და ბეტინიმ მალე მოიპოვეს რამდენიმეწამიანი უპირატესობა. მათ მერე ფრიგოც შეუერთდა. ხუთეულს შეთანხმებულად რომ ემოქმედა, მდევრები ვერ დაეწეოდნენ, მაგრამ ჟალაბერი ოთხი იტალიელის გარემოცვამ დააფრთხო, გადაწყვიტა, თანაგუნდელებს დალოდებოდა, სხვებმაც აღარ გამოიდეს თავი და ხუთეულს მალე წამოეწივნენ.

ფინიშამდე ოცდაათიოდე კილომეტრით ადრე კი ბეტინიმ ისევ შეუტია. იტალიელს რებელინი, ბელი და ეჩებერია მიჰყვნენ. მალე ბელიმ კომპანიონების სწრაფ ტემპს ვერ გაუძლო და ჩამორჩა. ლიდერთა სამეულში კი ყველაზე მეტს ბეტინი შრომობდა. მათმა უპირატესობამ 252-ე კილომეტრზე წუთსა 10 წამს მიაღწია. „როცა ბოლო შეტევაში ჩავერთე, თითქმის დარწმუნებული ვიყავი გამარჯვებაში" — თქვა ბეტინიმ, თუმცა ეტყობოდა, რომ მაინც ღელავდა. ჯერ იყო და ერთ-ერთ მოსახვევში ისეთი სიჩქარით შევარდა, წაქცევას სასწაულებრივ გადაურჩა, მერე კი ონსელ დავიდ ეჩებერიას წაეჩხუბა. „შევახსენე, რომ დიდი კლასიკის ლიდერები ვიყავით და უნდა გვეთანამშრომლა. ის სულ კუდში მოგვდევდა და ცდილობდა, შევეფერხებინეთ. დავიდმა მანიშნა, რომ მისმა სპორტულმა დირექტორმა უთხრა ეს, რათა „ონსეს" ლიდერ ჟალაბერს ჩვენი დაწევა შეძლებოდა. მეც გავუგე და აღარაფერი მითქვამს" — ასე ახსნა ესპანელთა შელაპარაკება ბეტინიმ.

ჟალაბერი კი ლტოლვილთა დამწევი არ იყო, რადგან პელოტონს ამის სურვილი არ ჰქონდა, მარტო კი ვერაფერს გახდებოდა. ამას გვიან მიხვდნენ „ონსეს" თავკაცები და ეჩებერიასაც ბოლოსლა მისცეს თავისუფლება. საბოლოოდ მოწინავე სამეულმა უძლიერესი სპრინტში გაარკვია. პირველი რებლინი აჩქარდა, მაგრამ მოჩქარეს მოუგვიანდესო. მას ორივე მხლებელმა გაუსწრო.

„ამ გამარჯვებას ვუძღვნი ჩემს ოჯახს, საცოლესა და მიკელე ბარტოლის, ვისგანაც ძალიან ბევრი ვისწავლე. მადლობა მინდა ვუთხრა იოჰან მუსეუვს და „მაპეის" დანარჩენ წევრებსაც, რომლებიც დღეს ძალიან დამეხმარნენ" — განაცხადა პაოლო ბეტინიმ და იქვე დაამატა, რომ დაქორწინებას ოქტომბერში აპირებს. ცოტა ხნის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კი მან ისიც თქვა, ძალიან მინდა, წლევანდელ „ტურ დე ფრანსეზე" წარმატებით გამოვიდეო.

**გაიოზ თალაკვაძე**

### მსოფლიოს თასი

მეოთხე ეტაპი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი, 264 კმ

| | |
|---|---|
| 1. პაოლო ბეტინი (იტალია, მაპეი) | 6 სთ 27 წთ 24 წმ |
| 2. დავიდ ეჩებერია (ესპანეთი, ონსე) | |
| 3. დავიდ რებელინი (იტალია, ლიკიგასი) | ორივეს იგივე დრო |
| 4. ვლადიმერ ბელი (იტალია, ფასა ბორტოლო) | +10 წმ |
| 5. აქსელ მერქსი (ბელგია, მაპეი) | +12 |
| 6. მაურო ჯანეტი (იტალია, ვინი კალდიროლა) | +30 |
| 7. ალექსანდრ ვინოკუროვი (ყაზახეთი, ტელეკომი) | +33 |
| 8. მარტენ დენ ბაკერი (ჰოლანდია, რაბობანკი) | +40 |
| 9. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ვინი კალდიროლა) | +44 |
| 10. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი, ონსე) | +48 |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) | 190 ქულა |
| 2. იოჰან მუსეუვი (ბელგია, მაპეი) | 111 |
| 3. ანდრეი ჩმილი (ბელგია, ლოტო) | 110 |
| 4. პაოლო ბეტინი | 100 |
| 5. პეტერ ვან პეტეგემი (ჰოლანდია, ფარმ ფრაიტსი) | 94 |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** ზაზა ბენიძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli